ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: **ისტორია (საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა)**

მანუჩარ გუნცაძე

ანტისამთავრობო გამოსვლები შიდა ქართლის მთიანეთში 1918-1921 წლებში

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

ნაშრომის ხელმძღვანელი **ბონდო კუპატაძე**,
ისტორიის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2022

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს შიდა ქართლის მთიანეთში (ე.წ. „სამხრეთ ოსეთში") დაწყებული ანტისამ-ტავრობო გამოსვლები, რომელთა მასშტაბის იქამდე გაიზარდა, რომ აღნიშნული ტერიტორიის საქართველოსგან გამოყოფას და რუსეთთან შეერთებას მოითხოვ-დნენ.

კვლევისათვის მნიშვნელოვანია დაპირისპირების სრული ანალიზი, ამიტომ განხილულია, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, ისე სამხედრო მოვლენე-ბი, რაც სრული სურათის აღქმაში გვეხმარება.

აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ დიდი მასალა არსებობს საქართვე-ლოს ცენტრალურ არქივში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი. მათი დიდი ნაწილი ან თანამედროვე პერიოდშია გამოქვეყ-ნებული, ან თანადროულ პრესაში. აღნიშნულ ავთენტურ მასალასთან ერთად საინტერესოა მონაწილეთა მოგონებები, განსაკუთრებით კი ორი პიროვნების, გენერალ გიორგი კვინიტაძისა და გენერალ ვალიკო ჯუღელის. მემუარების სუ-ბიექტურობის მიუხედავად, წყაროთა შეჯერების საფუძველზე, შეგვიძლია ბევ-რი ფაქტი აღვადგინოთ ან/და დავაზუსტოთ, რაც დამატებითი ანალიზის საფუ-ძველს იძლევა.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიისათვის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც რუსეთს ოკუპირებული აქვს ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" და მისგან ისმის ბრალდებები, რომ საქართველომ 1920 წელს ოსებს მოუწყო გენოციდი. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ეს მოსაზრება და ასევე წარმოდგენილი იქნება ზოგადი სურათი, თუ რა ვითარება იყო 1918-1921 წლების საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით, როგორც კანონმდებლობისა და კონსტიტუციის მაგალითზე, ასევე პრაქტიკაში განხორციელებული ქმედებების მიხედვით.

Abstract

The paper discusses the anti-government rallies launched during the Democratic Republic of Georgia in the Shida Kartli highlands (so-called "South Ossetia"), the scale of which increased to the point where they demanded the separation of the territory from Georgia and unification with Russia.

A complete analysis of the controversy is important for the study, so both political, economic, and military events are discussed, which help us to perceive the full picture.

There is a lot of material in this direction in the Central Archive of Georgia, in the archives of the Ministry of Internal Affairs, the National Center of Manuscripts. Most of them are published either in the modern period or in the contemporary press. Along with the authentic material, the memories of the participants are interesting, especially of two people, General Giorgi Kvinitadze and General Valiko Jugheli. Regardless of the subjectivity of the memoirs, based on a combination of sources, we can reconstruct and / or clarify many facts, which provides a basis for further analysis.

This issue is quite important for the history of Georgia in the new and recent period, especially if we take into account the current political situation, when Russia has occupied the so-called. "South Ossetia" and allegations that Georgia organized genocide against Ossetians in 1920. This paper will discuss this view and also provide an overview of the situation in Georgia in terms of protection of the rights of ethnic minorities in 1918-1921, both in terms of legislation and the Constitution, as well as in practice.

შინაარსი

შესავალი 1

თავი I. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის (1918-1921 წლებში) კვლევის პრობლემური მხარე ისტორიოგრაფიაში 25

თავი II. ტოპონიმის დადგენისათვის 34

თავი III. კონფლიქტის წინა პერიოდი

§3.1. მოვლენების მიმოხილვა 38

§3.2. კონფლიქტის ეკონომიკური მხარე და ხიზნების საკითხი 52

თავი IV. 1918 წლის დაპირისპირება

§4.1. პოლიტიკური ვითარება 62

§4.2. სამხედრო დაპირისპირების მსვლელობა 66

§4.3. 1918 წლის კონფლიქტის შედეგები 74

თავი V. 1919 წლის კონფლიქტი

§5.1. ოსი ბოლშევიკების მოთხოვნები 76

§5.2. კონფლიქტის მსვლელობა 80

§5.3. 1919 წლის დაპირისპირების შედეგები 82

თავი VI. 1920 წლის ანტისამთავრობო გამოსვლები

§6.1. პოლიტიკური სვლები 83

§6.2. სამხედრო მზადება 97

§6.3. სამხედრო მოვლენების მიმდინარეობა 110

§6.4. ანტისამთავრობო გამოსვლების შედეგები 136

თავი VII. ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა

საქართველოში 1918-1921 წლებში 140

დასკვნა 152

ბიბლიოგრაფია 156

დანართი

სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ

ერთეულად გამოყოფის პროექტი 166

შესავალი

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მსვლელობაში დიდი როლი ითამაშა შიდა კონფლიქტებმა, რომელიც აფხაზეთსა და შიდა ქართლის ნაწილში ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" წარმოიქმნა. კონფლიქტების წარმოქმნა და განვითარება მეოცე საუკუნეში მოხდა, რასაც ძირითადად გარეშე ძალის ჩარევა უწყობდა ხელს. კონფლიქტის დაწყების პერიოდიდან რუსეთი მფარველობდა საქართველოში არსებულ სეპარატისტულ ძალებს, რადგან მათი წარმატება საქართველოს დასუსტებას ნიშნავდა. დასუსტებულ საქართველოზე გავლენის გავრცელება კი რუსეთს გაუმარტივდებოდა. თავისი წილი პასუხისმგებლობა ამ კონფლიქტებში რა თქმა უნდა ყველა მხარეს გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ კონფლიქტის დამწყებად ყოველთვის ოსეთის სეპარატისტული ძალა გვევლინებოდა, რომელსაც რუსეთის მხრიდან მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ჰქონდა.

მიუხედავად მეოცე საუკუნეში არსებული მასშტაბური სამხედრო დაპირისპირებებისა, ყველაზე დიდ წარმატებას ოსმა სეპარატისტებმა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიაღწიეს. სწორედ ამის შემდეგ აღიარა რუსეთმა და დამდენიმე სხვა ქვეყანამ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება ამ ფაქტს არ სცნობს და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. კონფლიქტის ასეთი მნიშვნელობის გამო საჭიროა მისი, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით შესწავლა, რათა უკეთ მოეფინოს ნათელი განვითარებულ მოვლენებს. ეს ნაშრომიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

1918-1921 წლებში საქართველოში ოსთა სამი აჯანყება მოხდა. ოსები აჯანყე-

ბებს ყოველთვის მაშინ იწყებდნენ, როდესაც საქართველო რთულ მდგომარეობაში იყო და სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა.

პირველი აჯანყება მოხდა 1918 წელს, ეს ის დროა, როდესაც საქართველოს შეიარაღებული დაპირისპირება აქვს ოსმელეთთან. ეს აჯანყება წმინდა პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა, რადგან მათ წარმოდგენილი მოთხოვნების შესრულების შესაძლებობაც არ მისცეს ქართულ მხარეს ისე დაიწყეს სამხედრო მოქმედებები. შედეგად გაძარცვეს და დაარბიეს ცხინვალი, მაგრამ ამ ძარცვა-რბევის გარდა მათ მეტი სარგებელი ვერ ნახეს. ქართული გვარდიის ნაწილებმა რამდენიმე დღეში მოახდინეს აჯანყების ჩახშობა. აჯანყების ჩახშობის დროს მიმდინარეობდა მხოლოდ შეიარაღებული პირების განეიტრალება, ქართული მხარე მაქსიმალურად ერიდებოდა სოფლებში შესვლას, რათა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი არ გამოეწვია.

1919 წელს მოეწყო მეორე აჯანყება, რომელიც დენიკინთან დაპირისპირების მომენტს დაემთხვა. ოსების მოთხოვნა ამჯერად იყო ცალკე სამაზრო ერთეულის წარმოქმნა, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრადაც მათ ცხინვალი სურდათ. ისინი ითხოვდნენ ცალკე სასამართლო სისტემასაც, რითაც ქართული სასამართლო სისტემის იგნორირება სურდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მათ სთავაზობდა ჯავის მაზრის შექმნას, თუმცა ცხინვალი მათი ადმინისტრაციული ცენტრი ვერ გახდებოდა, რადგან იქ მოსახლეობის უმრავლესობა ქართული იყო, ამიტომ მათ ამის მოთხოვნის რეალური მიზეზი არ გააჩნდათ. ოსური მხარე ამ მოთხოვნას არ დათანხმდა, მათ პროტესტიც კი გამოუცხადეს დამფუძნებელი კრების არჩევნებს და რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანებით დაიწყეს მზადება მასშტაბური აჯანყებისთვის. აქ უკვე კარგად ჩანდა რუსი ბოლშევიკების როლი და მათი ინტერესები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ აჯანყებას თბილისში და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" მცხოვრები ოსების ნაწილი არ იზიარებდა. ანუ ეს

არ ყოფილა ეთნიკური დაპირისპირება, ის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ქართულმა მხარემ შეიტყო აჯანყების მზადება და მისი მონაწილეების დიდი ნაწილი დააპატიმრა, რის შემდეგაც უკვე ადვილად მოხერხდა მისი ჩახშობა.

მომდევნო აჯანყება კი წინა ორი აჯანყებისგან განსხვავებით ბევრად მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო. აქ უკვე რუსეთის ინტერესები აშკარაა, ისინი აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფულადი სახით და გარკვეული შეიარაღებული ნაწილების გაგზავნითაც კი ეხმარებოდნენ. ეს აჯანყება 1920 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის, შიდა ქართლის ნაწილის საქართველოსგან ჩამოშორებას და რუსეთთან მიერთებას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მალე ჩაახშო აჯანყება, მაგრამ შედეგი ბოლომდე დადებითი ვერ იქნებოდა. მართალია ქართული ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა ბანდებისაგან, მაგრამ ეს დაპირისპირება ოსების და ქართველების მახსოვრობაში მაინც დარჩა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა მიეჩქმალა მისი როლი ამ აჯანყებაში, არადა სწორედ რუსეთიდან მოდიოდა აჯანყების დაწყების ბრძანება. ქართულ მხარეს მკაცრი ზომების გატარება მოუწია აჯანყებულთა წინააღმდეგ, რადგან ეს უკვე მესამე აჯანყება იყო ოსების მხრიდან და საჭიროებდა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეს პრობლემა. გაუთავებელი დაპირისპირება ხელს უშლიდა საქართველოს განვითარებას და შესაბამისად იქ მცხოვრები ყველა ერის (მათ შორის ოსების) წინსვლას და მშვიდობიან ცხოვრებას.

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, დამოუკიდებლობის აქტშივე დაისახა დემოკრატიული, დასავლური სტანდარტების სახელმწიფოს მშენებლობა. მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო, რადგან ახლად შექმნილმა სახელმწიფომ მემკვიდრეობით მიიღო პრაქტიკულად რუსეთის იმპერიის დროს არსებული სისტემა, რომლის ძირითადი პრინციპიც ძლიერი მონარქისტული წყობილება იყო და ნაკლებად ითვალისწინებდა

დაპყრობილი ხალხების უფლებებს, რეალურად მიზანი კი მათ ასიმილაციას წარმოადგენდა.

ვინაიდან საქართველო ირჩევდა რესპუბლიკური მართველობის, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სტილს, ქვეყნის წინაშე არსებობდა საჭიროება, რეფორმების მთელი ციკლის განხორციელების. ამ კუთხით იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი რომელსაც უნდა მიქცეოდა ყურადღება.

საჭირო იყო ხელისუფლების გადანაწილება, რათა კონკრეტული რეგიონების მოსახლეობას თავადვე ჰქონოდათ უფლება გადაეწყვიტათ რა იყო მათთვის უკეთესი. ასევე არსებობდა პრობლემები განათლების კუთხით. რუსეთის იმპერიაში დაპყრობილი ხალხების ენის საკითხს საკმაოდ ცუდად ექცეოდა ყურადღება და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველო რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა, აქ მცხოვრებ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს არავინ არც ავალდებულებდა და არც საშუალებას უქმნიდა ქართული ენის შესასწავლად. შედეგად საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ მიიღო მდგომარეობა, როდესაც მისი ტერიტორიის გარკვეულ ადგილებში კომპაქტურად ცხოვრობდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მაგრამ მათ არ იცოდნენ ქართული ენა, რაც სახელმწიფოში მათ ინტეგრაციას ართულებდა.

ეთნიკური უმცირესობების საკითხი იმ მხრივაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მათი უფლებები დამოუკიდებლობის აქტშიც იყო გაწერილი და მათი მდგომარეობის გამყარებას ცალკე საკანონმდებლო და პრაქტიკული რეფორმების გატარება სჭირდებოდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის უფრო მეტი ლეგიტიმიზაციისა და დემოკრატიული გარემოს შესაქმნელად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს

წარმოადგენდა მოქალაქეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული არჩევნების ჩატარება, სადაც მრავალპარტიული წარმომადგენლობა იქნებოდა და მოსახლეობას პრაქტიკულადაც მიეცემოდა თავისი ხელისუფლების არჩევის საშუალება.

საინტერესოა მართვის ის სისტემაც, რომელიც სახელმწიფოში იყო ჩამოყალიბებული თავიდანვე. საუბარია ხელისუფლების გადანაწილებაზე. ცხადია სადისერტაციო ნაშრომის თემა ოსი ბოლშევიკების ანტისამთავრობო გამოსვლებია, მაგრამ სწორედ ამ მხრივ მნიშვნელოვანია იმ სქემის დანახვაც, თუ როგორ იყო ძალაუფლება განაწილებული ხელისუფლებაში:



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციების მოწყობის მიზნით ჩამოყალიბდა თვითმმართველობის ორგანოები, ერობები, რომლის

შემადგენლობასაც ხალხი ირჩევდა. ეს იყო მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიზაციის მიმართულებით, ხალხისთვის მეტი უფლებების მისაცემად. თუმცა ამ კუთხით მაინც არსებობდა ასე ვთქვათ ერთი ხარვეზი. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, ერობების ბიუჯეტის დამტკიცება მაინც ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხდებოდა, ანუ მათ განხილვა და დამტკიცება შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა მოეხდინა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის მიზანი არის ერთის მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების გაზრდა და მათთვის იმის უფლების მიცემა, რომ თავად გადაწყვიტონ მათი რეგიონისთვის საჭირო საკითხები და ასევე ძალაუფლების მსგავსი გადანაწილება ქმნის უფრო მოქნილ სისტემას. ამ მხრივ კი მათი ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება შსს-ს მიერ ამ უპირატესობებს გარკვეულ წილად უკარგავდა. ამ გადაწყვეტილების ერთადერთი გამართლება შეიძლება ის იყოს, რომ ვინაიდან სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ახალი აღდგენილი იყო და არსებობდა მრავალი პრობლემა სოციალურ-ეკონომიკური თუ სამხედრო თავდაცვის კუთხით, ცენტრალურ ხელისუფლებას სურდა მეტი კონტროლი ჰქონოდა რეგიონებზე და საწყის ეტაპზე უფრო მეტად ეკონტროლებინა მათ მიერ გატარებული რეფორმები თუ მიღებული გადაწყვეტილებები.

დამოუკიდებლობის აქტი იყო პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეთნიკური უმცირესობების დასაცავად და ამასთანავე თანამედროვე, დასავლური სტანდარტების სახელმწიფოსთვის საფუძვლის ჩასაყრელად. საკანონმდებლო დონეზე არსებობდა იმის გარანტია, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ანალოგიური უფლებები ექნებოდათ საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, როგორც ეთნიკურ ქართველებს.

1918 წლის 13 სექტემბრის კანონით ეთნიკურ უმცირესობებს უფლება

მიეცათ, თავიანთი წარმომადგენლები ჰყოლოდათ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში - ეროვნულ საბჭოში. წარმომადგენლების რაოდენობა იყო ყოველი 20 000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატი. არსებობდა გამონაკლისიც: როდესაც ეთნიკური უმცირესობა ამ რაოდენობით არ ცხოვრობდა ქვეყანაში, მაგრამ მათ მაინც ჰყავდათ წარმომადგენლები, კერძოდ, ესენი იყვნენ ბერძნები, გერმანელები და ებრაელები (ვადაჭკორია, 2006). ამ კანონით უკვე უმცირესობათა წარმომადგენლებს თავადაც ეძლეოდათ საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ამ დელეგატებს ირჩევდნენ ან ამ ერების ეროვნული საბჭოები, ან ხდებოდა ისეთი წარმომადგენლის გაგზავნა, რომელიც არჩეული იყო დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებაში (გურგენიძე, 1990).

საქართველოში, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა, ალბათ უფრო ადვილად აღსაქმელი იყო რა უფლებები უნდა მიეცათ ეთნიკური უმცირესობისთვის, რათა მათი ჩაგვრა ან შევიწროება აეცილებინათ თავიდან. ხალხისთვის, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეალურად თავად წარმოადგენდა ეთნიკურ უმცირესობას, ყველაზე კარგად თავადვე იცოდა რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ერთ ეთნიკურ ნაწილს სხვა სახელმწიფოში ცხოვრების დროს.

საქართველოს რესპუბლიკის მიდგომას ეროვნული უმცირესობებისადმი ზუსტად ასახავს აკაკი ჩხენკელის სიტყვა დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წელს:

„ერთის ერის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა და ერთის უბედურება - უბედურებაა მეორისათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას... უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც

ავნებს სახელმწიფოს ავნებს მათაც“ (ვადაჭკორია, 2003, გვ. 456).

თუმცა მხოლოდ ხსენებული კანონები ცხოვრებისათვის სრულყოფილ გარემოს ვერ შეუქმნიდა უმცირესობების იმ ნაწილს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, რაც დამოუკიდებელ ქვეყანაში ინტეგრაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ განათლების სამინისტროში გატარდა რეფორმა, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების მოზარდი თაობის უმრავლესობას საშუალება ეძლეოდათ პირველდაწყებითი და ზოგ შემთხვევაში საშუალო განათლება მიეღოთ უფასოდ. ასევე განაპირა რეგიონებში ქართველი და არაქართველი ახალგაზრდებისთვის სტიპენდიების სახით გამოიყო 200 000 მანეთი. 1920 წლის მონაცემებით საქართველოში იყო 306 სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის: 81 სომხური, 66 ბერძნული, 60 რუსული, 48 ოსური, 31 თათრული და 20 აფხაზური. ამ ფაქტების ანალიზით კარგად ჩანს, რომ ქვეყანაში ხდებოდა ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებების დაცვაც, რა თქმა უნდა იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რის საშუალებასაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს ქვეყანაში დემოკრატიული სტანდარტების დანერგვისას, ესაა თავისუფალი არჩევნების გარანტიაა მოქალაქეებისათვის. 1919 წელს ჩატარდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობის უფლება ყველა პარტიას მიეცა და ამ კუთხით არჩევანის თავისუფლება არ იყო შეზღუდული. ეს ალბათ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიცვალა გასაბჭოების შემდეგ მდგომარეობა ადამიანის უფლებების კუთხით, როდესაც მხოლოდ ერთპარტიული სისტემა ჩამოყალიბდა და მოქალაქეებს ფაქტიურად არჩევანის საშუალება აღარ ეძლეოდათ.

ამ კუთხით საჭიროა ერთი ფაქტის გაანალიზება. 1918 წელს სომხეთმა

საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყო და საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის შეერთება სცადა. მიუხედავად იმისა რომ ამ ომის შემდეგ არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო იყო გასული დაშნაკთა სომხურ პარტიას მაინც მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ამ კუთხითაც დემოკრატიული სტანდარტების დარღვევა არ მომხდარა.

არჩევნების დროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი არის ისიც, რომ პირველად არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ ქალებსაც და ასევე დამფუძნებელი კრების შემადგენლობაშიც იყვნენ არჩეულნი (მაცაბერიძე, 2009, გვ. 40). ეს იმის გამოხატულება იყო, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში გენდერული უფლებების დაცვის ფაქტორმა წინ წამოიწია და დამოუკიდებლობის აქტში გაწერილი დებულება, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე თანაბარი იყო, პრაქტიკაშიც განხორციელდა.

აღნიშნული ფაქტების ანალიზით კარგად ჩანს, რომ მიუხედავად რეფორმების დროს გარკვეული ხარვეზებისა თუ ეკონომიკური კუთხით არსებული პრობლემებისა, ქვეყანა დამდგარი იყო დემოკრატიზაციისაკენ მიმავალ გზას და ეტაპობრივად არც თუ ისე წარუმატებლად ახორციელებდა კიდევაც ამ მიმართულებით მიმავალ გეგმებს პრაქტიკაში. მართალია ქვეყანაში არსებული პარტიული ორგანოები არც თუ ისე ახალი ჩამოყალიბებული იყვნენ და გამოცდილებაც გააჩნდათ, თუმცა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ბევრი პრობლემა წარმოიქმნებოდა, რაც ერთგვარი სიახლე შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის. დემოკრატიზაციის გზაზე წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად კი მათ სრული სამი წელიც კი არ მიეცათ.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მეცნიერული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. შესაბამისად, გამოქვეყნებული არის ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ისტორიული, პოლიტიკური

და სამხედრო ანალიზის მიმართულებით სტატიები. თუმცა, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის შესახებ არსებული სტატიები ქრონოლოგიურად ორიენტირებულია მეოცე საუკუნის კონფლიქტების პერიოდთან დაკავშირებულ მოვლენებზე. მისი ახსნა შეიძლება ეფუძნებოდეს კონფლიქტის ბოლო ფაზას, რომელიც იმ პერიოდიდან დაიწყო.

მიუხედავად ამისა, კონფლიქტის დაწყების ქრონოლოგიური პერიოდი შედარებით ვრცელია და იღებს მე-20 საუკუნის დასაწყისის პირველი ნახევრიდან, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკიდან, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდიდან. ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა კონფლიქტის ანალიზის დროს პარალელები გავავლოთ კონფლიქტის საფუძველ მოვლენებთან, რადგან განსხვავება კონფლიქტის წარმოშობასა და დღევანდელობას შორის მხოლოდ ერთი საუკუნეა, რაც ისტორიისთვის არც თუ ისე დიდი პერიოდია.

ეს კონფლიქტი წარმოიშვა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში დაფიქსირდა ოსი ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის 3 ფაქტი (1918, 1919 და 1920 წლებში). ამ კონფლიქტის შესწავლა უფრო პოპულარული ხდება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც კონფლიქტი განახლდა და საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დროის შემდეგ გამოიცა უამრავი სამეცნიერო სტატია და წიგნი ამ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

ამ სამი კონფლიქტის შესწავლისას ისეთი შთაბეჭდილება გაჩნდა, რომ ოსი ბოლშევიკების მოთხოვნები თანდათან იზრდებოდა და მათ არ სურდათ პირველად 1918 წელს მიეღოთ ავტონომია. სწორედ ეს შეხედულება დომინირებდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ახლა ყურადღებას გავამახვილებ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რომელიც მიხეილ მაჩაბლის პირად არქივშია დაცულ. რამდენიმე სიტყვით მოკლედ მოგიყვებით მიხეილ მაჩაბელის შესახებ. იგო აგრონომი, 1885-1918 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. სწავლობდა გლეხობის მდგომარეობას და სოფლის მეურნეობას. ჩვენ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მის არქივში საინტერესო დოკუმენტი ინახება. საარქივო ერთეულის ნომერია: #1523. სწორედ ეს საარქივო ერთეული იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას.

ეს დოკუმენტი ეხება სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის იდეას. არის 10 გვერდიანი პროექტი, სადაც აღწერილია როგორ უნდა მოხდეს ეს. ამ პროექტის ადრესატი იყო საქართველოს ეროვნული საბჭო.

ამ დოკუმენტის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა თანდათან იზრდებოდა არა მოვლენების გამო, არამედ იყო დაგეგმილი ქმედებები ზემოთ აღნიშნული პროექტის ჩავარდნის შემდეგ. მოდით გადავხედოთ რა მოხდა ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით.

ოსების პირველი ანტისამთავრობო აჯანყება 1918 წლის მარტში გაიმართა, მათი მოთხოვნები მიწის დაყოფას და სხვა ეკონომიკურ თუ ადმინისტრაციულ საკითხებს უკავშირდებოდა. მათი მოთხოვნა სამხედრო თავდასხმაში გადაიზარდა და ცხინვალის აღებით დასრულდა. ეს კონფლიქტი საბოლოოდ ქართველი სამხედროების ჩარევით დასრულდა.

1919 წლიდან დაიწყო მოთხოვნა ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ. მათ სურდათ ცალკე უეზდის დაარსება ცხინვალის ცენტრით,

მაგრამ იმ დროისთვის ეთნიკური ოსები ჯავაში იყვნენ დასახლებული, ოსები არ ცხოვრობდნენ ცხინვალში. ოსებს სურდათ ცხინვალი, რადგან კარგად განვითარებული ეკონომიკური ცენტრი იყო. მათი კიდევ ერთი მოთხოვნა იყო დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შორს იქნებოდა უეზდის უფლებებისგან. ამ მოთხოვნებს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა არ ჰქონია.

ყველაზე მნიშვნელოვანი აჯანყება იყო 1920 წელს, როდესაც ოსმა ბოლშევიკებმა რუსეთის კომუნისტური პარტიიდან ძალა მიიღეს დამოუკიდებლობის გამოცხადების, საქართველოსგან გამოყოფისა და საბჭოთა კავშირთან გაერთიანების მიზნით. ოსმა ბოლშევიკებმა კვლავ აიღეს ცხინვალი და დაიწყეს ბრძოლა ახლო ტერიტორიების დასაკავებლად. ეს კონფლიქტი საქართველოს სამხედრო ჩარევის შემდეგ დასრულდა.

კონფლიქტის ქრონოლოგია გვაფიქრებინებს, რომ ოსი ბოლშევიკების მოთხოვნები თანდათან გაიზარდა. როგორც საწყის ეტაპზე მათ არ სურდათ დამოუკიდებლობის გამოცხადება. ზემოაღნიშნული დოკუმენტი აბსოლუტურად ცვლის ამ ფართოდ მიღებულ იდეას.

მიხელ მაჩაბლის პირად არქივში დაცულ საბუთში ვკითხულობთ, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში ოსეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო პროექტი გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ.

აშკარაა, რომ ეს პროექტი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის იანვარში უარყო. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ბოლშევიკ ოსების ანტისამთავრობო არეულობები დასახული მიზნის, ავტონომიური ერთეულის შესაქმნელად.

ამ დოკუმენტის შინაარსი ცვლის თვალსაზრისს ოსი ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნების შესახებ ფართოდ გავრცელებულ იდეებზე. ასე რომ, ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია იმ ისტორიკოსებისთვის, რომლებიც ქართველთა და ოსთა ურთიერთობაზე მუშაობენ. ასეთი ისტორიული თავისებურებები ზოგჯერ ცვლის მიმოხილვას ისტორიის ცხელ მომენტებზე.

ახლა ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ კონფლიქტის განხილვა პირველ პერიოდში. კონფლიქტის კვლევა ძალიან მგრძნობიარე საკითხია, მაგრამ ძალიან აქტუალური საქართველოს შემთხვევაში. შიდა ქართლი საქართველოს რეგიონია და ამ რეგიონის ნაწილი 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის მიერ. სეპარატისტებმა ცხინვალის რეგიონის ცენტრით დააარსეს ე.წ. სამხრეთ ოსეთი. მაგრამ კონფლიქტის ისტორია რამდენიმე წლის წინ არ დაწყებულა. დავიწყოთ თავიდან.

კონფლიქტი თანამედროვე ცხინვალის რეგიონში 1918-1921 წლებით იწყება. ეს ის პერიოდია, რომლის დროსაც ანტისამთავრობო საქმიანობის მასშტაბები თანდათან იზრდება. პირველ პერიოდში გავაერთიანე ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა 1918-1919 წლებში, ხოლო მეორე პერიოდში 1920 წლის მოვლენები. ეს გვეხმარება უკეთ გავადევნოთ თვალყური მოვლენების მიმდინარეობას და კონფლიქტის პერიოდიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მაშ, რატომ დავყავი კონფლიქტი ორ პერიოდად? პირველ პერიოდში ოსებს სურდათ ავტონომიური უფლებების მოპოვება, მაგრამ მეორე ეტაპზე ცდილობდნენ ცხინვალის რეგიონი გამოეყოთ საქართველოსგან და შეერთოთ იგი რუსეთთან.

სანამ ანტისამთავრობო საქმიანობას განვიხილავთ, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ საქართველოში ოსების ჩამოსახლების პროცესი, რომელიც თარიღდება მე-15 საუკუნის ბოლოდან. სწორედ მაშინ დასახლდნენ ოსები დვალეთში, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ ტერიტორიას წარმოადგენდა. ორი საუკუნის შემდეგ მათ აითვისეს იქ მცხოვრები ქართველების ტერიტორიები და XVII საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან დასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ახლა გადავალ ოსი ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის დაწყებასა და განვითარებაზე საქართველოს ახალი ისტორიის მანძილზე.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, რომელიც არსებობდა თითქმის სამი წლის განმავლობაში, 1918 წლიდან 1921 წლამდე, ოსი სეპარატისტები ცდილობდნენ ცხინვალის რეგიონის საქართველოსგან გამოყოფას. ოსი ბოლშევიკების გააქტიურება 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იწყება. მას შემდეგ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის სახალხო კრება და ეროვნული საბჭო, საიდანაც წამოვიდა ახალი ინიციატივები თუ საჩივრები. ისინი ცდილობენ აიღონ ნებისმიერი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე (დღეს ოკუპირებული ტერიტორიის ხელოვნური ტერმინია) ცალკე ერთეულის ან ავტონომიის ჩამოყალიბების მიზნით.

1918 წლის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას შედეგი არ მოჰყოლია, რამაც დაუგეგმავი სტრატეგია გამოიწვია.

ოსი ბოლშევიკების მოთხოვნების ზრდა არ შეჩერებულა/შემცირებულა 1918 წელს ანტისამთავრობო გამოსვლების წარუმატებლად დასრულების შემდგომ.

1919 წლის იანვარში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების შესახებ, რა თქმა უნდა ეს უგულებელყოფილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ. მათი მოთხოვნა არ იყო გონივრული, რადგან მთელი სასამართლო სისტემის მიხედვით გათვალისწინებული იყო საქართველოს ყველა მოქალაქის თანაბარი უფლებები, განურჩევლად მათი ეროვნებისა.

საქართველოს მთავრობამ მოიპოვა დოკუმენტები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო აჯანყებას გეგმავდა, რის შემდეგაც ისინი საკუთარ მოთხოვნებს წამოიწყებდნენ.

1919 წლის ივნისში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ შექმნა „სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის პროექტი“, რომელიც წარედგინა საქართველოს დამფუძნებელ კრებას. ოსებმა ასევე მოითხოვეს ცხინვალი, როგორც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ცენტრი. 1886 წლის აღწერის მონაცემებით ცხინვალში ცხოვრობდა 1135 ქართველი, 1953 ებრაელი, 744 სომეხი და არცერთი ოსი. 1922 წლის აღწერის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისას შედარებით მცირე იყო ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობა. ამ პერიოდში ცხინვალში ცხოვრობდა 1436 ქართველი, 1651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი, რაც ცხინვალის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 13,5%-ს შეადგენდა.

ქართული მხარის მიერ შემუშავებული წინადადება იყო ჯავის უეზდის შექმნა, სადაც საქმეები და ადგილობრივი ადმინისტრაცია მშობლიურ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. ეს იყო მაქსიმუმი, რაც მაშინდელ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეეძლო ოს ბოლშევიკებს მიეცა. ოსებმა ეს შეთავაზება არ მოიწონეს.

1919 წელს, რევოლუციის ორი წლისთავთან დაკავშირებით, ბოლშევიკური პარტია გეგმავდა ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების ახალ ტალღას საქართველოში, რომელსაც მხარს უჭერდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) კავკასიის საოლქო კომიტეტი. ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ გაიგო და ორი დღით ადრე დაიწყო მონაწილეთა დაკავება.

იმ დროისთვის აჯანყება ქართული სახელმიწფოს მიერ შედარებით ადვილად დასრულდა, შედარებით მარტივად ჩაახშეს, მაგრამ ის უკვე 1920 წლის დიდი მოვლენების საფუძველი გახდა.

1918-1919 წლების ანტისამთავრობო საქმიანობის ჩახშობამ მხოლოდ პროცესი შეაფერხა და არა მისი საბოლოო გადაწყვეტა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს, უფრო ზუსტად კი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის რეგიონულ კომიტეტს წინ წასვლის გეგმები ჰქონდათ, ამიტომ მათ ეს მარცხი დროებითი იყო. ერთი ფაქტია, რომ ამ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს არ მოუხდენია კარგი გავლენა ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, თუმცა ეს არ გადაიზარდა იმ ეთნოკონფლიქტში, რომლის წარმოჩენას ოსი ბოლშევიკები ცდილობდნენ. სამწუხაროდ, ეს კითხვა დღესაც აქტუალურია.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ოსური (აქ იგულისხმება სეპარატისტული ნაწილი) და რუსული მხრიდანაც დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ქართველებმა გენოციდი მოუწყვეს 1920 წელს ოსებს, ამ თემით აპელირება დღემდე გრძელდება. სწორედ ეს გახლავთ კიდევ ერთი მიზეზი ამ ნაშრომში განხორციელებული კვლევისა, სადაც დაწვრილებით არის წარმოდგენილი აჯანყების მზადების პერიოდი, მისი პოლიტიკური განვითარება, სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სამხედრო მოვლენების ყოველდღიური მსვლელობა და აჯანყების ჩახშობის შემდეგ განვი-

თარებული მოვლენები და შეფასებები, როგორც ქართული ისე ოსური (და რუსული) მხრიდან. ნაშრომში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ეს არ იყო ქართველების და ოსების ეთნიკური დაპირისპირება, რომელსაც შეიძლებოდა ოსების გენოციდი გამოეწვია, რისი დამადასტურებელი არგუმენტებიც მოყვანილია. განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ოსების და სხვა ეთნიკური უმცირესობების უფლებები და მდგომარეობა, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით.

კომპლექსური კვლევისათვის დამატებით წყაროდ აღებულია მემუარები, რომელთა ანალიზის შედეგადაც შეგვიძლია სასარგებლო მასალის მიღება პრობლემის კვლევის განვითარებისათვის. მეტი სანდოობისათვის გამოყენებულ იქნა ასევე ამ პერიოდის ის დოკუმენტები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს.

მოხდა ასევე სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების შესწავლაც, რადგან აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას თუ როგორ არის ჩატარებული ამ მხრივ კვლევა და რა მასალებია აქამდე მოძიებული. ოსურ საკითხზე და ზოგადად საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებზე რა თქმა უნდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონოგრაფიაა დაწერილი, მაგრამ მათში არ არის საკმარისი ინფორმაცია 1918-1921 წლების აჯანყებების შესახებ. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული არის, რომ 1920 წლის აჯანყების ჩახშობას ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა, თუმცა ნაშრომში განხილული მასალის საფუძველზე ხდება იმის დამტკიცება, რომ რეალურად აჯანყებას გენერალი გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ჯუღელს მხოლოდ ერთი, კონკრეტულად კი მარჯვენა ფლანგის მეთაურობა ებარა. ჯუღელს რა თქმა უნდა საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ამ აჯანყების ჩახშობაში, ის მონაწილეობას იღებდა სამხედრო კრებების დროს გადაწყვეტილებების მიღებაშიც, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს,

რომ ფაქტები ობიექტური კვლევის შედეგად იქნეს განხილული, ამით კი მტკიცდება კვინიტაძის ხელმძღვანელობა და არა ჯუღელის. სწორედ გიორგი კვინიტაძის მიერ მოხდა გვარდიის ნაწილების გადანაწილება დისლოკაციის ადგილზე, მათი კოლონებად დაყოფა, სამხედრო მეთაურობის დანიშვნა და ძირითადი სამხედრო მოქმედებების წარმართვა.

წინამდებარე ნაშრომში უკვე არსებული სამეცნიერო კვლევებისგან გასხვავებით წარმოდგენილია როგორც უკვე ვთქვით 1918-1921 წლების მოვლენების სრული აღწერა და არა ცალკეული ფრაგმენტების მიმოხილვა, ასევე სამხედრო მოქმედებების ყოველდღიური მსვლელობა ტაქტიკური მონახაზის გათვალისწინებით და მოვლენების მონაწილეთა შეფასებებით, რასაც აქამდე ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია.

ოსურ საკითხზე საკმაოდ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები აქვს როლანდ თოფჩიშვილს. მას მიმოხილული აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში ოსთა განსახლების არეალი და მათი მიგრაციის მიმდინარეობა. 2007 წელს რ. თოფჩიშვილის ავტორობით გამოცემულ ნაშრომში „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია" ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხით არის შესწავლილი ჯერ ოსთა წინაპარი ალანების განსახლების არეალი, შემდეგ უკვე ოსთა ეთნონიმის და მათზე არსებული წყაროების და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოვლენების მიმოხილვა. აქვე განხილულია ჩვენთვის საინტერესო ასპექტები, კერძოდ კი ოსების საქართველოში თანდათანობითი მიგრაციის პერიოდი და საქართველოში მათი დასახლების აღწერა. საინტერესო მასალას გვაწვდის ასევე მისი 2006 წელს გამოცემული „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია". აქ რ. თოფჩიშვილს აღწერილი აქვს საქართველოში არსებული ეთნოსთაშორისი ურთიერთობებიც, კონკრეტულად კი ჩვენთვის საინტერესო ქართულ-ოსური ურთიერთობების მიმოხილვა, ურთიერთობის მიზეზები და ოსების მდგომარეობა საქართველოში. როლანდ თოფჩიშვილის სხ-

ვა ნაშრომების განხილვას აქ აღარ შევუდგებით, რადგან ჩვენ ძირითადად ამ ორ ნაშრომზე გავაკეთეთ აქცენტი აღნიშნული პრობლემის კვლევისას.

ოსურ საკითხზე მნიშვნელოვანი ნაშრომები ეკუთვნის ასევე ლევან თოიძეს. 1991 წელს გამოცემული აქვს მონოგრაფია „როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", სადაც მიმოხილული აქვს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" დაპირისპირებების წარმოქმნა და მისი მიმდინარეობა, ასევე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მოვლენები და მისი სამართლიანობის განხილვა. ის ასევე ეხება 1920 წლის აჯანყების მიმოხილვასაც, თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია სამხედრო მოვლენებზე და აჯანყების დაწვრილებით მსვლელობაზე, მონოგრაფიის ხასიათიდან გამომდინარე აქ აქცენტი გადატანილია გარკვეულ პოლიტიკურ მოქმედებებზე.

1991 წელს მას აქვს კიდევ ერთი ნაშრომი გამოცემული, რომელიც ძირითადად წარმოადგენს დოკუმენტების კრებულს მისი კომენტარებით. საუბარია ნაშრომზე „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც". აქ საინტერესო მასალაა მოცემული ორჯონიკიძესა და მოსკოვს შორის არსებული მიმოწერიდან, სადაც ხდება აჯანყებისვთის მხარდაჭერის საკითხების განხილვა.

1992 წელს ლ. თოიძის თანაავტორობით[1] გამოვიდა კიდევ ერთი მონოგრაფია „ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები". აღნიშნულ მონოგრაფიაში წარმოდგენილია ოსური სეპარატიზმის პრობლემის ზოგადი მიმოხილვა, ძირითადად მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში და ავტორთა მიერ შემოთავაზებულია კონფლიქტის მოგვარების მათი ხედვა.

[1] მონოგრაფიას ჰყავდა ავტორთა კოლეგია: გიორგი ჟორჟოლიანი, ლევან თოიძე, სოლომონ ლეკიშვილი, ლევან მატარაძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის” პრობლემას ეძღვნება ასევე ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომი „სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!“, რომელიც 2009 წელს გამოვიდა. ნაშრომში მიმოხილულია, როგორც ზოგადი ტოპონიმიკა, ასევე სახელწოდების წარმომავლობა, ისტორია და ა.შ. ოსეთში მომხდარ აჯანყებებზე ზოგადად არის საუბარი, რადგან ნაშრომის მიზანი არ წარმოადგენდა აჯანყებების კვლევას, არამედ ზოგადად არსებული პრობლემის განხილვას.

2005 წელს გამოვიდა მონოგრაფია „ქართულ ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?“, რომელიც უჩა ბლუაშვილს ეკუთვნის. ნაშრომი დაწვრილებით არ ეხება აჯანყებებს, მაგრამ კარგადაა წარმოდგენილი კონფლიქტის დაწყების მხარე და ის მიზეზები, რის გამოც ხდებოდა გამუდმებული გამოსვლები საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

შოთა ვადაჭკორიას მონოგრაფიაში „საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე)“, რომელიც ორ წიგნად არის გამოსული[2] ჩვენთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და მდგომარეობის განხილვა, მათ შორის ოსებისაც. ამ წიგნებში მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ეთნიკურ უმცირესობათა ჩაგვრა არ ხდებოდა. 2010 წელს გამოსულია მისი კიდევ ერთი მონოგრაფია „დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1921 წლებში”. აღნიშნულ მონოგრაფიაში აჯანყებებთან დაკავშირებით არის ზოგადი ვითარება აღწერილი, მაგრამ მკაფიოდაა გამოკვეთილი რუსეთის როლი და ინტერესები ოსების მიერ მოწყობილ აჯანყებებში.

2003 წელს დოდო ჭუმბურიძემ გამოსცა მონოგრაფია „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლე-

[2] საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი პირველი გამოსულია 2003 წელს, ხოლო წიგნი მეორე 2006 წელს.

ბი)“. მონოგრაფიაში 1920 წლის ოსეთის აჯანყებასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო საარქივო დოკუმენტია მოყვანილი, თუმცა დაშვებულია ერთი ხარვეზი, 1920 წლის აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად დასახელებულია გიორგი მაზნიაშვილი და ვალიკო ჯუღელი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ვალიკო ჯუღელს რა როლიც მიუძღოდა აჯანყების ჩახშობაში და მისი ხელმძღვანელად მოხსენიება ალბათ დამკვიდრებული აზრითაა გამოწვეული, მაგრამ გიორგი მაზნიაშვილს შეხება არ ჰქონია ამ აჯანყების ჩახშობასთან.

საინტერესო სტატისტიკური მონაცემები აქვს საქართველოში მცხოვრებ ოსებზე ანზორ თოთაძეს. მის მონოგრაფიებში „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი” (1993 წ.) და „ოსები საქართველოში: მითი და რეალობა” (2006 წ.) მოყვანილია საქართველოში მცხოვრები ოსების თანაფარდობა სხვა მოსახლეობასთან. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხინვალის მოსახლეობის სტატისტიკური ცვლილება რომელზე დაკვირვების საშუალებასაც აღნიშნული მონოგრაფიები გვაძლევენ.

საინტერესოა ასევე ავთანდილ მენთეშაშვილის ვრცელი სამეცნიერო სტატიები კრებულში „ოსთა საკითხი”, რომელიც გაგრძელებების სახით იბეჭდებოდა გაზეთ „სახალხო განათელბა”-ში 1989 წელს. აქ მას მოყვანილი აქვს საინტერესო საარქივო მასალები და დოკუმენტები 1920 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. აქცენტი აქაც გაკეთებულია რუსეთის ფაქტორზე აჯანყების განვითარებაში.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის” პრობლემაზე 2012 წელს გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი „აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების ანატომია”, რომელიც სულხან ალექსაიას ეკუთვნის. მასში მცირე ადგილი 1920 წლის აჯანყებასაც აქვს დათმობილი, თუმცა აჯანყების ჩახშობა აქაც ვალიკო ჯუღელს მიეწერება.

2012 წელს ასევე გამოვიდა საქართველოს ისტორიის ოთხტომეული. მეოთხე

ტომში ერთი თავი ეთმობა[3] საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. რესპუ-ბლიკის შიდა მოვლენების აღწერის დროს მცირედ არის მიმოხილული 1918 წლის ოსთა გამოსვლები, მაგრამ არაა საუბარი 1920 წელს მიმდინარე აჯანყებაზე.

რაც შეეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიას მასში როგორც დამახასიათებელია გაკრიტიკებულია მენშევიკური მთავრობა და ბრალი ედება ოსი ხალხის ჩაგვრა-ში.

1968 წელს გამოვიდა უშანგი ბახტაძის მონოგრაფია „სამხრეთ ოსეთის ავტო-ნომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა". აქაც ისევე რო-გორც საბჭოთა ისტორიოგრაფიას ახასიათებს მენშევიკებს ბრალდებათ მშრომე-ლი ოსების ჩაგვრა, რომლებიც თავისუფლებისთვის იბრძოდნენ და მათ ერთა-დერთ დამცველად ბოლშევიკურ პარტიას ასახელებს.

მსგავსი პათოსით არის დაწერილი 1969 წელს გ. თოგოშვილის მონოგრაფიაც „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა", სადაც უარყოფითადაა დახასიათე-ბული საქართველოს მთავრობის მიერ 1920 წლის აჯანყების ჩახშობა, ხოლო ვა-ლიკო ჯუღელი „არქიბანდიტად" არის მოხსენიებული.

ასეთივე ტონით არის 1972 წელს გამოსულ „საქართველოს ისტორიის ნარკ-ვევები"-ს მეექვსე ტომში ოსთა აჯანყებები აღწერილი. საქართველოს მენშევიკუ-რი მთავრობა გამოყვანილია ეთნიკურ უმცირესობათა მჩაგვრელად, რომლებმაც არ დაინდეს ოსები.

რაც შეეხება დოკუმენტებს, რომლებიც 1918-1921 წლებში იქმნებოდა ამ მხ-რივ გამორჩეულია სამი კრებული. ერთი ესაა 1958 წელს გამოსული „Борьба за победу советскои власти в Грузии: Документы и материалы (1927-1921гг.)", სადაც

[3] ამ თავის ავტორი არის ალ. ბენდიანიშვილი.

იმ პერიოდის დადგენილებები და ბრძანებებია შესული, მაგ. რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის ბრძანება ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების შესახებ და ა.შ. მეორე ესაა 1990 წელს გამოსული „საქართველოს დემოკრატიული აქტების კრებული, 1918-1921", სადაც თავმოყრილია ის კანონები თუ დებულებები, რომელთა მიღებაც დემოკრატიული საქართველოს პერიოდში ხდებოდა. ხოლო მესამე არის 2004 წელს გამოსული „ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია)", სადაც ასევე იმ პერიოდის მნიშვნელოვანი საბუთებიცაა შესული, მაგ. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება.

რაც შეეხება მემუარებს ჩვენთვის ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის მემუარები „ფიქრები საქართველოზე", სადაც მოცემულია აჯანყების შეფასებები და რუსეთის ფაქტორი ამ მოვლენებში. ასევე აჯანყების ჩახშობის ოპერაციის ხელმძღვანელის, გიორგი კვინიტაძის „მოგონებები" (კერძოდ კი წიგნი I), სადაც ის აღწერს 1920 წლის აჯანყების მოვლენებსაც. მნიშვნელოვანია ასევე აჯანყების ჩახშობის ოპერაციის დროს მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელის, ვალიკო ჯუღელის მოგონებები „Тяжелый кресть (Записки народногвардейца)", სადაც იგონებს აჯანყების ჩახშობის მსვლელობას და იმ სიმკაცრის აუცილებლობას ხსნის, რასაც ქართული გვარდია იჩენდა აჯანყების ჩახშობის დროს.

ახლა რაც შეეხება 1920 წლის ქართულ პრესას, რომელიც აღნიშნული საკითხის კვლევაში მთავარ წყაროს წარმოადგენს ჩვენთვის.

პირველი ესაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". მეორე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაზეთი „ერთობა". მესამე კი სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე". აღნიშნული გაზეთები საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის 1920 წლის აჯანყების დაწყებიდან მის დასრულებამდე. აქ

იბეჭდებოდა სამხედრო შტაბის ყოველდღიური ცნობები, ასევე ანალიტიკური სტატიები, სადაც ხდებოდა არსებული ვითარების მიმოხილვა და მიზეზების კვლევა. მართალია ზოგიერთ სტატიაში იგრძნობა, რომ სამი აჯანყება ოსების მხრდიან არავის სიამოვნებდა და უკვე მობეზრებული ჰქონდათ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ ეს არ იყო მშვიდობიანი მოსახლეობიდან წამოსული მუხტი და ქართულ ოსური კონფლიქტი, არამედ ეს იყო რუსეთის ჩარევით გამოწვეული დაპირისპირება.

ამ საკითხთან დაკავშირებული ასტორიოგრაფიული მიმოხილვა ასეთ სახეს გვაძლევს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ოსურ საკითხთან, ან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები მრავლად მოიპოვება, მაგრამ ჩვენ შევეხეთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც კვლევისთვის საჭირო ინფორმაციისა იძლეოდა.

თავი I. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის (1918-1921 წწ.) კვლევის პრობლემური მხარე ისტორიოგრაფიაში

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის კვლევის საინტერესო ეტაპია მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, დღემდე მოყოლებული პერიოდი. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ცხადია, ცენზურა თავისებურ შეზღუდვებს აწესებდა. ამის გამო, აღნიშნული პრობლემის კვლევას ერთი ძირითადი ხაზი გასდევს, თანაც თან ერთვის ყველასთვის ნაცნობი ფაქტიც, საბჭოთა პერიოდში მეცნერთთვის არქივებზე წვდომის შეზღუდვის შესახებ.

1991 წლის 9 აპრილის შემდეგ, არქივებზე წვდომა თანდათან ღია ხდება, ამას თან ერთვის საზღვარგარეთ დაცული საარქივო მასალის საქართველოში დაბრუნება და ცენზურის მოხსნა. ყველაფერი ეს უდავოდ მეცნიერთათვის კვლევების გამარტივებას მოასწავებდა. რეალურად ასეც მოხდა. ცხინვალის კონფლიქტის აქტუალურობამ დამატებითი მნიშვნელობა შესძინა კონფლიქტის საწყისების კვლევას.

სწორედ ამ პერიოდში თავი იჩინა ერთმა მნიშვნელოვანმა დაბრკოლებამ. მართალია საბჭოთა ცენზურის წნეხი აღარ არსებობდა, თუმცა ალბათ პოლიტიკის ჩარევა მეცნიერებაში მძიმე წარსულად დააწვა პოსტაბჭოთა ქვეყნებს. საქართველოში ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტების წარმოშობამ, სამოქალაქო ომმა და სხვა თანმდევმა სირთულეებმა კიდევ უფრო შეაფერხა სამეცნიერო კვლევების მეთოდოლოგიისა და ალბათ ზოგადად მიმართულების განვითარება. ცხინვალის კონფლიქტზე გამოცემულ სამეცნიერო პუბლიკაციებში ხშირად გვხვდება პოლიტიკის გავლენა ნაწერზე. აქ, ცხადია, არ

ვგულისხმობ იმას, რომ საბჭოთა კავშირის მსგავსად, კვლავ სახელმწიფო ცდილობდა სამეცნიერო სფეროს კონტროლს, ამის ძალაუფლება ახალ პოლიტიკურ ელიტას ერთი მხრივ ნაკლებად ჰქონდა, ხოლო, მეორე მხრივ, ალბათ ნაკლებ აქტუალურიც იყო.

თუმცა, როგორც მოსახლეობისთვის, ისე მეცნიერთათვის ცხინვალის რეგიონის კონფლიქტმა ემოციურად თავისი გავლენა მოახდინა და ეს კვლევის/ანალიზის მომენტში სუბიექტურ ფაქტორებზე აისახა. კვლევების არც თუ ისე ცოტა ნაწილში, როდესაც მათ კითხვას შეუდგებით, მალევე ცხადი ხდება, შეიძლება ქვეცნობიერად, მაგრამ ავტორი ცდილობს არა პრობლემის შეძლებისდაგვარად ობიექტურად, სამეცნერო კუთხით კვლევას, ფაქტების დაზუსტებას, შედეგების გამოვლენას და მათ გაანალიზებას, არამედ ქართული მხარის ასე ვთქვათ გამართლებას. ამ ფაქტს კი კვლევა თავიდანვე სუბიექტურ მიმართულებაზე მიჰყავს და გარეშე მკითხველისთვისაც ნაკლებად სანდოდ აღიქმება, როდესაც ავტორი ფაქტობრივად დასკვნას თავშივე გვთავაზობს და შემდეგ ცდილობს მის არგუმენტირებას.

უცხო არ არის, რომ პოლიტიკური დებატების დროს ბრალდებები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა ხშირად ეს ბრალდებები სამეცნიერო პუბლიკაციებშიც ინაცვლებს, რასაც შემდეგ მოსდევს უკვე რეცენზიებისა თუ პასუხების წერა ამა თუ იმ მეცნიერის ნაშრომზე. ამ შემთხვევაში ყველაზე უხეშ ფორმას იღებს ფაქტებით ისეთი კამათი, როდესაც კონკრეტული წყარო არ სახელდება. მაგალითად ავტორს სურს საპასუხოდ ფაქტის მოყვანა, რომელსაც ამყარებს იმ არგუმენტით, რომ ის დაცულია არქივში, თუმცა არქივის, ფონდისა და ნომრის ან უფრო დეტალური ინფორმაციის მითითება არ ხდება. ეს ცხადია სამეცნიერო პოლემიკას სიმყარეს აცლის და სამეცნიეროს ნაცვლად ემოციებზე და

სუბიექტურ სურვილებზე, კონკრეტულ ერთი მხარის გასამართლებლად არსებულ მტკიცებას ემსგავსება.

ნაშრომებში ხშირია შემდეგი სახის ფრაზები: „დოკუმენტური მასალით დადასტურებიულია...“; „უტყუარი საარქივო მასალითაა დადასტურებული“ და ა.შ. თუმცა კონკრეტული დოკუმენტაცია, რომელ საარქივო მასალაზეა საუბარი ან სხვ. მოყვანილი არ არის. ასევე მაგალიტად არის შემთხვევები, როდესაც ოს ისტორიკოსებთან პოლემიკური ხასიათი პუბლიკაციებში, მოყვანილია ციტატა დოკუმენტიდან, თუმცა დოკუმენტის მითითება არ ხდება, რაც ცხადია იწვევს უნდობლბას, განსაკუთრებით მათთვის, ვის მიმართაც არის დაწერილი პასუხი.

რუკები საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან:

შეიარაღებული აჯანყების და მუშათა და გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების კერები - საქართველოში 1905-1907 წწ.




გლეხთა აჯანყებები საქართველოში 1917-1920 წწ.
ᲨᲐᲕᲘ
ᲖᲦᲕᲐ
გაგრა
ბზიფი
გუდაუთა
სოხუმი
კოდორი
ენგური
ცაგერი
ამბროლაური
ონი
ზუგდიდი
ხეხანიწყალი
სენაკი
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
საჩხერე
ყვირილა
ᲠᲘᲝᲜᲘ
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ
ᲑᲣᲤᲑᲐ
ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ
ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ
ᲖᲜᲐᲣᲠᲘ
ᲠᲝᲙᲐ
ᲯᲐᲕᲐ
ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ
ᲓᲣᲛᲔᲗᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘ
ᲛᲝᲠᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ
ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ
ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ
ᲘᲝᲠᲘ
ᲥᲘᲠᲘᲗᲘ
ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲘ
ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ
ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲔᲑᲘ 1917-1918-1919 Წ Წ.
ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲗᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ



კიდევ ერთი უხეში პრობლემა არის წყაროების უგულებელყოფა. ეს პრობლემა ყველაზე თვალსაჩინო ხდება, როდესაც ავტორი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს უძღვნის წესით მნიშვნელოვან სტატიას ან/და სქელტანიან გამოკვლევას, მაგრამ არ იყენებს იმ წყაროებს, რომელნიც მის არგუმენტაციას ან ეჭვქვეშ დააყენებს, ანაც უარყოფს, არა და ეს წყაროები არც რთულად მისაკვლევია, არც უცნობი და ხშირ შემთხვევაში გამოქვეყნებულიც რამდენიმე წლის წინ.

სწორედ მსგავსი პრობლემების წარმოჩენას და მათ განხილვას ისახავს მიზნად ჩემი კვლევა, რომლის მიზანიც არის კვლევებში სამეცნიერო მხარის წინ

წამოწევა, რომელიც ხშირად იჩრდილება სუბიექტური და გადამეტებული პატრიოტული მოტივების ფონზე. ცხადია, ზემოაღნიშნული ფაქტები თუ პრობლემები მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიას არ ახასიათებს და ისინი მრავლად არის რუსულ თუ ოსურ პუბლიკაციებშიც. ამით ის ფაქტიც მინდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე ჩემი მხრიდან მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემატიკის განხილვა არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს, ეს ხარვეზები მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის თანმდევი პრობლემაა.

მსგავს, დაუდასტურებელ ინფორმაციას ხშირად შეხვდებით ოსი ან რუსი ავტორების ნაშრომებში. მაგალითად, ხშირად მოჰყავთ სტატისტიკა, თუ რა მსხვერპლი მოჰყვა 1920 წელს ქართული ჯარის მხრიდან მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლას:

ქართველების მიერ მოკლულია:

387 - კაცი

172 - ქალი

110 - ბავშვი

ემიგრაციაში გაქცევის/გახიზვნის დროს დაიღუპა:

1206 - კაცი

1203 - ქალი

1734 - ბავშვი

- გაუპატიურების 62 შემთხვევა
- დაწვეს 4227 საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობა
- გაიძარცვა 1268 მოსახლის ქონება

(заря востока 1924: №575)

შეგვიძლია მივყვეთ სტატისტიკის პირველ საწყისს, მაგრამ მას არ მივყავართ არცერთ სტატისტიკურ კვლევასთან ან საგამოძიებო ოქმთან. მხოლოდ აღნიშნული სტატისტიკის გადაბეჭდვა ხდება სხვადასხვა პუბლიკაციებში.

ასევე, ქართულ პუბლიკაციებში ხშირად შეხვდებით შემდეგ სიტყვებს ოსების მიმართ:

ავაზაკები;

ქურდები;

მიწურში მცხოვრებნი;

სამოწყალოდ შეფარებულნი;

უმადურნი;

პარაზიტები...

ხოლო ოსურ/რუსულ გამოცემებში კი შემდეგს:

ოსი ხალხის მტრები;

მოძალადენი;

მკვლელები;

მჩაგვრელები...

ეს ფრაზები კარგი მაჩვენებელია იმისა, რომ საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომებში ხშირად ვხვდებით აკადემიური, სამეცნიერო სტანდარტების დარღვევას და არაკორექტული ან პოლიტიკური ფრაზების კორიანტელს.

თავი II. ტოპონიმის დადგენისათვის

სადოქტორო ნაშრომის წერის დროს, გვერდს ვერ ავუვლიდი ისეთ საკითხს, როგორიცაა ტოპონიმი. მართალია ჩემი კვლევის პირდაპირ მიზანს არ წარმოადგენს ტოპონიმის კვლევა და დადგენა, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ იქნება ეს კონფერენციები თუ სამეცნიერო დისკუსიები, ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხი, კონფლიქტური რეგიონის ტოპონიმია.

ცხადია, ეს პრობლემა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებაში არ დგას, რაც კიდევ უფრო სენსიტიურს ხდის ამ საკითხს. სამეცნიერო ნაშრომებში, სოციალურ ქსელში თუ მედიაში, ხშირად ხდება რეგიონის მოხსენიება სხვადასხვა სახელებით, რომელთაგან ძირითადი ნაწილი ასე გამოიყურება:

- სამაჩაბლო;
- ცხინვალის რეგიონი;
- შიდა ქართლის ნაწილი;
- ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“
- სამხრეთ ოსეთი.

პირველ რიგში, აქ რამდენიმე პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. ნაწილი აქცენტს აკეთებს კონფლიქტზე და მათთვის მთავარია არ იქნას გამოყენებული სამხრეთ ოსეთი ან ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“. ამის სანაცვლოდ, ხშირად თავს იჩენს მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან პოპულარული ტერმინი სამაჩაბლო. თავად ეს ტერმინი ცხადია გაცილებით ძველია და XV საუკუნეში მაჩაბელთა საგვარეულოს ფეოდალურ სახლს უკავშირდება, რომელთაც მდ. ლიახვის ხეობა

ეკავათ. ტერმინ სამაჩაბლოს მინუსი ალბათ ისაა, რომ ეს ტერიტორია უფრო მცირეა, ვიდრე კონფლიქტის რეგიონი, შესაბამისად ის სრულად არ მოიცავს მას.

საინტერესოა ის მომენტიც, რომ „ოსთა ოკრუგი“ არსებობდა გორის მაზრის ფარგლებში 1844-1858 წლებში.[4]



რუკა 1. რეგიონის ამსახველი რუკა

ტერმინი ცხინვალის რეგიონი უფრო გვიან გახდა პოპულარული და მისი წარმომავლობა დაკავშირებულია კონფლიქტის ცენტრთან. კონფლიქტის საწყისი პერიოდიდან, საქართველოს დემოკრატიული პერიოდიდან მოყოლებული,

[4] იხ. საქართველოს ისტორია XX საუკუნე. თსუ სახელმძღვანელო, თბ. 2004).

თანამედროვე კონფლიქტით გაგრძელებული, სეპარატისტული მხარის მთავარი მოთხოვნა იყო, რომ მათი ცენტრი გამხდარიყო ქალაქი ცხინვალი. ეს მოთხოვნა ყოველთვის წინა პლანზე იდგა, მიუხედავად იმისა იქ მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ ეთნიკური ოსები თუ არა.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტებისა, ცხინვალის რეგიონი და თანაც იმ მასშტაბით რა მოთხოვნებიც სეპარატისტულ მხარეს გააჩნდა, რეალობაში არასდროს არ ყოფილა. აქედან გამომდინარე ცხინვალის რეგიონიც ავთენტურ ტოპონიმად ვერ გამოდგება.

ტერმინი სამხრეთ ოსეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ყველაზე საკამათო ნაწილია. ტერმინი ახალი არაა, თუმცა მისი ფართოდ გამოყენება მეოცე საუკუნეს უკავშირდება. პირველად მისი გამოყენება რუსულ ენციკლოპედიაში მოხდა მეცხრამეტე საუკუნეში. სეპარატისტული მხარე და რუსი მეცნიერები აქტიურად იყენებენ იმ ფაქტსაც, რომ ეს ტერმინი აკაკი წერეთელთანაც გვხვდება.

კონფლიქტის სეპარატისტული მხარე და რუსი მეცნიერების დიდი ნაწილი, ცდილობს ამ ტერმინის დამკვიდრება დაუკავშიროს კონფლიქტს, 1920 წლის ე.წ. „გენოციდს“. სადოქტორო დისერტაციაში ამ საკითხს უფრო ვრცლად ვეხები, თუმცა ნაშრომის დანართი 1 ნათლად აჩვენებს, რომ ტერმინ სამხრეთ ოსეთის გამოყენება და ტერიტორიის ცალკე (საწყის ეტაპზე ადმინისტრაციის სახით) ჯერ კიდევ კონფლიქტამდე ხდება. შესაბამისად ის კარგად მოფიქრებული, გააზრებული იყო და არა ე.წ. „გენოციდის“ შედეგი.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდში ტერმინი სამხრეთ ოსეთი აქტიურად დამკვიდრდა. 90-იან წლებში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმდა, ეს ტერმინი უარყოფითად გამოიყენებოდა. ამით თითქოს მისი გამოყენების იურიდიული საფუძველიც

გაქრა საქართველოში, თუმცა სეპარატისტული მხარის დე ფაქტო ხელისუფლება მას კვლავ აქტიურად იყენებდა.

შიდა ქართლის ნაწილი, ჩამოთვლილთაგან ალბათ ყველაზე მეტად შეესაბამება, ვინაიდან ეს ტერიტორია მართლაც შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს, თუმცა შედარებით ზოგადია. სწორედ ამიტომ, ნაშრომის სათაურში გამოყენებულია ტერმინი შიდა ქართლის მთიანეთი. შიდა ქართლის მთიანეთი გაცილებით ნეიტრალური ტერმინია, რომელიც გეოგრაფიულ საწყისებზეა დამყარებული და არა სხვადასხვა პერიოდში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მმართველობაზე. ეს ტერიტორია ისტორიული შიდა ქართლია და კონფლიქტის ზონა მის ნაწილს, მთიანეთის ნაწილს წარმოადგენს.

სწორედ ეს იქნება ალბათ პასუხი ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე ნაშრომის მიმართ, თუ რატომ არის გამოყენებული სათაურში შიდა ქართლის მთიანეთი და არა ცხინვალის რეგიონი ან ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“.

თავი III. კონფლიქტის წინა პერიოდი

§3.1. მოვლენების მიმოხილვა

კონფლიქტის წინა პერიოდის განხილვის დროს არ მექნება საუბარი ქვეყანაში არსებული ზოგად მდგომარეობაზე, დიდ გეოპოლიტიკურ მოვლენებზე, პირველ მსოფლიო ომზე და ა.შ.

საკვლევი თემის საკითხიდან გამომდინარე უფრო საინტერესო არის, თუ რა გახდა კონფლიქტის საფუძველი, რამ განაპირობა მისი წარმოშობა. ეს საინტერესოა, ვინაიდან ოსურ/რუსულ მეცნიერებებში ხშირად ვხვდებით ფრაზებს, რომ ეს განპირობებული იყო ქართული ხელისუფლების შოვინისტური დამოკიდებულებით და სწორედ ამან გამოიწვია საჭიროება/მოთხოვნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა თუ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის.

ამ მხრივ საკმაოდ საინტერესო დოკუმენტი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მიხეილ მაჩაბლის არქივში (ხეც: მაჩაბელი № 1523). მიხეილ მაჩაბელი იყო ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. 1917 წლიდან იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი, 1885-1918 წლებში კი მუშაობდა მიწათმოწყობის სამინისტროში, საიდანაც სავარაუდოდ აღნიშნული დოკუმენტი მოხვდა მის არქივში).

აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია 1917 წლის ბოლოს, დეკემბერში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს არის პერიოდი, როდესაც არათუ საქართველოს

არ აქვს გამოცხადებული დამოუკიდებლობა, არამედ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა.

აღნიშნული დოკუმენტის გარეშე, კვლევის დროს შეიძლება შთაბეჭდილებაც კი შეგექმნათ, რომ კონფლიქტი მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო დაიწყო (რის შესახებ დავაც ქართულ პარტიებს შორის პრესაში თვალსაჩინოა). თავდაპირველად რჩება შთაბეჭდილება, რომ კონფლიქტი, ლოგიკურად გადაიზარდა უფრო მსხვილ მოვლენად და თავიდან არ იყო არანაირი საუბარი ცალკე პოლიტიკურ ერთეულზე. მაგრამ ეს დოკუმენტი მთელ ამ სურათს ცვლის.

მაჩაბლის არქივში დაცული № 1523 დოკუმენტის მიხედვით 1918 წლის იანვარის დასაწყისში წარედგინა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

რეალურად ეს არის პროექტი, თუ როგორ, რატომ და რა საზღვრებში უნდა შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის ერობა, თავისი შიდა თვითმმართველი ერთეულებით. რა თქმა უნდა საყურადღებოა, რომ პროექტი შეიქმნა კონფლიქტამდე. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ დოკუმენტში ხაზგასმულია, ცხინვალში ოსების სიმცირე, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი მოთხოვნა, ვინაიდან ის ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა მიმდებარე ტერიტორიისთვის.

მართალია სრული დოკუმენტი დანართი 1-ის სახით ტან ერთვის ნაშრომს, მარგამ ჩემი აზრით ყველაზე საყურადღებო მომენტი არის ის მიზეზები, რომლებსაც პროექტის ავტორები ასახელებენ სამხრეთ ოსეთის ერობის შესაქმნელად და რაც მთავარია, დეტალური აღწერა იმისა, თუ რა საზღვრებში უნდა მოხდეს ეს. სწორედ მომყავს სრული თარგმანი აქვე:

პროექტი

ზემსტვოს შემოღება სამხრეთ ოსეთში და მისი გამოყოფა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულზე

„ქვეყნის საერთო ემანსიპაციასთან ერთად, რუსეთის დიდმა რევოლუციამ ასევე უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები ჩვენს გარეუბნებში მცხოვრები ხალხების კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის.

უდავოა, რომ ზემსტვო თვითმმართველობის შემოღება, რომელიც ამიერკავკასიის დემოკრატიისთვის გადაუდებელ ამოცანად იქცა, ძლიერ ბიძგს მისცემს ადგილობრივი ძალების სწრაფ ზრდას.

ამის პარალელურად აუცილებელია სახელმწიფოს ადმინისტრაციული მეურვეობის გაუქმება და ზემსტვო დაწესებულებებში ადმინისტრაციული მართვის ფუნქციის კონცენტრირება.

ბუნებრივია, ჩვენი ახალგაზრდა ზემსტვოები უნდა იყოს აგებული ყველაზე ფართო დემოკრატიულ პრინციპებზე, ეროვნული უმცირესობების უფლებების სრული გარანტიით. მაგრამ ასეთი გარანტია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობას მიეცემა უფლება თავისუფლად დაჯგუფდეს ადმინისტრაციულ და ზემსტვო ერთეულებად რეალური ინტერესების ფხიზელი გათვალისწინების საფუძველზე. ეს პრინციპი წამოაყენეს დაინტერესებულმა მხარეებმა ამიერკავკასიაში ზემსტოვოსის შემოტანის შეხვედრებზე. სამწუხაროდ, ის არ განვითარდა თანმიმდევრულად და ეს პუნქტი გარკვეულ

სირთულეებს შეუქმნის ზემსტვო თვითმმართველობის პრაქტიკულ შეჯამებას, თუნდაც იმ პროვინციებსა და რაიონებში, რომლებიც ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებით აღიარებულია, როგორც უდავო. რეალობა ბადებს კითხვებს ისეთი დაჯგუფებების გადაუდებელ აუცილებლობაზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული დადგენილებით.

სამხრეთ ოსეთის ხალხის მკაფიოდ და ნათლად გამოხატულ ნებაზე დაყრდნობით, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ამიერკავკასიაში ზემსტვო საქმის სამართლიანი განხორციელება წარმოუდგენელია რაჩინსკის, გორსკის და დუშეცკის ზემო ნაწილებიდან სპეციალური რაიონული ადმინისტრაციულ-ზემსტვო სამმართველოს ჩამოყალიბების გარეშე. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიერ მთლიანად დაკავებული ტერიტორიები. ეს ზოლი დასავლეთით იწყება რაჭის რაიონში მდინარე გარულასა და ყვირილას ზემო წელზე. ლოპანი გორსკის რაიონში და გადაჭიმულია აღმოსავლეთით საქართველოს სამხედრო გზატკეცილამდე. უკავია შუა კავკასიონის სამხრეთ კალთა მდინარეების პრონას, ბოლშაიას და მალაია ლიახვის აუზების გასწვრივ. მეჯური, ლეხური და ქსანი, ეს ზეგანი დასახლებულია, მთების გამოკლებით, ხოლო მთავარ ქედთან უფრო ახლოს, კლიმატი ისეთი მკაცრია, ხშირად ისეთი უპრეტენზიო მცენარეც კი, როგორიც ქერია, არ მწიფდება. მოსახლეობის ძირითადი მასა მესაქონლეობით ცხოვრობს, სოფლის მეურნეობას მხოლოდ დამხმარე საქმიანობით მიმართავს. ამ მხრიდან, მთიანი რეგიონი პირდაპირ ეწინააღმდეგება მეზობელ ბრტყელ ზოლს, განსაკუთრებით გორის ხეობას, სადაც ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგური პირობები დღესაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალ ფორმებზე გადასვლას. მომავალი სამხრეთ ოსური

ზემსტვო დგას რთული ამოცანის წინაშე - გადაიყვანოს მთიანი ოსი მოსახლეობა პრიმიტიული მესაქონლეობიდან რაციონალურად ჩამოყალიბებულ ეკონომიკაზე. მას მოუწევს იმუშაოს მეცხოველეობის ჯიშის გაუმჯობესებაზე და კოოპერატიულ საფუძველზე სანიმუშო რძის მეურნეობების მოწყობაზე. მას მოუწევს მეცხოველეობის ჯიშის გაუმჯობესება, კოოპერატიულ საფუძველზე მოდელირებული რძის მეურნეობების ორგანიზება და რძის პროდუქტების მარკეტინგის მიზანშეწონილად ორგანიზება. ასეთი აქტივობა წინასწარ განსაზღვრავს სამხრეთ ოსეთის ზემსტვო თვითმმართველობის პირვანდელ ფიზიონომიას.

მაღალმთიანი ოსი მოსახლეობა ძირითადად იმპორტირებული მარცვლეულით ცხოვრობს. ისინი მოწოდებულია ნაწილობრივ ვლადიკავკაზის რეგიონიდან, ნაწილობრივ ამიერკავკასიიდან. სამწუხაროდ, ამიერკავკასია თავისი პურით ვერ იარსებებდა მშვიდობიან დროსაც და ომის დაწყებისთანავე ჩრდილოეთ კავკასიაზე დამოკიდებულება, მოგეხსენებათ, სრულიად ტრაგიკული გახდა. კერძოდ, გორის ხეობაში, რომელიც ჩვეულებრივ მარცვლეულით ემსახურებოდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, მებოსტნეობა-მებოსტნეობაზე გადასვლის გამო მარცვლეული კულტურების ხვნის ფართობი ყოველწლიურად მცირდება. შორს არ არის ის დრო, როცა გორის ხეობას უფრო მომგებიანი აღმოჩნდება ჩრდილოეთ კავკასიაში იაფი პურის ყიდვა და სახლში მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას დაიწყებს. იმისათვის, რომ მთიელი ოსი მოსახლეობა პურის გარეშე არ დარჩეს, ჩვენი ზემსტვოები იძულებულნი იქნებიან საკუთარ თავზე აიღონ ჩრდილოეთ კავკასიიდან მარცვლეულის სისტემატური მიწოდება.

ეს მომენტი აიძულებს სამხრეთ ოსეთის თვითმმართველობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მთის ზოლზე საკომუნიკაციო ხაზების პოზიციას. ჩვენთვის ეჭვგარეშეა, რომ სამხრეთ ოსეთის საზოგადოება, მხოლოდ ქვეყნის ზემსტვო ერთეულში გაერთიანებით, გაუმკლავდება არდონის ხეობასთან პირდაპირი საავტომობილო კავშირის დამყარებას, რაც, მოგეხსენებათ, დიდი ხანია ნაკარნახევია. სამხრეთ ოსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები.

ამ ზედაპირული შტრიხებიდან ირკვევა, რომ თქვენს ზემსტოვოს მოუწევს თავისებური ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, რომ ამ ზემსტოვოს საქმიანობას მკვეთრად გამორჩეული ხასიათი ექნება მკურის აუზის ხეობებთან შედარებით. თუ ამიერკავკასიის დემოკრატია დაინტერესებულია გორნო-ოსეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარებით, მან მსოფლიო მასშტაბით უნდა შეუწყოს ხელი ამ რეგიონის სპეციალურ უეზდ ზემსტვო ერთეულს გამოყოფას.

სამხრეთ ოსი ხალხისთვის დამოუკიდებელი ოსური ოლქის „ზემსტვო“-ს ეს ფორმირება საბოლოოდ ამარტივებს ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემას, რაც კავკასიური რეალობის ატმოსფეროში ეროვნული ურთიერთობების სიმწვავისა და სირთულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კავკასიელი რევოლუციონერის მუშაობას. დემოკრატია.

შეჯამებით ჩვენი მოსაზრებები დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის უეზდის ადმინისტრაციული ზემსტვო სამმართველოს ფორმირების სასარგებლოდ, შეგვიძლია მათი დაყვანა შემდეგ ძირითად დებულებებამდე: სამხრეთ ოსეთის უეზდის ადმინისტრაციული

ზემსტვო ერთეულის შექმნა სასიცოცხლო აუცილებლობით არის გამოწვეული, რადგან არსებობით ასეთი ერთეული შესაძლებელია 1) ოსი ხალხის ფსიქოლოგიასთან მიმართებაში ადმინისტრაციული მართვის სისტემის აგება, 2) ყველა დაწესებულებაში ოსური ენის თანმიმდევრულად გამოყენება, 3) კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას მყარი საფუძველი ჩაეყაროს. გორნო-ოსეთის რეგიონისა და 4) სამხრეთ ოსეთის რეალობის პირობებში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დიდად გამარტივება. რა საზღვრები აქვს სამხრეთ ოსეთის ქვეყნის ადმინისტრაციულ-ზემსტვო ერთეულს, რომელსაც ჩვენ ვქმნით? რაჭის რაიონში მდინარე ურუს-დონით იწყება, სამხრეთ ოსეთის მხარის დასავლეთი საზღვარი მიემართება სამხრეთით, კვეთს მდინარეების ქვედრულისა და ჯოჯორას ზემო დინებას, ეშვება შოროპანის რაიონში, გადის მდინარეების ჯალამეტისა და ყვირილის შესართავთან. და გადის გორის რაიონში მდინარე ლოპანიას შესართავამდე. აქ სასაზღვრო ხაზი უკვე სამხრეთიდან მიდის ლოფნისწყლიდან სოფლების მახლობლად. წპელისი, იპყრობს ავლევსკის (ოკონსკის) საზოგადოების ოსურ დასახლებებს, უხვევს ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით, გადის ქალაქ ცხინვალს და მიემართება აღმოსავლეთით სოფლების ერედვისა და არბოს ზემოთ. მერეტის საზოგადოების გასწვრივ გადაადგილებით, ოსეთის რეგიონის სამხრეთ საზღვარი იპყრობს ყველა ავდორის (მეძრისხევის) თემს, გადის მეჯვრისხევთან, კვეთს ხელთუბანისა და ქვემოჭალის თემების ჩრდილოეთ ზოლს ოს მოსახლეობასთან ერთად, უხვევს დუშჩეტის რაიონში ქსნის გასწვრივ. მდინარე ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ ოძისთან და ეყრდნობა საქართველოს სამხედრო გზატკეცილს, რომელიც ემსახურება სამხრეთ შემოდგომის ოლქის აღმოსავლეთ საზღვარს. ჩვენს მიერ ასახულ საზღვრებში მთელი ტერიტორია დასახლებულია ოსებით, გარდა თამარაშენის

საზოგადოებისა (938 სული ოსი) და ცხინვალისა, სადაც ოსი მოსახლეობა უმცირესობას წარმოადგენს. ეს ტერიტორია მოიცავს მთელ ჩასავოლის საზოგადოებას და რაჭის რაიონის გორსკის (ონ) საზოგადოების ნაწილს (ქვედა და ზემო კვაჟა), შოროპანის რაიონის ჩიხის საზოგადოებაში ვიდელიას დასახლებები, კემულტი, როკი, ჟავი, ორევსკი, ბელოტი. , გორის რაიონის მეჯვრისხევის, წუნარის და ყორნის თემები. აქ აუცილებელია ავლევის საზოგადოების დიდი ზოლის დატოვება (სოფლები თელგინა, ლიზა, ოჟორა, თერეგვანი, გადღინა, ჭურისხევი, ფიჭიჯინი, ლოპანიი, გვირგვინი, კოლეთი, წნელისი, გორისთავი, ძაგინა, მუგრისი, სხლიტა და სხვ.). . მერეთ საზოგადოება, ჰელთუბანის საზოგადოება (სოფ. ცხოვრება, პარეისხევი, გუჩაანწყარი, კედი, ვიჩაანთკარი, წინაგარი, გდულეთი, მეტესმანი, გუდიანთკარი, ვაგები და სხვ.), ვანე, პონტიანი, ქვემო-რუნე, გამოლისკარი, რგვალგორაკი, ნიღორაყები, ზემო. დუშეთის რაიონის თემებიდან სამხრეთ ოსეთის რაიონი უდინიცა დაიპყრობს მთელ რეჰულ საზოგადოებას, სამონასტრო თემს, ზემო ხევის თემს (ტრუსოვსკოეს ხეობა, კობი), ახალგორის საზოგადოების უმეტეს ნაწილს და გუტკომის ხეობას. ზემო მთიულეთის საზოგადოება. ზგუდერის საზოგადოების ზოგიერთი დასახლება, სადაც ოსი მოსახლეობა აღწევს 1606 სულს ორივე სქესის, ასევე შეიძლება შევიდეს სამხრეთ ოსეთის საოლქო ერთეულში.ყველა ოსური საზოგადოების გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენს ცხინვალი, რომელიც მდებარეობს მდინარე ლიახვზე. , იმ ადგილას, საიდანაც იწყება მთის ზოლი. თვითმფრინავი და დიდწილად ითამაშებს კულტურული და ეკონომიკური გაგებით. თავად ცხინვალის მოსახლეობა სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მთის ზოლთან მიმართებაში თავისი ხელსაყრელი პოზიციის დაკავებით. როგორც სავაჭრო პუნქტი, ცხინვალი ცხოვრობს ექსკლუზიურად მაღალმთიანი ოსი მოსახლეობით, ვინაიდან

ეს მოსახლეობა ცხინვალს ქარხნული მრეწველობის პროდუქციის სანაცვლოდ აწვდის ნედლეულს (პირუტყვი, ყველი, კარაქი, ხე-ტყე). ცხინვალის, როგორც სავაჭრო ცენტრის დაკარგვის შემდეგ, ოსები მთელ თავის ნედლეულს ალაგირის ბაზარში საუღელტეხილო გზის აშენებით გადაყრიან და ეს პირველ რიგში ცხინვალის ვაჭრობის ინტერესების საზიანოდ იქნება.

ზემსტვოს თვითმმართველობა, როგორც მისი ყველაზე დაბალი უჯრედი, უნდა ეფუძნებოდეს პატარა ზემსტვო ერთეულს, თვითმმართველ ფრაქციას, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოსახლეობასთან. სამხრეთ ოსეთის ოლქის საზღვრებში მცირე ზომის ზემსტვო ერთეულების რაოდენობის განსაზღვრისას, რა თქმა უნდა, უნდა დავიცვათ ეკონომიკური პრინციპი, რადგან ტოპოგრაფიული რელიეფი ამის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, პატარა zemstvo საზოგადოება არ უნდა იყოს ძალიან პატარა, რომ გაუმკლავდეს თავის ამოცანებს. პირიქით, თუ მცირე ადგილობრივი ხელისუფლება ძალიან დიდია სივრცითა და მოსახლეობით, ეს ხელს შეუშლის მას იყოს საკმარისად მოქნილი, რათა მოერგოს ადგილობრივ საჭიროებებსა და სარგებელს. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვლინდეს დაახლოებით 3-4 მცირე თვითმმართველი განყოფილება სამხრეთ ოსეთის რაიონში ზემსტვოში; თითოეული ამ განყოფილების მოსახლეობა მერყეობს 15000-დან 20000 სულამდე.

ერთ პატარა ზემსტვო ერთეულში - ცხინვალში აუცილებელია ყორნის, ცუკარის, ავლევის (ოსების დასახლებები) და თამარაშენის თემების გაერთიანება. ეს იქნება უპირატესად სასოფლო-სამეურნეო რეგიონი. აქ როგორც კლიმატური, ისე ნიადაგური პირობები ხელს

უწყობს სოფლის მეურნეობის რაციონალური მეთოდების გამოყენებას, ზოგან მებაღეობას. ეს ტერიტორია შეძლებს მარცვლეულის გარკვეული ჭარბი გამოყოფას მიმდებარე ოჟავას მოსახლეობისთვის. მეორე - ჯავსკაია - თვითმმართველი საზოგადოება შეიძლება ჩამოყალიბდეს ჩასავალსკის საზოგადოებისგან გორსკის და ჩიხსკის საზოგადოებების მიმდებარე დასახლებებით, კემულცკი, კორსკი, ზემო ხევსკი და ჟავსკის საზოგადოებები. ამ რეგიონის თემების უმეტესობა, კერძოდ, ჩასავალი, კემულთი, როკი და ზემო ხევი, წარმოადგენს მესაქონლეობის ზონას. ზემსტვოს ამოცანები იქნება აქ რაციონალური საფუძველზე რძის მეურნეობის განთავსება. რაც შეეხება საკუთრივ ჯავის საზოგადოებას, ამ მხარეში მარცვლეულის ოსტატურად მოყვანას შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობის მარცვლეულის უზრუნველყოფა. ტერიტორიულად მომიჯნავე ოსური თემი ორჟევსკოე, ბელოცკოე, მერეცკოე (სოფლები ზემო-კერე, დმენისი, სნეკვი, სატეხარი, ხელჩუა) და მეძრისხევსკოე, სავარაუდოდ, ცალკე მცირე ზემსტვო ერთეულად - გერსკაიას სახით გამოირჩევიან. მეოთხე ზემსტვო მონაკვეთი - ქსანი - სავარაუდოდ შედგება ქვემო-ჩალსკისა და ჰელთუბანის თემების რეხულის, მონასტერსკის, ახალგორსკის და ოსური დასახლებებისგან.

ცხადია, რომ ჩვენი დაყოფა სამხრეთ ოსეთის მცირე ზემსტვო ქვედანაყოფებიდან არ გამორიცხავს სხვა დაჯგუფებებს. ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ სავარაუდო ეტაპებს, რომლებიც უნდა იქნას დაცული სამხრეთ ოსეთის რაიონის მცირე თვითმმართველ თემებად (სექციებად) დაყოფისას. საკითხის ადგილზე გააზრებული დეტალური გარკვევის გარდა, გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, რჩება ოს მოსახლეობას, რომელიც თავადაც მშვენივრად გაარკვევს შესაძლო კომბინაციებიდან

რომელი შეესაბამება მის ინტერესებს“. (ხეც: მაჩაბელი № 1523) (თარგმანი მ.გ.).

პროექტის არსებობა, საინტერესოა ჩვენტვის იმ კუთხით, რომ რეგიონში არსებული ვითარება ოს ბოლშევიკებს აძლევდა ხელს, გამოეყენებინათ ეკონომიკური და რთული პოლიტიკური ვიტარება, ცალკე ავტონომიის შესაქმნელად.

Д Д №1523

Комиссару по дѣламъ Министерства Внутреннихъ Дѣлъ А.И. Чхенкели.

№8

25=от 2

Канцелярия Совѣта
2 - ЯНВ. 1918
Закавказскаго Комитета

Національнаго Совѣта Южной Осетіи.

ЗАЯВЛЕНІЕ

На національномъ съѣздѣ Южной Осетіи 16-18-го Декабря с/г. было постановлено выдѣлить Нагорную Южную Осетію, въ предѣлахъ Горійскаго, Душетскаго и Раминскаго уѣздовъ, въ одну административную уѣздную единицу, для введенія земства.

Поэтому просимъ Васъ сдѣлать надлежащее распоряженіе о немедленномъ выдѣленіи Нагорной Осетіи названнихъ уѣздовъ въ особый уѣздъ.

Предсѣдатель Національнаго Совѣта Южной Осетіи
Георгаев

За секретаря Адзаев

Э.Э. №1523

№100

В

ЮЖНО-ОСЕТИНСКІЙ
НАЦІОНАЛЬНЫЙ
СОВѢТЪ

№ 163

„11" января 1918 г.

г. Тифлисъ.

Бельгійская, №4.

Въ Грузинкій Національный Совѣтъ.

Препровождается копія проекта введенія Земства въ Южной Осетіи и выдѣленія ея въ особую административную единицу, поданнаго въ Закавказскій Комиссаріатъ на утвержденіе въ спѣшномъ порядкѣ, для свѣденія и обнародованія совѣтъ.

ПРИЛОЖЕНІЕ: копія проекта.

ПРЕДСѢДАТЕЛЬ

СЕКРЕТАРЬ А. Гаглоевъ

Дѣлопроизводитель

Копія.

-1-

2 2 №1523

4

ПРОЕКТЪ

ВВЕДЕНІЯ ЗЕМСТВА ВЪ ЮЖНОЙ ОСЕТІИ И ВЫДѢЛЕНІЯ ЕЯ ВЪ ОСОБУЮ АДМИНИСТРАТИВНУЮ ЕДИНИЦУ.

Вмѣстѣ съ общимъ раскрѣпощеніемъ страны великая русская революція должна создать благопріятныя условія и для культурно-экономическаго развитія народовъ, населяющихъ нашу окраину.

Нѣтъ сомнѣнія, что введеніе земскаго самоуправленія, ставшее неотложной задачей передъ закавказской демократіей, дастъ могущественный толчекъ быстрому росту мѣстныхъ силъ.

Параллельно съ этимъ необходимо уничтожить административную опеку государства и сосредоточить функціи административнаго управленія въ земскихъ учрежденіяхъ.

Разумѣется, наше молодое земство должно быть построено на самыхъ широкихъ демократическихъ началахъ, съ полной гарантіей правъ національнаго меньшинства. Но такая гарантія возможна лишь въ томъ случаѣ, если населенію будетъ предоставлено право свободно группироваться въ административныя и земскія единицы на основѣ трезваго учета реальныхъ интересовъ. Этотъ принципъ былъ выставленъ заинтересованными сторонами и въ совѣщаніяхъ по введенію земства въ Закавказьѣ. Къ сожалѣнію онъ не былъ развитъ послѣдовательно, и этотъ моментъ вызоветъ нѣкоторыя затрудненія при практическомъ проведеніи земскаго самоуправленія даже въ тѣхъ губерніяхъ и уѣздахъ, которые по декрету Закавказскаго комиссаріата признаются безспорными. Реальная дѣйствительность выдвигаетъ вопросъ о настоятельной необходимости и такихъ группировокъ, которыя декретомъ не предусматриваются.

Опираясь на ясно и опредѣленно выраженную волю южно-осетинскаго народа, мы находимъ, что справедливое осуществленіе земскаго дѣла въ Закавказьѣ немыслимо безъ образованія особаго уѣзднаго административно-земскаго дѣленія изъ нагорныхъ частей Рачинскаго, Горійскаго и Душетскаго уѣздовъ, сплошь занятыхъ южно-осетинскимъ населеніемъ. Эта полоса начинается на западѣ съ верхняго теченія рѣкъ Гаруш и Квирилы въ Рачинскомъ уѣздѣ и лопани въ Горійскомъ уѣздѣ и тянется до Военно-Грузинской дороги на востокѣ. Занимая южный склонъ Средняго Кавказа по басейнамъ рѣкъ Проны, Большой и Малой Ліахвы, Медвсуры, Дехуры и Ксанки, нагорный раіонъ этотъ заселенъ исключи-

§3.2. კონფლიქტის ეკონომიკური მხარე და ხიზნების საკითხი

კონფლიქტის წინაპირობების კვლევის დროს, წინა პლანზე გამოდის კიდევ ერთი საკითხი. ესაა ეკონომიკური საფუძვლები, რომელსაც შეეძლო საწყისი როლი ეთამაშა. ეკონომიკური უთანხმოების ან პრობლემის ერთ-ერთი მთავარ სტიმულატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეთნიკურად ოსი ხიზნების საკითხი.

ოფიციალური, დებულებითი განმარტებით ხიზანი ისეთი გლეხია, რომელიც თავისი სურვილით დაესახლა მემამულის მიწაზე, შეინარჩუნა პირადი თავისუფლება და მიწის სარგებლობაში გარკვეულ გადასახადს იხდის. კანონით, ხიზნის სტატუსის მიღება 1891 წლამდე დასახლებულ გლეხს შეეძლო (კუპატაძე 2005: 105).

ხიზნების რაოდენობა, მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით გაცილებით მცირე იყო და ეს ცხადია. თუმცა ხიზნების მთავარი პრობლემა სწორედ ის მიწა იყო რომელსაც ისინი იყენებდნენ. ასეთი მიწა ცოტა იყო და ამასთანავე ჩნდებოდა საკუთრების პრობლემა. შესაბამისად, მიწების დაყოფის საკითხი საკმაოდ პრობლემური იყო და ეს კარგად ჩანს ქართულ პრესაშიც, სადაც საუბარია ოსებისთვის მიწის დაყოფისა და განაწილების საკითხზეც (ერთობა 1918: №69).

მიწების საკითხზე საუბრის დროს, ს. ავალიანი 1920 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „მიწისმფლობელობა საქართველოში“ ამბობს, რომ საქართველოში არსებული მიწის ფონდის სტატისტიკა ზუსტი არ იყო და რუსეთის სტატისტიკა საქართველოში არსებული მიწების შესახებ არ იყო სწორი (ავალიანი 1920: 5). ამავე ნაშრომში საკმაოდ საინტერესო სტატისტიკური ინფორმაციებია მოყვანილი, რომლებიც კარგად გვიჩვენებს მიწის განაწილების ზოგად პროცენტულობას და ხიზნების წილს ამ ოდენობაში. ამასთანავე, ავტორის

აზრით საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო სრული კადასტრის გაკეთება, რათა საკითხი უფრო მეტად გარკვეულიყო.

1917 წლის მონაცემებით საქართველოში არსებული მიწის ფონდი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

დამუშავებული მიწები	**%**	**საძოვარი**	**%**	**ტყე**	**%**	**სულ**
1.3353.756	24,1	1.714.613	30,9	2.486.838	44,9	5.537.207

(ავალიანი 1920: 6)

ცხრილში მოცემული მიწის მოცულობის საზომ ერთეულად, ავტორს გამოყენებული აქვს დესეტინა , რაც უცვლელად გადმოვიტანეთ სრული სურათის შესანარჩუნებლად.

ამავე წლის სტატისტიკური მონაცემებით, საერთო რაოდენობიდან ხიზნების წილი ასეთი იყო:

იჯარით და ქირით გაცემული	**%**	**ტყე**	**%**	**საძოვარი და საბალახო**	**%**	**სულ**

40.599	2,0	1.576.815	78,0	402.598	19,5	2.020.012

(ავალიანი 1920: 7)

აქ საინტერესო იქნება კიდევ ერთი სტატისტიკური ინფორმაციის მოყვანა. მართალია ჩვენ განვიხილავთ სამ კონფლიქტს (1918, 1919 და 1920), თუმცა ამ პერიოდში მიწის რეფორმაც მიმდინარეობდა. შესაბამისად საინტერესოა საკითხის ეს მხარეც. 1920 წელს გამოიცა ნ. ხომერიკის „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“. სწორედ მასში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რეფორმის პირველი ეტაპი იყო ფეოდალური მიწათმფლობელებისთვის მიწების გარკვეული ნაწილის ჩამორთმევა და შემდეგ მათი გადანაწილება. სწორედ აღნიშნულისთვის საინტერესოა თვალი მივადევნოთ გორისა და დუშეთის მაზრებში ჩამორთმეული მიწის მოცულობას:

მაზრებში მამულების რაოდენობა საერთო სივრცე ჩამორთმეული მამულებისა საშუალო სივრცე მამულისა ნორმაში დატოვებული მიწების რაოდენობა

მაზრებში	**მამულების რაოდენობა**	**საერთო სივრცე ჩამორთმეული მამულებისა**	**საშუალო სივრცე მამულისა**	**ნორმაში დატოვებული მიწების რაოდენობა**
გორის	959	120506,12	125,66	6092,33

დუშეთის	117	20612,60	176,18	1244,39

(ხომერიკი 1920: 12)

ვინაიდან სტატისტიკურ მონაცემებზე ვსაუბრობთ, საინტერესო ზემომოყვანილს კიდევ ერთი დავუმატოთ, ესაა მიწის ფასი და მისი ცვლილება მანეთებში:

გუბერნია და მაზრა	**1891 წ.**	**1901 წ.**	**1911 წ.**
ქუთაისის			
რაჭის	367,1	532,5	680,2
შორაპნის	238,7	398,0	528,6
ლეჩხუმის	296,6	371,8	522,0
ქუთაისის	175,1	275,7	428,0
თბილისის			
ახალციხის	185,0	380,8	513,1
ბორჩალოს	26,2	72,8	159,4

გორის	58,7	81,9	128,5
თელავის	43,1	61,9	85,6
თბილისის	35,0	55,0	88,1

(ავალიანი 1920: 30)

სანამ აღნიშნული ინფორმაციის შეჯამებაზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთი საინტერესო ამბავი უნდა მოვიტანოთ ბ. კუპატაძის ნაშრომიდან „საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო“:

სოფელ ხიზაბავრადან (ჯავახეთი) გადმოსახლებულმა ქართველ კათოლიკეთა 15 კომლმა სოფელ სკრაში იყიდა თავად შალიკაშვილის მამული 1500 დესეტინა 40 ათასად. მათ შეიამხანაგეს ადგილობრივი გლეხები და ერთად აპირებდნენ მიწის შეძენას, მაგრამ ამ განზრახვას წინ აღუდგნენ მეზობელი სოფლის ოსები, რომლებიც თავს ხიზნებად (თუმცა მთავრობამ არ დაუმტკიცა სტატუსი) და მიწის მფლობელებად აცხადებდნენ. შეხლა-შემოხლას 2 ქართველი გლეხი და სოფლის პატრი შეეწირა. ანალოგიური ვითარება შეიქმნა თავად ციციშვილის მამულთან დაკავშირებით, რომელიც შეიძინა მდივანმა, მაგრამ ოსმა ხიზნებმა იგი არ შეუშვეს ნასყიდ მიწაზე (კუპატაძე 2005: 105).

ბოლო ისტორია გვიჩვენებს, კონფლიქტის მცირე მასშტაბს მცირე მიწისთვის, შესაბამისად მარტივი წარმოსადგენია, რომ ოს ხიზნებთან კონფლიქტის მასშტაბის ზრდის პერსპექტივა და საფრთხე მეტი იყო, როდესაც საუბარი გაცილებით დიდი ტერიტორიას შეეხებოდა.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ, როდესაც იმპერიის კონტროლი სამხრეთ კავკასიაზე დაიკარგა და რეალურად მიმდინარეობდა ახალი პოლიტიკური ფორმირებების პროცესი, შეიძლება კარგი შანსი გამოჩენილიყო ხიზნებისათვის მიწის დასაკუთრების კუთხით. სწორედ ეს მოვლენები უბიძგებდა ეკონომიკურ მოვლენებს კონფლიქტის გაღვივებაში, ხოლო შემდეგ უკვე პოლიტიკურად განვითარებაში. სწორედ ზემო მოყვანილი საკითხები შეიძლება იყოს ერთ-ერთი საფუძველიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მ. მაჩაბლის არქივში დაცული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის პროექტის შექმნის.

კონფლიქტის პირველი შტრიხები ცხინვალის რეგიონში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იკვეთება. სწორედ ამ პერიოდიდან იქმნება სამხრეთ ოსეთის სახალხო ყრილობა და ეროვნული საბჭო, რომელიც ეტაპობრივად ცდილობს მართვის სადავეების ხელში აღებას დღევანდელი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე. 1918 წლის 4 იანვარს ოსეთის დელეგატთა ყრილობამ ოფიციალური მიმართვაც გააგზავნა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართ, რომ ამიერიდან ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ოს ერს შეეხებოდა, უნდა მიემართათ სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსათვის.

ამ ფაქტს შემდგომი განვითარებაც მოჰყვა. 1918 წლის 16 მარტიდან იწყება პირველი კონფლიქტის მოვლენები, სადაც პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური მოთხოვნებიც აშკარაა. 16 მარტს ცხინვალში ოსთა დელეგაციამ წარადგინა შემდეგი მოთხოვნები:

1. მიწების დაყოფა;

2. გორის მაზრიდან რევოლუციონურ ორგანიზაციაში მომუშავე რამდენიმე პიროვნების გაძევება;

3. გორის მაზრიდან ყველა თავადისა და აზნაურის გაძევება;

4. სიტყვისა და კრების თავისუფლება (ბლუაშვილი, 2005: 11).

აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად ადგილობრივ ადმინისტრაციას მისცეს რამდენიმე საათი. ამ შემთხვევაში არ მივყვებით კონფლიქტის ფაქტობრივ განვითარებას და შემდგომ განვითარებულ სამხედრო მოვლენებს. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ კონფლიქტის მიზეზი ყოველთვის პოლიტიკური მოვლენებით არ იყო განპირობებული, არამედ მის საწყის ეტაპზე კარგად ვხედავთ ეკონომიკურ ფაქტორებსაც, რომლებიც შეეხება მიწის საკითხებსა და თავად-აზნაურობის უფლებებს.

1918 წლის მოვლენების შემდეგ კიდევ ორ სამხედრო დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოხდა, 1919 და 1920 წლებში.

1918 წლის კონფლიქტის დროს არსებული მოთხოვნებისგან განსხვავებით, 1919 და 1920 წლის დაპირისპირებისას ეკონომიკური ფაქტორები წინა პლანზე აღარ გამოსულა და ისინი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ, რომელთა მიზანიც ავტონომია, დამოუკიდებლობა ან სხვა ქვეყნის ფარგლებში გაერთიანება იყო.

თუმცა მიუხედავად ყოველივე ამისა, შემდგომი ორი დაპირისპირების დროსაც გვხვდება ჩვენთვის საინტერესო საკითხები. მაგალითად 1919 წლის კონფლიქტის დროს, 26 თებერვალს თბილისში გაიმართა ოს მუშათა კრება, რომელიც გაემიჯნა დაპირისპირებაში ჩართული ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მოთხოვნებს (თოიძე, 1991: 30).

ასევე საინტერესოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ 1920 წლის სამხედრო დაპირისპირების პერიოდში, რომელიც წინამორბედ კონფლიქტებთან შედარებით ყველაზე მასშტაბური იყო, კონფლიქტში არ ჩართულან არც სამხედრო და არც სხვა სახის პროტესტით გორის სამხრეთ მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობა.

ამ ორი ფაქტით იმ ვერსიაზე მსურს ყურადღების გამახვილება, რომ ორივე შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ ყოფილა იმ ოს მოსახლეობასთან, რომელიც ეკონომიკურად დანარჩენი საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა და მთლიანად იყო მის ეკონომიკაზე დამოკიდებული. შესაბამისად, ოს ბოლშევიკებს, რომლებიც საქართველოს მთავრობის წინაშე სხვადასხვა მოთხოვნას აყენებდნენ, არ ჰქონდათ მათი მანიპულაციისათვის საჭირო ბერკეტები. ხოლო ის მოსახლეობა, რომელიც გორის ჩრდილოეთით ცხოვრობდა, ეკონომიკური ურთიერთობით დაკავშირებული იყო ჩრდილოეთ კავკასიასთან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახლად დაწყებული ეკონომიკური რეფორმების პერიოდში, არ იყო მიბმული ქართულ ეკონომიკაზე და ნაკლები კავშირი ჰქონდა ამ მხრივ მასთან.

საინტერესოა ასევე გაზეთ ერთობაში გამოქვეყნებული პოლემიკა, სადაც ისინი არ ეთანხმებიან გაზეთ საქართველოში მოყვანილ ინფორმაციასა და მსჯელობას და მართავენ პოლემიკას. ეს სტატია გვიჩვენებს, რომ მიწების დაყოფის და ხიზნების საკითხზე დავა საქართველოს შიდა პოლიტიკურ დონეზეც მიმდინარეობდა და ყველაფერი გარკვეული და შეთანხმებული არ იყო. აქაც იკვეთება ის რობლემა, რომ არ არის ზუსტი ინფორმაცია ვინ რამდენ მიწას ფლობდა და ხდება აღნიშნულით სპეკულიება. ასევე აღვნიშნავთ, რომ სტატია კონფლიქტის დაწყების შემდეგაა დაწერილი და ერთი შეხედვით შესაძლოა უპრიანი ყოფილიყო მისი მოტანა შესაბამისი პერიოდის მოვლენების

განხილვისას, მაგრამ სტატიის ძირითადი აზრი ეკონომიკურ წინამძღვრებს შეეხება, სწორედ ამიტომ მოგვყავს ამონარიდი სტატიიდან აქ:

ციტატა გაზეთ საქართველოდან: „ოსები ცხოვრობენ ქართველი ერის მიწა-წყალზე. ბევრ მათგანს 100-120 დესეტინა საუკეთესო მიწა აქვს. უმრავლესობას კი 30-40 დესეტინა. მათ არ მოსწონთ, როდესაც მათ 7-15 დესეტინამდე მეტი მიწის ჩამორთმევას უპირებენ. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული მათი ამბოხება. ჩრდილოეთ კავკასიის ოსების და ბალშევიკების დახმარებით და ხელმძღვანელობით, ისინი ქართველ ერს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ.“

გაზეთ ერთობის პასუხი: „ტყუილია ის, ვითომ გორის მაზრის ოსობა ჩრდილოეთ კავკასიის ოსობასთან შეერთებას და საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას ცდილობდეს. ოსთა ყრილობამ და საზოგადოთ ოს გლეხობის მოქმედებამ საკმაოთ დაგვიმტკიცა ეს. ტყუილი და საშინელი პროვოკაციაა აგრეთვე ის, ვითომ ოსთაგან ბევრს 100-120 დეტესინა საუკეთესო მიწა ქონდეს, უმრავლესობას კი 30-40 დესეტინა. პირიქით, ოსობის უმრავლესობას სწორეთ უმიწობა ახრჩობს და ამიტომ შეიძლება გასავალი ექნეს ოს ნაციონალისტების მოწოდებას ბარში შესევისა და იქიდან ქართველების გარეკვისადმი. ეს, რასაკვირველია ფუჭი და მავნე ოცნებაა: არავითარ ძალას არ შეუძლია ბარში ოსების აყრა და სხვაგან გადასახლება. დემოკრატია შესძლებს ახალი მიწის კანონი ცხოვრებაში გაატაროს და ამ კანონის ძალით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები თანასწორათ იქნება დაკმაყოფილებული“ (ერთობა 1918: №69).

სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ცხინვალში მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობის რაოდენობა დიდი არ ყოფილა. აღნიშნულ

პერიოდში ცხინვალში ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდა ეთნიკურად ებრაელი მოსახლეობა, შემდეგ – ქართველები, დაბოლოს – სომხები. 1886 წლის აღწერით, ცხინვალში ცხოვრობდა 1953 ებრაელი, 1135 ქართველი, 744 სომეხი და არცერთი ოსი. 1922 წლის აღწერითაც, მაშინ როდესაც იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობა შედარებით მცირე იყო. ამ პერიოდში ცხინვალში არის 1651 ებრაელი, 1436 ქართველი, 765 სომეხი და 613 ოსი (გუნცაძე, 2013/2014: 45). მიუხედავად ამისა, 1918-1921 წლებში ოსი ბოლშევიკების მოთხოვნები ყოველთვის მოიცავდა ცხინვალის მათ ცენტრად ქცევას. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ იყო ის, რომ ამ პერიოდში ცხინვალი იყო სავაჭრო ცენტრი, სადაც გადიოდა გზა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიამდე. შესაბამისად, ცხინვალის დასაკუთრების ერთ-ერთი ინტერესიც ალბათ ამ ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. ცხინვალს ეკონომიკური მნიშვნელობა რეალურად არც შემდგომ პერიოდში დაუკარგავს, როგორც გზაგამტარს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის, სწორედ ამის გამო ეკონომიკურად ძლიერი და განვითარების პოტენციის მქონე ქალაქი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურ ცენტრად მომგებიანი იქნებოდა ოსი ბოლშევიკებისათვის. ამ შემთხვევაში ისინი არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ვინაიდან ამოსავალი სწორედ ეკონომიკური მხარე იყო და არა დემოგრაფიული ფაქტორი.

თავი IV. 1918 წლის დაპირისპირება

§4.1. პოლიტიკური ვითარება

ოსთა აჯანყებების განხილვამდე საჭიროა, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში ოსთა ჩამოსახლების პროცესი, რომელიც სათავეს XV საუკუნის ბოლოდან იღებს. სწორედ ამ დროს იწყება დვალეთში ოსების ჩამოსახლება. ორი საუკუნის შემდეგ ისინი სრულად ითვისებენ დვალეთს და ახდენენ აქ მცხოვრებ ქართველთა ასიმილაციას. XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან კი ოსები თანდათან იწყებენ თრუსოსა და მაღრან-დვალეთში ჩამოსახლებას, იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი თანდათან სამხრეთით, შიდა ქართლის მთიანეთში იწყებენ დასახლებას. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ითვისებენ შიდა ქართლის ვაკის სოფლებსაც. ოსური რომ არ იყო ადგი-ლობრივი მოსახლეობა და მათი ჩამოსახლება გვიანდელ ხანაში განხორციელდა, ის ფაქტიც მოწმობს, რომ XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსები ხიზნებად არიან ჩაწერილები (რ. თოფჩიშვილი 2007).

მათ ჩამოსახლებაზე საუბარს აღარ განვაგრძობთ, რადგან ეს ცალკე კვლევის საგანია. ახლა კი გადავალთ საქართველოს ახალი ისტორიის განმავლობაში ოსების აჯანყებების დასაწყისსა და მათ განვითარებაზე.

ოსების აჯანყებები შეგვიძლია ორ პერიოდად დავყოთ: პირველი პერიოდია 1918 და 1919 წლის აჯანყებები, მეორე კი - 1920 წლის აჯანყება, რომელიც თავისი მასშტაბებით აღემატება რა წინა აჯანყებებს და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამ ორ პერიოდს შორის ოსების მოთხოვნებიც იცვლება: თუ თავდაპირველად მათი სურვილი იყო გარკვეული ავტონომიისა ან ცალკე სამაზრო ერთეულის ჩამო-

ყალიბება, მოგვიანებით ე.წ. „სამხრეთ ოსეთის", ანუ შიდა ქართლის ისტორიული ტერიტორიის ნაწილის, საქართველოდან გამოყოფასა და რუსეთთან მიერთებას ითხოვდნენ,

ოსების გამოსვლებს ყოველთვის ჰქონდა პროვოკაციული და ავანტიურისტული ელფერი, რის არგუმენტებსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. აგრეთვე არსებობს ერთი ფაქტორიც, რომ მათი აჯანყებები ყოველთვის ემთხვეოდა საქართველოს რთულ მდგომარეობას, იქნებოდა ეს ოსმალეთთან, დენიკინსა თუ ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან დაპირისპირება.

ოსთა გააქტიურება იწყება 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ამ დროიდან იქმნება სამხრეთ ოსეთის სახალხო ყრილობა და ეროვნული საბჭო, რომელთაგანაც ხდებოდა ახალ-ახალი ინიციატივებისა თუ პრეტენზიების წამოყენება. ისინი ცდილობენ, ხელში აიღონ ყოველგვარი მმართველობა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე, რათა შემდეგ უკვე მოახდინონ ცალკე საერობო ერთეულისა ან ავტონომიის ჩამოყალიბება (ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან 1991).

15-17 დეკემბერს ცხინვალში შეკრებილ სამხრეთ ოსეთის დელეგატთა ყრილობამ მოიწვია ეროვნული საბჭო, ხოლო 1918 წლის 4 იანვარს ისინი აგზავნიან ცნობას საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან, რომ იმ დროიდან მოყოლებული ყველა საკითხი, რომელიც ოს ერს შეეხება, უნდა მიმართონ სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს. სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოში მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა სახით უნდა ჩამოყალიბე-ბულიყო სამხრეთ ოსეთის ერობა (ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან 1991).

მარტის შუა რიცხვებიდან უკვე იწყება პრობლემები ე.წ. „სამხრეთ ოსეთში". ამ მოვლენების აღწერას გვთავაზობს გაზეთი „სახალხო საქმე" 1918 წლის 30 მარ-

ტის ნომერში,[5] სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მოვლენები.

16 მარტს ცხინვალში მიდის ოსთა დელეგაცია, რომელიც ადგილობრივ ადმინისტრაციას აბარებენ გორის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე დაწერილ პაკეტს. პრობლემა, რაც შეიქმნა, ის იყო, რომ ოსები პასუხს დაუყოვნებლივ ითხოვდნენ, პაკეტის გორში გადაგზავნა და იქიდან პასუხის მოსვლა კი უკვე დაგვიანებული იქნებოდა. სწორედ ამიტომ ოსური დელეგაციის პაკეტი ადგილობრივმა წარმომადგენლებმა რაჟდენ გაგუამ და პორფილე ეფრემიძემ გახსნეს.

ეს განცხადება შედგებოდა ოთხი მუხლისაგან: „1) დაუყოვნებლივ დაგვიყავით მიწები; 2) გორის მაზრიდან გააძევეთ რევოლოციონურ ორგანიზაციაში მომუშავე შემდეგი პირნი; კოსტა კაზიშვილი, სოსიკო გოგინოვი, შაქრო კასრაძე და ილია მაისურაძე; 3) გორის მაზრიდან გააძევეთ ყველა თავადი და აზნაური; 4) მოგვეცით სიტყვისა და კრების თავისუფლება. პასუხისთვის უკანასკნელი ვადა არის იმავე დღის (16 მარტი) ნაშუადღევის 3 სთ“ (უ. ბლუაშვილი 2005: 11).

სწორედ აქ გამოიხატება კარგად ოსების პროვოკაციული ქმედებები. მათ იცოდნენ, რომ აღნიშნულ საკითხს ცხინვალში ვერ გადაწყვეტდნენ, რადგან ეს მათ უფლება-მოვალეობებს სცილდებოდა, ასევე დროის ის პერიოდი, რომელიც მიცემული იყო მმართველობისთვის, არასაკმარისი იყო დოკუმენტის გორში გასაგზავნად და იქიდან პასუხის მოსასვლელად. ანუ ისინი ეძებდნენ მიზეზს დაპირისპირებისთვის და სწორედ ეს გამოიყენეს. თუ მათ რეალურად სურდათ შედეგის მიღება, რამდენიმე დღით მოცდა ასეთი მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად აუცილებელი იყო, პასუხის რამდენიმე საათში მოთხოვნა კი - არარეალური.

[5] ამ სტატიის ტექსტი ასევე გამოქვეყნებულია უჩა ბლუაშვილის მონოგრაფიაში „ქართულ ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?“, სწორედ აქედან ხდება აღნიშნული სტატიის გამოყენება.

აგრეთვე მათი ის მოთხოვნა, რომ მიწების დაყოფა დაწყებულიყო, ზედმეტი იყო, რადგან ისედაც მიდიოდა ამ მიმართულებით სამუშაოები, ხოლო კრებისა და სიტყვის თავისუფლების მოთხოვნა აზრს მოკლებული, რამეთუ მათ გააჩნდათ ეროვნული საბჭო და არც მათი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევა ყოფილა.

ცხინვალში ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა გლეხთა და მუშათა საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის კრება, მაგრამ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მათ კომპეტენციებს სცილდებოდა.

3 საათზე, რა თქმა უნდა, პასუხი ვერ მიიღეს ოსებმა და ისინიც, ალაბათ, ამას ელოდებოდნენ. ეს გამოიყენეს მიზეზად და მთებიდან დაიწყეს სროლა.

§4.2. სამხედრო დაპირისპირების მსვლელობა

საჭირო იყო დროული მოქმედება. ერთადერთი, რაც შეეძლოთ ცხინვალში, ეს იყო მოლაპარაკებაზე წასვლა და არსებული საკითხების რეალური განხილვა. ქართველთა მხრიდან წასულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა სანდრო კეცხოველი, მათ ასევე თან ახლდათ ოსთა დელეგაციის წევრი ჩოჩიევი.

ოსებმა სროლა მხოლოდ ჩოჩიევის ჩარევის შემდეგ შეწყვიტეს. მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდება და საჭირო გახდა უკვე გორის ჩარევა.

17 მარტს ცხინვალში ჩავიდა გორის წითელი რაზმი, რომელსაც კომისარი გიორგი მაჩაბელი ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკებების ახალი ეტაპი, ერთი შეხედვით, წარმატებით სრულდება. ოსებს ჰპირდებიან ყველა მოთხოვნის შესრულებას გარდა მესამე პუნქტისა, ანუ თავადაზნაურობის გაძევებისა.

ოსების მხრიდან ახალი მოთხოვნა იქნა წამოყენებული. იმ მიზნით, რომ ქართველთა დაპირება აღარ შეცვლილიყო, მათ ამ დაპირებათა მიტინგზე დადასტურება მოითხოვეს, მიტინგი კი შემდეგ დღეს, 18 მარტს, დაინიშნა.

მიტინგი გაიმართა დგვრისის მოედანზე; გიორგი მაჩაბელი გამოდის სიტყვით და ამ დაპირებებს იმეორებს. მის შემდეგ სიტყვით გამოდის ცხინვალის კომისარი კულუმბეგოვი, რომელიც დამატებითი მოთხოვნების წამოყენებას იწყებს, იმ მოთხოვნებისას, რაც მოლაპარაკებების დროს არ განხილულა. ის ითხოვს რამდენიმე ოსის განთავისუფლებას, რომელნიც აჯანყების მოწყობისთვის იყვნენ და-

კავებულნი. მისი საუბრის დროს ოსები ზღუდრის კალთასა და ნაცარგორიდან ხსნიან ცეცხლს.

შეიარაღებული დაპირისპირება მომდევნო დღესაც გაგრძელდა, მაგრამ ტყვია-წამლის სიმცირის გამო ქართველი წითელრაზმელები წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ახერხებენ და მარცხდებიან. აჯანყებულებმა გაწყვიტეს გორთან დამაკავშირებელი ტელეგრაფის ხაზები, რათა ქართულ მხარეს დახმარება ვერ მოეთხოვა.

აჯანყებულები სასტიკად გაუსწორდნენ წითელრაზმელებს. ამის შემდეგ კი იწყებენ ცხინვალში ძარცვა-რბევას.

განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ოსების მოთხოვნები მხოლოდ საბაბი იყო შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყებად, ხოლო შემდეგ - ძარცვა-რბევის მოსაწყობად, მაგრამ ისიც უნდა გაეთვალათ, რომ მათი ეს წარმატება დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ადრე თუ გვიან ქართული მხარე შეძლებდა წესრიგის დამყარებას.

აჯანყების ჩახშობის შედეგები ამიერკავკასიის მთავრობას ვალიკო ჯუღელმა გააცნო. მისი ინფორმაციით, ცხინვალის გათავისუფლება წითელმა გვარდიამ 22 მარტს შეძლო, ხოლო სოფლებისა სამი დღე მიმდინარეობდა. გათავისუფლებულ იქნენ ტყვეები. აჯანყებულების თავშეყრის ადგილს ჯავა წარმოადგენდა. მოქმედებები ფრთხილად მიმდინარეობდა, რათა არ გაზრდილიყო ის დაპირისპირება, რომელიც არსებობდა (ლ. თოიძე 1991. ა).

ფაქტობრივი მასალის შევსების მიზნით, საკმაოდ საინტერესოა გაზეთ საქართველოს ცნობები, სადაც აღწერილია კონფლიქტის ერთი მხარე და მისი შემდგომი განვითარება. ეს გვაძლევს ინფორმაციას, როგორი იყო სუბორდინაცია

ადგილზე და როგორი დამოკიდებულება არსებობდა ადგილობრივ მოსახლეობაში და მათ შორის, ვისაც გარკვეული ინტერესები გააჩნდა.

„ცხინვალში სროლაა, ჩვენი მხრით არის რამდენიმე მსხვერპლი. გადაჭრით ჯერ არ ვიცით.

ცხინვალი ჩვენს ხელშია, ჯუღელი იქ არის, სროლა გრძელდება, იბრძვიან სანგრებიდან.

ჩვენი შტაბი სოფ. ერგნეთში არის. ცხინვალთან განუწყვეტელი კავშირი გვაქვს. გავგზავნეთ ყუმბარები და სურსათი.

მოკლულები გუშინ ჩამოასვენეს გორში, მათ შორის მაჩაბელი და კეცხოველი. გაიმართა თათბირი მათი აქ საძმო სასაფლაოზე დამარხვის შესახებ, მაგრამ მაჩაბლის მეუღლემ გადაჭრით განაცხადა, რომ თფილისში უნდა დამარხოს, რადგან თვითონ იქ იქნება. თათბირს ისევ გამართავენ ამის შესახებ. განზრახული იყო ხუთშაბათს დაგვესაფლავებია, მაგრამ ამის შესახებ კიდევ უნდა მოვილაპარაკოთ. მოკლულთა გვამები ისე საშინლათაა დასახიჩრებული, რომ მათი დიდხანს გაჩერება შეუძლებელია. არჯევანიძე ცოცხალია, აქ იყო გორში და ისევ ცხინვალისკენ წავიდა. რუხაძეც ცოცხალია. თუ დახმარება საჭირო იქნება შეგატყობინებთ.

გორიდან 24 მარტს დილის 10 საათზე შემდეგი ცნობა მოვიდა:

28 მარტს საღამოს 6 საათზე ცხინვალის ახლოს სოფ. თამარაშენთან მოგვიკლეს 5 ამხანაგი, დაგვიჭრეს 3. მოწინააღმდეგის ბრბოები მთებისაკენ გარბიან, მათ ფეხდაფეხ მისდევს ჩვენი რაზმი კონიაშვილის და ვალ. ჯუღელის

მეთაურობით. მოწინააღმდეგეთაგან ბევრია მოკლული და დაჭრილი. ჩვენს ტყვეებს ათავისუფლებენ. ზოგიერთი ტყვეები ბრბოებს თან მიჰყავთ. საღამოს 6 საათზე მოასვენეს მოკლული ამხანაგები - მაჩაბელი, კეცხოველი და სხვა გვარდიელები. დახოცილთა გვამები ისეა დასახიჩრებული, რომ ცნობა ძნელია“ (საქართველო 1918: №65).

„ამხანაგი კოსტა ყაზიევი ადგენდა წითელ რაზმს ცხინვალში და უნდოდა შეედგინა აგრეთვე სოფლებშიც.

ეს არ მოეწონათ ყოფილ ჯარისკაცებს და ის თავის მტრათ გამოაცხადეს. ასე დაიწყო ბრძოლა კოსტას და ჯარისკაცებს შორის.

კოსტა იყო პირდაპირი კაცი, მას არ უყვარდა ორჭოფობა, დათმობა, ან ჰო ან არა იყო მისი დევიზი. ყაზიევმა ალყა შემოარტყა ს. ყორნისს და ძალით მოინდომა იარაღის აყრა, რამაც კინაღამ შეიარაღებული შეტაკებაც კი არ გამოიწვია, ასევე მოიქცა ს. ერედვში, სადაც შეტაკების დროს დაიჭრა ერთი გვარდიელი და ერთი ყოფილი ჯარისკაცი. ამხ. კოსტას ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, სააგიტაციო მასალათ გამოიყენეს ჯარისკაცებმა. „დიქტატორი“ ყაზიევი გახდა სალაპარაკო მთელ გორის მაზრაში, მას ახასიათებდნენ, როგორც თავადებისაგან მოსყიდულს მოღალატეს, როგორც გლეხების შეურიგებელ მტერს.

15 მარტს ს. ვანათში მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი ყოფილ ჯარისკაცებისა, რომლის თავმჯდომარეთ იყო არჩეული ილო ბერუაშვილი, ერედვის შეტაკების გამომწვევი. მოგვყავს სიტყვით მიტინგზე გამოტანილი ოქმი, რომელიც ახასიათებს, რამდენათ შეუგნებელათ მოქმედობდნენ ჯარისკაცები სხვისი შთაგონებით: „ოქმის. გლეხთა ბრბომ ცხინვალის და ჯავის რაიონებში ჩვენდა საუბედუროთ პროვოკაციონური პოლიტიკის ხელმძღვანელობით წითელ

გვარდიელებს ცხინვალის დიქტატორით, რომლებიც ცდილობენ განიშორონ ანუ განჰყონ თვის გარშემო ბნელ ძლიერ მტრებს რევოლუციის. მაგალითი ცდომაში თავისუფლებისა არის გამორიცხვა არჩევნებისა კომისრებისა თამარაშენის საზოგადოებისა დანიშნავენ მთავრობის მიერ აღმორჩეულ კომისრისა და უეცრათ ავაზაკურ დაცემით მშვიდობიან ხალხსა ერედვისა, ჩვენ გლეხნი ცხინვალისა და ჯავის რაიონებისა მივეცით ფიცი, რო ერთხელვე აღარ დავუბრუნდეთ მნობას და მოვკვდეთ გმირულათ ყველანი, როგორც ერთი კაცი ჩვენი უფლებისთვის და სიმართლისთვის უძლურთა და დაჩაგრულთა ჩვენის ხალხისთვის ძლიერებისთვის. იცოცხლე და მიეც სიცოცხლე სხვისათვისაც. ამისთვის ქვემოაღნიშნულ ულტიმატიური მოთხოვნილობა: განშორეთ ყოველი პომეშჩიკები გორის მაზრიდან, როგორც დამბევერლნი გლეხთა, 2) განაშორეთ სამუდამოთ გორის მაზრიდან შემდეგი პირნი: დიკტატორი კაზიშვილი, სოსიკო პოვრიშვილი, შაქრო ცერაძე და ილია მაისურაძე მარტის 17 – 12 საათამდისინ დილისა, ჩვენ ვიხსნით ჩვენი გზით ყველა პასუხისგებულებასა. რაზედაც ხელს ვაწერთ ხალხის მიერ მინდობილი.“

ეს ოქმი წარუდგინეს ცხინვალის ორგანიზაციას, რომელმაც შეატყობინა გორს. ამის შემდეგ რაც მოხდა მკითხველმა უკვე იცის“ (ერთობა 1918: №81).

ცხინვალი, შესაძლებელია, საქართველოს საბედისწერო ფრონტად იქცეს. იქ სწარმოებს ეხლა ნამდვილი ომი ყველანაირი ჯურის იარაღის საშუალებით და ჩვენ უკვე ცნობები გვაქვს რომელიც მოწმობენ, რომ ეს ომი ადვილათ არ გათავდება, რადგან ოსობის მხრივ ბრძოლა მასიურ ხასიათს ღებულობს. თავი რომ დავანებოთ იმ ჭორებს, რომლებიც სულ ოდნავადაც ვერ აშკარავებენ ცხინვალის ამბების ნამდვილ ხასიათს, საკმაოა დავასახელოთ მთავარი მიზეზი, რომ საკითხი ნათელი გახდეს. ცხადია, ცხინვალშიც ის მთავარი მიზეზი მოქმედებს, რომელიც მოქმედებს ერივანში, არდაგანში, ბაქოში, შამხორში და

სადახლოში.

ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ მთავარ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის ხაზი უკვე მოზნიქა ჩვენში და სხვა მიმართულება მისცა მას. არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიაში უკვე მოხდა კოლიზია რევოლუციონურ სულისკვეთებისა და დროშა რევოლუციისა ის აღარ არის უკვე, რომელსაც მივდევდით ჩვენ რევოლუციის პირველ ნახევარში. მთელი ტრაღედია ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს როცა ქართველი დემოკრატია ისევ სოციალურ რეფორმების და დემოკრატიზმის ნიადაგზე სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ასეთია მდგომარეობა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და ასეთი სურათი იშლება დრეს საქართველოშიც.ის რაც მოხდა თათარ-სომეხთა შორის უნდა მომხდარიყო საქართველოშიც - ამის მაჩვენებელია სწორედ ცხინვალის ამბებიც (საქართველო 1918: №64).



რუკა 2. 1918 წლის კონფლიქტის დასაწყისი. საომარი მოქმედებების პირველი ეტაპი

ქვემოთ მოყვანილი ფოტოები, სწორედ სტატიაში განხილული მოვლენების აღმწერია. ცხადია, მათი ხილვა საკმაოდ მძიმეა, თუმცა ისინი გამოქვეყნებული იყო თანადროულ პრესაში, ამიტომ მათი მოყვანა დისერტაციაში ორი მხრივ არის მნიშვნელოვანი:

1. გვიჩვენებს იმ მოვლენების, კონფლიქტის რთულ მხარეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 918 წელს;

2. გვიჩვენებს როგორ ხდებოდა მოვლენების ასახვა თანადროულ პრესაში და რა აქცენტები იყო გაკეთებული.



საბოლოოდ აჯანყება ჩაახშო ქართულმა მხარემ, თუმცა ეს უსასიამოვნო ფაქ-ტორი დარჩა ხალხის მეხსიერებაში. ოსებმა თავიანთი ავანტიურული მოქმედე-ბის შედეგად ვერანაირი შედეგი ვერ მიიღეს, მათ გამოსვლებს მხოლოდ სისხლის ღვრა მოჰყვა. ფაქტია, რომ დაპირისპირება ამჯერადაც და შემდეგი აჯანყებების

დროსაც ყოველთვის აჯანყებული ოსების ინიციატივით იწყებოდა და სისხლის ღვრასაც ისინი პირველები იწყებნდნენ.

§4.3. 1918 წლის კონფლიქტის შედეგები

აღნიშნულ აჯანყებასთან დაკავშირებით 1918 წლის 2 აგვისტოს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე გამოდის გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც დამსწრე საზოგადოებას აცნობს ქართველი მწერლის, ია ეკალაძის, შეხედულებას, რომელიც დედით ოსია. სადაც აღნიშნული იყო, რომ ის ოსები, რომლებმაც აჯანყება წამოიწყეს, განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული და სწორედ რუსული იდეოლოგიის მოქმედების შედეგია ის, რომ მათ საქართველოში დაიწყეს მსგავსი გამოსვლები.

ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ოსთა გამოსვლები რუსეთის ინტერესებში შედიოდა, მიზეზი მარტივია: საქართველოს დასუსტების შემდეგ ისინი მარტივად შეძლებდნენ თავიანთი გავლენის აქ გავრცელებას.



რუკა 3 – 1918 წლის საომარი მოქმედებების მეორე ეტაპი

1918 წელს ოსთა აჯანყებას მათთვის არანაირიშედეგი არ მოუტანია, რისი მიზეზიც დაუგეგმავი სტრატეგიაა. ასევე არ ჩანს ღიად იმის ფაქტები, რომ ამ დროს რუსები ეხმარებოდნენ აჯანყებულებს რაიმე საშუალებით. შეიძლება გამოითქვას იმის ვარაუდიც, რომ რუსეთის მხრიდან ეს იყო ერთგვარი ნიადაგის მოსინჯვა, თუ რამდენად შეიძლებოდა აყოლოდნენ რუსულ ავანტიურას ოსი სეპარატისტები.

თავი V. 1919 წლის კონფლიქტი

§5.1. ოსი ბოლშევიკების მოთხოვნები

ოსების მოთხოვნების ზრდას 1918 წლის აჯანყების ჩახშობამ ხელი ვერ შეუშალა. სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო უნდობლობით იყო გამსჭვალული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართ.

1919 წლის იანვარში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა. ქვეყანაში არსებობდა ერთიანი სასამართლო სისტემა, სადაც თანაბარი უფლებებით ხდებოდა საქართველოს ყველა მოქალაქის საქმის განხილვა რა ეროვნებისაც უნდა ყოფილიყო იგი. ამგვარმა წინააღმდეგობამ გააღიზიანა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო და მისი მოწოდებით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ოსებმა გორის მაზრისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს (ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან 1991).

ამით მათ თვითონვე თქვეს უარი, მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების - დაკომპლექტებაში. ეს მათი მოქალაქეობრივი უფლება იყო, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყანაში მცხოვრები ოსები ყველა იმავე უფლებებით სარგებლობდნენ, რითაც ქართველები თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

1919 წლის 26 თებერვალს გაიმართა თბილისში მცხოვრებ ოს მუშათა კრება, სადაც განხილული იყო ე.წ. „სამხრეთ ოსეთში” წამოჭრილი პრეტენზიები და ის დაპირისპირება, რომელსაც ოსების მოქმედებები იწვევდა. კრებაზე ითქვა: „ერთადერთი სწორი გზა ოსეთის დემოკრატიის წინაშე არის თავისუფალი საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ოსეთი... შეიქმნას მტკიცე კავშირი სოფელთან და გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა ოსების კონტრრევოლუციურ შავბნელ ძალებს, რომელნიც ცდილობენ ჩაითრიონ ოსეთის მშრომელი ხალხი ჩრდილოეთ ოსეთის ავანტურაში, ნაციონალურ და სამოქალაქო ომში” (ლევან თოიძე 1991: 30. ა).

ეს იყო ის შეხედულება, რომელიც, წესით, ოსებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რადგან მათ საქართველოში არავინ ჩაგრავდა და შესაბამისად, საკუთარი სასამართლო სისტემის შემოღება ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. არჩევნებისთვის პროტესტის გამოცხადებით კი, როგორც აღვნიშნეთ, მათ უარი თქვეს იმ პარტიისათვის ხმის მიცემაზე, რომლის შეხედულებებსაც ისინი იზიარებდნენ.

თბილისელი ოსების კრებაზე ნათქვამი იყო ჩრდილოეთ ოსეთის როლზეც საქართველოში მცხოვრებ ოსთა შორის უკმაყოფილების გამოწვევაში, ანუ ისევე, როგორც 1918 წელს, ახლაც მიუძღოდა გარკვეული როლი რუსულ იდეოლოგიას საქართველოში დაპირისპირებების გამოსაწვევად, რადგან ჩრდ. ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა.

საქართველოს მთავრობამ მოიპოვა ის საბუთები, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო აჯანყების მოწყობას აპირებდა, რის შემდეგაც ისინი საკუთარი მოთხოვნების განხორციელებას დაიწყებდნენ.

სამხრეთ ოსეთის ერონული საბჭოს შეხედულებებს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში” მცხოვრები მოსახლეობის ნაწილიც არ იზიარებდა. ქართულ პრესაში იწერებოდა

მათი წერილები, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ეროვნული საბჭოს მიმართ: „ისინი არევ-დარევენ საქმეს და შემდეგ მთებში მიიმალებიან. ყოველგვარი ვაი-ვაგლახი და მთავრობის რისხვა კი ჩვენ უნდა გადაგვხდეს თავს და მერე რისთვის, ჩვენ ქართველებთან რა გვაქვს საჩხუბი, მათთან ვცხოვრობთ ძმურად და კვლავაც ასე ვიცხოვრებთ. ჯაველები კი, ვისთანაც უნდათ, იმათთან წავიდნენო" (ლ. თოიძე 1991: 31. ა).

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" მცხოვრებ ოსებსაც მობეზრებული ჰქონდათ სხვისი პოლიტიკური ინტერესების გამო გამუდმებულ არეულობაში ცხოვრება, როდესაც მათ საშუალება ჰქონდათ მშვიდობიანი ცხოვრებისა საქართველოში იმ პირობებში, როგორშიც ისინი იყვნენ.

1919 წლის ივნისში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა „სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი", რომელიც საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა. ამ კონსტიტუციით, სამხრეთ ოსეთის კანტონას ეკრძალებოდა სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადება, მაგრამ, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ცალკე სახელმწიფოს საქართველოში, სადაც არ იყო გათვალისწინებული სხვა ეროვნებათა უფლებები, რომლებიც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" ცხოვრობდნენ. პროექტის დამუშავების შემდეგ ოსებმა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ცენტრად ცხინვალი მოითხოვეს. ცხინვალის ადმინისტრაციულ ცენტრად მოთხოვნას საფუძველი არ გააჩნდა, რადგან ამ პერიოდში იქ ოსების მცირე რაოდენობა ცხოვრობდა, ხოლო უმრავლეოსობას ქართველები წარმოადგენდნენ (ლ. თოიძე 1991.ა.).

ქართულმა მხარემ გაითვალისწინა მათი მოთხოვნები, რომ იყო ტერიტორია, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ოსები, ასევე დამატებით გართულებებს მოერიდა. საქართველოში აღარავის სურდა ახალი აჯანყების წამოწყება და საპასუხო პროექტი შესთავაზა სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს.

ქართული მხარის მიერ შემუშავებული ვარიანტით უნდა შექმნილიყო ჯავის მაზრა, სადაც საქმის წარმოება და ადგილობრივი ადმინისტრაცია უნდა განხორციელებულიყო დედა ენაზე. ეს იყო ის მაქსიმუმი, რისი საშუალებაც შეეძლო დამოუკიდებელ სახელმწიფოს იმ პერიოდის მდგომარეობით მიეცა ოსებისთვის. მათ დაიწუნეს ეს ვარიანტი და დამატებითი მოთხოვნები წამოაყენეს; მათ შორის მთავარი იყო ცხინვალის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადება, ანუ ოსები კვლავ ითხოვდნენ იმას, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. ქართული მხარე ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა (ლ. თოიძე 1991. ა.).

§5.2. კონფლიქტის მსვლელობა

1919 წელს ბოლშევიკური პარტია რევოლუციის ორი წლისთავისთვის აპირებდა აჯანყებების მოწყობას საქართველოში, რომელსაც მხარს უჭერდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი. საქართველოს მთავრობამ ამის შესახებაც შეიტყო და ორი დღით ადრე დაიწყო მონაწილეთა დაპატიმრებები.

23 ოქტომბერს როკის რაიონში მაინც დაიწყო აჯანყება, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა საქართველოს რესპუბლიკისთვის (ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან 1991). აჯანყება ადვილად იქნა ჩახშობილი, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოჩნდა, ესეც დროებითი იყო და უფრო დიდი აჯანყების მზადება მიმდინარეობდა.



საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებულად შეძლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთ-ში" მორიგი აჯანყების ჩახშობა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა აქ მოსალოდნელი საფრთ-ხე ბოლომდე, რამაც საბოლოოდ დიდ დაპირისპირებამდე მიიყვანა ქვეყანა.

§5.3. 1919 წლის დაპირისპირების შედეგები

1918-1919 წწ. აჯანყებების ჩახშობით მხოლოდ გადადება ხდებოდა პროცესის და არა მისი საბოლოოდ მოგვარება. ოსებს, რასაკვირველია, ჰქონდათ გარკვეული მოთხოვნების უფლება და ქართული მხარეც სთავაზობდა მათ ჯავის მაზრის შექმნას. ესეც ის შემთხვევა იქნებოდა, რითაც ოსებს საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით გარკვეული პრივილეგია მიენიჭებოდათ, მაგრამ ქართული მხარე მაინც თანახმა იყო ამაზე. როგორც ეს შემდგომ გამოჩნდა, სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს, უფრო სწორედ კი რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს, უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, ამიტომ ეს მარცხი მათ დროებითად მიაჩნდათ. ფაქტი ერთია, რომ ქართველების და ოსების ურთიერთობებში ამ აჯანყებებმა კარგი ზეგავლენა ვერ მოახდინა, თუმცა ეს არ გადაზრდილა იმ ეთნოკონფლიქტში, რომლის წარმოჩენასაც შემდგომ აჯანყებული ოსები და ბოლშევიკები ცდილობდნენ.

თავი VI. 1920 წლის ანტისამთავრობო გამოსვლები

§6.1. პოლიტიკური სვლები

შიდა ქართლის ოსების 1920 წლის აჯანყების საფუძვლები, რა თქმა უნდა, წინა აჯანყებებში უნდა ვეძებოთ, რადგან მათ შორის დროის სხვაობა არც ისე დიდია და გარკვეულწილად, ერთმანეთის გაგრძელებებადაც შეიძლება მოვისაზროთ. მიუხედავად აჯანყებების გარკვეულწილად მსგავსებისა, ისინი თავიანთი მოთხოვნებით განსხვავდებიან: თუ 1918-1919 წლის აჯანყებებისას ოსების მიზნები ცალკე ავტონომიას, ან ცალკე საერობო, სამაზრო ერთეულს არ სცილდებოდა, 1920 წელს ისინი ამას აღარ სჯერდებიან და რუსეთთან შეერთების ინიციატივით გამოდიან. ეს მოთხოვნა, რასაკვირველია, რეალურად ოსი გლეხობისგან, მშვიდობიანი მოსახლეობისგან არ მოდიოდა; ეს აჯანყება თავისი მოთხოვნებით იყო რუსი ბოლშევიკების ინსპირირებული და მიმართული იყო დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსთა სამივე აჯანყება ყოველთვის ემთხვეოდა საქართველოსთვის არსებულ მძიმე მდგომარეობას. პირველი 1918 წლის აჯანყება დაემთხვა ოსმალეთთან დაპირისპირებას, რამაც კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა საქართველოს. მეორე 1919 წლის აჯანყება მოხდა მაშინ, როდესაც არსებობდა დენიკინთან შეიარაღებული დაპირისპირების საშიშროება. ხოლო მესამე 1920 წლის აჯანყება დაიწყო მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან, რომლის უკანაც რეალურად რუსეთი იდგა, მაგრამ 1920 წლის 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ რუსეთს აღარ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი კამპანიის დაწყება.

ის ხერხი, რომელიც ბოლშევიკებმა გამოიყენეს, საკმაოდ კარგად იყო გათვლილი, ერთის მხრივ, აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრებოდა წითელი არმია, ხოლო მეორე მხრივ, დაიწყებოდა შიდა აჯანყება, რომელიც მეორე მხრიდან დააზიანებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. საბოლოო მიზანი კი, ბუნებრივია, საქართველოს გასაბჭოება იყო. გარდა საქართველო-აზერბაიჯანის დაპირისპირებისა[6] და საქართველოში მცხოვრები ოსების აჯანყებისა, იყო კიდევ ერთი წერტილი, საიდანაც იგეგმებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს იყო კადეტთა სასწავლებელი, რომელზე თავდასხმაც 2 მაისს განხორციელდა. მიზანი თბილისში არსებული კადეტთა სასწავლებლის ხელში ჩაგდება იყო, რომლის შემდეგაც უკვე ხელისუფლების ჩამოგდება იგეგმებოდა, თუმცა მათ აქ წინააღმდეგობა დახვდათ და ამ მიზნის განხორციელება ვერ შეძლეს.

1920 წლის აჯანყების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 23 მარტის დადგენილება, რომელიც გახდა საფუძველი ახალი მღელვარებისა შიდა ქართლში. დადგენილების ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი შემდეგი იყო:

„მოხდეს რევკომის ორგანიზება სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთის რევკომის წევრებად დაინიშნონ ამხანაგები გაგლოევი, ჯათიევი და სანაკოევი.

დავალებები:

1) დათხოვნილ იქნას ეროვნული საბჭოს ძველი შემადგენლობა;

---

[6] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის შეფასებით აზერბაიჯან-საქართველოს ომი სინამდვილეში წარმოდადგენდა წმინდა რუსულ-ქართულ ომს, რადგან რუსული წითელი არმია იბრძოდა აზერბაიჯანის სახელით. ამით რუსეთის ოფიციალური მთავრობა არ ჩანდა და არც 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება დაირღვეოდა, რაც მარცხის შემთხვევაში სიტუაციიდან მშრალად გამოსვლის საშუალებას მისცემდა.

2) გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება; დროებით მთელი ძალაუფლება ეკუთვნის რევკომს;

3) დაუყოვნებლივ მოხდეს შეიარაღებული შენაერთის ფორმირება;

4) მოხდეს კავშირის დამყარება ჩრდილოეთ ოსეთთან და გორის მაზრის მოსახლეობასთან; მოძრაობის ცენტრი სასურველია იყოს ცხინვალი. რევ-კომს განკარგულებაში გადაეცემა 100 ათასი რუბლი" (Борьба за победу советскои власти в Грузии: Документы и материалы (1927-1921гг.) 1958: 552-553).

ეს დადგენილება ცხადყოფს, რომ უთანხმოების სათავე არა ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობებშია, არამედ - რუსი ბოლშევიკების ინტერესებში, რო-მლის მიზანიც, ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასუსტე-ბა და ამის ხარჯზე რუსეთის პოზიციების გაძლიერება იყო.

საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის მოგო-ნებებში „ფიქრები საქართველოზე" წერს: „როკის უღელტეხილით შემოჭრილმა რუსეთმა „ოსეთის აჯანყების" სპექტაკლი დადგა" (გრ. ლორთქიფანიძე 1995: 152). საქართველოს მთავრობა კარგად აცნობიერებდა რეალურად ვინ იდგა ოსეთის აჯანყების უკან, მაგრამ აუცილებელი იყო 7 მაისის ხელშეკრულების შენარჩუნე-ბა, თან რუსეთთან ღია დაპირისპირება არც საქართველოს აწყობდა.

ხელახალი აჯანყების დასაწყებად არსებული საფრთხის შესახებ საქართვე-ლოს მთავრობამ უკვე აპრილის დასაწყისშივე შეიტყო. 4 აპრილს გორში გაიმარ-თა მთლიანი მაზრის სახალხო გვარდიის შტაბებისა და რწმუნებულების წარმო-მადგენელთა კონფერენცია, სადაც განხილული იყო არსებული ვითარება და უსა-ფრთხოების საკითხები. კონფერენციას წარმომადგენლები ესწრებოდნენ ჯავი-

დან, ცხინვალიდან, ახალქალაქიდან, გორიდან, ქარელიდან, ბორჯომიდან, ხაშურიდან, მეჯვრისხევიდან და ქვემო ჭალიდან. კონფერენციას ასევე ესწრებოდა მთავარი შტაბის წამომადგენელი გრ. სირბილაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ივ. ქარცივაძე (გაზეთი „ერთობა" 1920 №95).

ჯავის წარმომადგენლების, ძასოხოვისა და გასიევის, ინფორმაციით იმ პერიოდისათვის რაიონში სიმშვიდე იყო და ხალხი მთავრობას ნდობით უყურებდა, არც ბოლშევიკური გამოსვლები იყო სადმე, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა ადმინისტრაციის აპარატის გაძლიერება, რეგულარული ჯარის ჩაყენება და ჩრდილო კავკასიისაკენ გადასასვლელი გზების დახურვა. როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, ეს გათვლები სწორი იყო და ამ რჩევების გათვალისწინება კი - აუცილებელი, მაგრამ ის ზომები, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო, მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ცხინვალის წარმომადგენლის, ელიოზიშვილის, განცხადება ასეთი იყო: „ჯერჯერობით ცხინვალში მდგომარეობა ნორმალურს კალაპოტშია. მხოლოდ სოფლებში ყაჩაღობამ იჩინა თავი და საჭიროა მის წინააღმდეგ საჩქარო ზომების მიღება. განსაცდელი მოგველის ჯავისა და როკის მხრიდან, სადაც ბოლშევიკურ მოძღვრებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები. საჭიროა ჯარის ჩაყენება ჩვენს რაიონში და ადმინისტრაციის გაძლიერება" (გაზეთი „ერთობა" 1920 №95).

ცხინვალსა და ჯავაში კარგად ხვდებოდნენ მოსალოდნელ საფრთხეს, მაგრამ დროული და საკმარისი რეაგირება არ მოხდა, ამან კი საბოლოოდ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა.

7 აპრილს ასევე გაიმართა სახალხო გვარდიის კრება გომში, რომელმაც დაადგინა, რომ გვარდია ადმინისტრაციასთან ერთად სასტიკად შეებრძოლებოდა

რესპუბლიკის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოსვლებს (გაზეთი „ერთობა” 1920 №96).

აჯანყების დაწყების თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ 6 მაისი, როდესაც სამხრეთ ოსეთის რევკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ეწერა, რომ ქართული ხელისუფლების ჯარები კეტავენ გადასასვლელებს, ასევე კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანების გათვალისწინებით აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას და უერთდებიან რსფსრ-ს, რის შესახებაც აცნობებენ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ ჯათიევი და დევდარიანი (Борьба за победу советскои власти в Грузии: Документы и материалы (1921-1927гг.) 1958).

სამხრეთ ოსეთის რევკომის ეს გადაწყვეტილება იყო რუსული ავანტიურის მორიგი შედეგი, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის გაღვივებას. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთიდან გადმოვიდნენ შეიარაღებული ძალებიც, რამაც უფრო გააგულიანა სამხრეთ ოსეთის რევკომი და მეტი თავდაჯერებულობა შემატა. ამასთან დაკავშირებით დიალოგი გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს შორის. უფრო ზუსტად კი გეგეჭკორმა ჩიჩერინს გაუგზავნა ნოტა, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის რაზმმა ზარბაზნებით გადმოიარა როკის გადასასვლელი და შემოიჭრა საქართველოში, კერძოდ, თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. ჩიჩერინი კი აიმედებდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ სურს არანაირი დაპირისპირება საქართველოსთან და თუ ასეთი შემთხვევა მართლაც მოხდა, მაშინ ეს შეიარაღებული ნაწილები დატოვებენ საქართველოს საზღვარს (გაზეთი „ერთობა” 1920 №101).

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა საქართველოსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა მის ისტორიულ საზღვრებში. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ, ხო-

ლო რუსეთის მხრიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ კარახანმა.

ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა, რომ ერთმანეთის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდნენ, ასევე გათვალისწინებული იყო, რომ არც ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა ყოფილიყო ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც მეორე ქვეყნის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამით გამოდის, რომ რუსეთს არ უნდა დაეშვა თავის ტერიტორიაზე არც ერთი შეიარაღებული ბანდა, რომლიც იბრძოლებდა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის ტერიტორიიდან, თუნდაც ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსული ნებისმიერი შეიარაღებული ძალა, რომელიც დაეხმარებოდა აჯანყებულებს, გამოიწვევდა ხელშეკრულების პირობების დარღვევას, ასეთი ფაქტი კი იყო, თუმცა ჩიჩერინი პასუხისმგებლობას ირიდებდა.

რუსეთის მხრიდან აჯანყებულებისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს ორჯონიკიძის წერილი ლენინის და სტალინის მიმართ: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. ბაქო, 1920 წლის 4 მაისი. მეორედ გპასუხობთ. ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი გვაქვს თორმეტს მაინც თბილისს ვიქნეთ. საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა აჯანყებულთა საშინელ ხოცვა-ჟლეტას გამოიწვევს. ორჯონიკიძე” (ლ. თოიძე 1991: 12-13. ბ.).

7 მაისს ორჯონიკიძე და კიროვი კიდევ ერთ დეპეშას უგზავნიან ლენინს: „აჯანყების რაიონია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია. საზღვრებისკენ ჩვენი წაწევისას აჯანყება აღნიშნულ რაიონებში გარდაუვალია. რას გვიბრძანებთ - დავუჭიროთ მხარი თუ ჩვენთვის ვიყოთ” (ლ. თოიძე 1991: 14-15. ბ). ეს დაპეშა კარგად გვიჩვენებს, რომ რუსეთს ხელს აძლევდა ეს აჯანყებები და საქართველოში არსებული კიდევ ერთი

ცეცხლის კერა ბოლშევიკებს გაუადვილებდა საქართველოში შემოჭრას და გასაბ-ჭოებას.

8 მაისს რევკომმა თავისი გადაწყვეტილება ძალაში მოიყვანა და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება როკის რაიონში. ეს უკვე აღარ იყო ოსების თვითგამორკ-ვევა, ან ეროვნული უმცირესობის მხრიდან გარკვეული სახის ავტონომიის, ან ად-გილობრივი თვითმართველობის მოთხოვნა, ამ გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსე-თის რევკომი საქართველოს წყვეტდა მის ისტორიულ ტერიტორიას, შიდა ქართ-ლის ნაწილს და უერთებდა რუსეთს, რომლსაც ერთი დღით ადრე უკვე დადებუ-ლი ჰქონდა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება და აღიარებდა მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

აჯანყებულები მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ თუ მათ თავისი გეგმების რე-ალურად განხორციელება და შენარჩუნება სურდათ, მაშინ რუსეთს აქტიური მხა-რდაჭერა უნდა გაეწია, რაც საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების გა-ფორმების შემდეგ საეჭვო იყო. მართალია, რუსეთმა მისცა ბიძგი აჯანყებას და კონფლიქტის წარმოქმნას ქართველებსა და ოსებს შორის, მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც ხელშეკრულება დადებული არ იყო და ბოლშევიკებს ღია მოქმედების საშუალებები არ ჰქონდათ. ხელშეკრულების დადების შემდეგ კი ბოლშევიკებს საქართველოში თავისუფალი მოქმედებების საშუალება მიეცათ და იმისათვის, რომ ხელშეკრულება არ დარღვეულიყო რუსეთი აჯანყებულთა დასახმარებლად აქტიურ მოქმედებებს ერიდებოდა, იყო დახმარების გარკვეული ცდები, თუმცა ამას ფაქტიურად არანაირი შედეგი არ მოუტანია.

ოსმა აჯანყებულებმა მაინც მიმართეს რუსეთს და სთხოვეს, რომ საქართვე-ლოზე მოეხდინათ ზეწოლა და შეეჩერებინათ ის შეიარაღებული ძალები, რომელ-თა გაგზავნასაც დემოკრატიული საქართველოს მთავრობა აპირებდა რესპუბლი-კის ერთიანობის დასაცავად და აჯანყების ჩასახშობად.

რუსეთიდან შედეგმაც არ დააყოვნა და ჩიჩერინმა გამოგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ შეშფოთებით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება, გაგზავნილია ქართული ჯარი არსებული ხელისუფლების გასანადგურებლად. თუ ეს სიმართლეა ჩვენ მოვითხოვთ გამოიხმოთ ჯარი ოსეთიდან, რადგან ოსეთს უნდა ჰყავდეს ის ხელისუფლება, როგორიც მას სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სხვის საქმეებში გაუმართლებელი ჩარევა" (ლ. თოიძე 1991: 34. ა). ეს რა თქმა უნდა რუსეთის მხრიდან არასწორი ნაბიჯი იყო და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას ნიშნავდა, განსაკუთრებით კი 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მეორე მუხლშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ რუსეთი უარს ამბობდა საქართველოს საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე (ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია) 2004).

ქართული მხარე ამ ნოტას პასუხგაუცემელს ვერ დატოვებდა, რადგან ეს ეხებოდა როგორც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, რომლის განმტკიცებაშიც წესით ხელი უნდა შეეწყო ახლად დადებულ ხელშეკრულებას და მსგავსი საკითხები აღარ უნდა წამოჭრილიყო, ასევე ეს იყო დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. საპასუხო ნოტა ჩიჩერინს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა გაუგზავნა: „კმაყოფილებით აღვნიშნავ რა თქვენს ნოტაში გამოხატულ ტენდენციას, ხელი შეუწყოს საქართველოს აღდგენას მის ისტორიულ საზღვრებში, საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში.. ჩემს მოვალეობად ვთვლი თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საქართველოს საზღვრებში არის არა სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადავო ტერიტორიაზე ტფილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით, იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველოსა და რუ-

სეთს შორის” (ა. მენთეშაშვილი 1989: 10). საპასუხო ნოტაში გეგეჭკორი ასევე შეახსენებს, რომ საბჭოთა ჯარები 2 ზარბაზნით იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე როკის დასახლებასთან და გამოთქვამს იმედს მათი უკან გაწვევის. გეგეჭკორის ეს პასუხი იყო დამოუკიდებელი ქვეყნის მიერ ტერიტორიული ერთიანობის დაცვის გამოხატულება საერთაშორისო ასპარეზზე. რადგან ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს რუსეთი წარმოადგენდა და საჭირო იყო 7 მაისს ხელშეკრულების პირობების მკაცრი დაცვა რათა რუსეთისთვის არ მიეცათ უფლება რესპუბლიკის საქმეებში ჩარევის. ეს უნდა ყოფილიყო მაგალითი რუსეთისთვის იმისა, რომ ის ვეღარ ჩაერეოდა საქართველოს საქმეებში და დადებული ხელშეკრულება რეალურად მოქმედებდა. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის მთავრობას სრული უფლება ჰქონდა ჯარი გაეგზავნა აჯანყების ჩასახშობად, რადგან ეს მის საშინაო საქმეებს ეხებოდა და სახელმწიფოს თავად უნდა გადაეჭრა ეს პრობლემა.

17 მაისს ცხინვალში გაიმართა კრება, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრები ესწრებოდნენ. კრებაზე განიხილეს არსებული ვითარება და პრობლემის გადაჭრის გზები. „ცხინვალის რაიონის სახალხო გვარდია და დაბა ცხინვალის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ყრილობა იწონებს მთავრობის ნაბიჯებს გადადგმულს საქართველოს სუვერენობის და მისი დემოკრატიის სისხლით მოპოვებული თავისუფლების დაცვისაკენ” (გაზეთი „ერთობა”, 1920 №114). იქვე ნდობა გამოუცხადეს დამფუძნებელ კრებას და ხაზი გაუსვეს, რომ ის არის საქართველოს დემოკრატიის სურვილების გამომხატველი და თანადგომა გამოხატეს სახალხო გვარდიის და რეგულარული ჯარის მიმართ.

ამ კრების ჩატარებით თვალსაჩინო ხდება, რომ მიუხედავად ე.წ. „სამხრეთ ოსეთში” საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა, 17 მაისს საქართველო ჯერ კიდევ აკონტროლებდა ცხინვალს და შეეძლო იქ მსგავსი სხდომების გამართვა. ეს

გასაკვირი არცაა, რადგან აჯანყებული ოსების სურვილს, რომ მათი ცენტრი ცხინვალი გამხდარიყო რეალური საფუძველი არ გააჩნდა, ცხინვალში დიდი რაოდენობით ოსები არ ცხოვრობდნენ მთელი პერიოდის განმავლობაში. მათი აქ დასახლება უკვე მოგვიანო პერიოდს უკავშირდება, როდესაც მოხდა საქართველოს ოკუპაცია და შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სწორედ შემდეგ იწყება ცხინვალში თანდათანობით ოსების დასახლება, მანამდე არსებული მდგომარეობა კი სხვანაირია. 1886 წლის აღწერით, ცხინვალში ცხოვრობდა 1135 ქართველი, 1953 ებრაელი, 744 სომეხი და არცერთი ოსი (ა. თოთაძე 1993). 1922 წლის აღწერითაც, მაშინ როდესაც იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობა შედარებით მცირეა. ამ პერიოდში ცხინვალში არის 1436 ქართველი, 1651 ებრაელი, 765 სომეხი და 613 ოსი, რაც ცხინვალი მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 13,5%-ს შეადგენდა (სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები 1923). 1926 წლის აღწერითაც კი ოსები რაოდენობის მხრივ მხოლოდ მესამე ადგილზე იყვნენ ცხინვალში: ქართველი - 1920, ებრაელი - 1772, ოსი - 1152, სომეხი - 827. ოსების რაოდენობა მნიშვნელოვნად მხოლოდ 1959 წლისთვის იზრდება და 12432 ხდება, ამ დროს ცხინვალში ცხოვრობს 4652 ქართველი, 1649 ებრაელი და სხვა (ა. თოთაძე 1993).

ამ სტატისტიკიდან კარგად ჩანს, რომ ოსების მოთხოვნას ცხინვალი გამხდარიყო მათი ავტონომიური თუ სამაზრო ერთეულის, ავტონომიური ოლქის, თუ ცალკე რესპუბლიკის ცენტრი, არანაირი საფუძველი არ ჰქონდა.

ცხინვალში ქართველების გარდა ებრაელებისა და სომხების დიდი რაოდენობით ცხოვრებას განაპირობებდა ცხინვალის სავაჭრო პოტენციალი. ცხინვალი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქართლსა და ზემო რაჭიდან მომავალ გზებზე, რის გამოც აქ ვაჭრებს ფართო ასპარეზი ეძლეოდათ, სომხები და ებრაე-

ლები კი საქართველოში ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ (ა. თოთაძე 2006).

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ აჯანყების მოვლენებს. აჯანყებულთა ბრალდებების არარეალურობა ყველაზე კარგად ჩანს „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში", რომელიც 1920 წლის 28 მაისს გაეგზავნა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად რუსეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების ცაკს, სახალხო კომისართა საბჭოს, რკპ-ის ჩრდილო-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს, არმიის სარდალსა და პოლიტკომს. მემორანდუმს ხელს აწერდა აჯანყებულთა მთელი რიგი ხელმძღვანელებისა, მათ შორის ვ. სანაკოევი, ს. გაგლოევი, ა. ჯათიევი და სხვ. მემორანდუმში ოსები უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით, რადგან ცხადი გახდა ის ფაქტი, რომ მათ არავინ აღარ დაეხმარებოდა და პირიქით სამხარეო კომიტეტის წევრებისგან მიიღეს ცნობა, შეეწყვიტათ აჯანყება, რადგან ახლა ბოლშევიკურ პარტიას საქართველოში მოქმედების ოფიციალური საშუალება ეძლეოდა. მემორანდუმში ასახული იყო ოთხი ძირითადი პუნქტი:

„1) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილია.

2) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შედის პირდაპირ, საერთო საფუძველზე.

3) უშუალოდ საბჭოთა რუსეთში შესვლას საქართველოს ან სხვა რესპუბლიკის მეშვეობით, თუნდაც იგი საბჭოთა რესპუბლიკა იყოს, ჩვენ არავითარი სახით არ ვუშვებთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ წვრილი ეროვნული რესპუბლიკები, მაგალითად, ქართული, რომელიც თვითონ 60-70%-ით დასახლებულია სხვა ეროვნებებით - სომხებით, თათრებით, რუსებით, ებრაელებით, აფხაზებით, ოსებით და სხვა, თავისთავში ინარჩუნებენ ყველა მონაცემს, რათა მასში განვითა-

რდეს ნაციონალიზმის ბუდეები, აქედან გამომდინარე დამღუპველი შედეგებით...

4) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაცია რჩება იმავე სახით, როგორც აქამდე იყო: რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ. ვისაც არ უნდა ნაბიჯი უკან, პლიუსიდან მინუსისაკენ, სეპარატისტულ ქართულ ან სხვა რომელიმე კომუნისტურ პარტიაში" (ა. მენთეშაშვილი 1996: 305-306).

მემორანდუმის ზოგადი ხასიათი ასეთია, ანუ აქცენტი კეთდება ოსი ხალხის უსამართლოდ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე. მსგავსი მიდგომა, რომელმაც ოსურ სეპარატიზმს დაუდო სათავე რეალურად უსაფუძვლო იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტშივე ხაზგასმული იყო, რომ სახელმწიფოს აქცენტი იყო ისეთი სისტემის შექმნა, სადაც ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლება ექნებოდა. ეს მოგვიანებით კონსტიტუციაშიც განიმარტა.

მემორანდუმში არის კიდევ ერთი ფაქტი, რისი განხილვაც საჭიროა. მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოში ქართველები უმცირესობას წარმოადგენენ და 60-70 პროცენტი არის სხვა ეროვნების წარმომადგენელი. 1926 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობს 67,1% ქართველი (ა. თოთაძე 1993), შეუძლებელია 6 წელიწადში მდგომარეობა ასე რადიკალურად შეცვლილიყო, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს აჯანყებულთა მორიგ უსაფუძვლო არგუმენტთან.

8 ივნისს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რევკომმა მორიგი ბრძანება გამოსცა, სადაც აცხადებდნენ სამხრეთ ოსეთის აჯანყებული გლეხობის მიერ მენშევიკური საქართველოს ჯარების გაძევებას და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას ონიდან დუშეთამდე. ამ ტერიტორიას ისინი უქვემდებარებდნენ სამხრეთ ოსეთის რევკომს, ხოლო ცხინვალს აცხადებდნენ ცენტრად (ლევან თოიძე 1991. ა). ამ ბრძანე-

ბაში კიდევ ერთხელ მოხდა მათი მოთხოვნის ზღვარს მიღმა გასვლა. აქ უკვე აღარ იყო საუბარი ოსების თვითგამორკვევაზე ან ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე. ისინი რუსეთის სახალხო კომისარს ატყობინებდნენ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებას. ეს უკვე იყო ბოლო ზღვარი ქართული ხელისუფლებისთვის, რადგან აჯანყებული ოსების ბანდებმა აიღეს ცხინვალი და მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის რუსეთთან შეერთება მოინდომეს. ეს მოვლენები, რა თქმა უნდა, ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან.

ოსების ეს ავანტიურული ქმედებები ზღვარს გასცდა და საქართველოს მთავრობას მხოლოდ ერთი გზაღა რჩებოდა, ეს იყო აჯანყების ჩახშობა სამხედრო შენაერთების გამოყენებით. ეს იყო უკვე მესამე აჯანყება საქართველოს წინააღმდეგ, თან სამივე მოხდა საქართველოსთვის მძიმე დროს. სწორედ ამან გამოიწვია აჯანყების ჩახშობის დროს განსაკუთრებული სიმკაცრე. სამხედრო მეთაურობის გადაწყვეტილებით აჯანყებულები სამაგალითოდ უნდა დაესაჯათ, რათა აქ აღმოფხვრილიყო ის საფრთხე, რომელიც მთელი დამოუკიდებლობის პერიოდის განმავლობაში ელოდა საქართველოს.

§6.2. სამხედრო მზადება

აჯანყების ჩასახშობად ერთ-ერთი მთავარი ეტაპი სამხედრო სამზადისი იყო. მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ იქნებოდა სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი, ასევე სამხედრო ნაწილების დაკომპლექტებასა და საბრძოლო მოქმედების გეგმის შედგენას. ვითარება საკმაოდ კრიტიკული იყო: მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება ბოლშევიკურ აზერბაიჯანთან და საჭირო იყო ზუსტი გათვლა, თუ რომელი ნაწილები უნდა გადაესროლათ შიდა ქართლში ოსების აჯანყების ჩასახშობად, რომელთაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რუსეთთან შეერთება ჰქონდათ განზრახული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აჯანყების ჩახშობის მთელი პასუხისმგებლობაც და დამსახურებაც, ძირითადად, სახალხო გვარდიის სარდალს ვალიკო ჯუღელს მიეწერება, რაც ბოლომდე გამართლებული არაა. ჯუღელის დამსახურება, რასაკვირველია, დიდი იყო, იგი მარჯვენა ფლანგს პირადად ხელმძღვანელობდა და სამხედრო გეგმის შემუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ აჯანყების ჩახშობას მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე თავად ხელმძღვანელობდა და ძირითადი საბრძოლო მოქმედებების დროს მას ფრონტის ხაზი არ მიუტოვებია და პირადად მონაწილეობდა მოქმედებებში.

აქედან გამომდინარე, რეალობის აღდგენა მოითხოვს აჯანყების ჩახშობაში კვინიტაძის როლის წინ წამოწევასაც, სწორედ მან გადაწყვიტა, თუ რომელ სამხედრო შენაერთებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში და მისი გადაწყვეტილებით მოხდა ფლანგების დაკომპლექტება.

სამხედრო ოპერაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ხელმძღვანელების გიო-

რგი კვინიტაძის და ვალიკო ჯუღელის მიერ ოსების აჯანყების შეფასება ასეთია:

გიორგი კვინიტაძე - „ოსების ეს მესამე თუ მეოთხე აჯანყება იყო. ისინი ყოველთვის მოლაპარაკებებით მთავრდებოდა. ამჯერად აჯანყება უფრო მომზადებული იყო. მცხეთამდე ყველაფერი ჩვენიაო - უხაროდათ ოსებს" (გ. კვინიტაძე 1998: 234).



რუკა 5 - 1920 წლის კონფლიქტის პირველი ეტაპი

ვალიკო ჟუღელი - „ცხინვალიდან ცუდი ამბებია, როგორც ჩანს ის უკვე დაკავებულია ოსური ბანდების მიერ. ჩვენ იქ სწრაფად ვაგზავნით ძალებს, რათა ჭკუა ვასწავლოთ უსაქმურებს. ოსი ნაციონალისტები ჩვენი ბოროტი და დაუძინებელი მტრები არიან. ისინი ყოველთვის სარგებლობენ ჩვენი სისუსტეებით და

გვიწყობენ აჯანყებას. რამდენიმე წლის წინ ისინი თავიანთი აჯანყებებით თურქებს უადვილებდნენ ბათუმის აღებას. წინა წელს ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს, ხოლო ეხლა ბოლშევიკებთან ერთად იბრძვიან. ჩვენ უკვე დავიღალეთ ამ დაუსრულებელი აჯანყებებით. ... ეს დროებითი წარუმატებლობა მე საერთოდ არ მაწუხებს. მე ვიცი, რომ საბოლოო სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის" (В. Джугели 1920: 227-228).

აზერბაიჯან-საქართველოს საბრძოლო ფრონტიდან რთული იყო ჯარის მოხსნა და აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა, მაგრამ სხვა გზა არ რჩებოდა. საუკეთესო ვარიანტად მიჩნეულ იქნა აღმოსავლეთის ფრონტიდან ჯარის მოხსნა, რადგან აქ ბოლშევიკების სამხედრო ძალებმა შედარებით იკლეს, ამავე დროს ყველაზე მოკლე დროში აღმოსავლეთის ფრონტიდან იყო შესაძლებელი სამხედრო ნაწილების გადასროლა დანიშნულების ადგილისკენ, ანუ ჯერ გორისკენ, სადაც უნდა მომხდარიყო მობილიზაცია და შემდეგ უკვე ცხინვალისკენ, რომელიც აჯანყებულებს ეკავათ (გ. კვინიტაძე 1998).

კვინიტაძის ინიციატივით, აზერბაიჯანის ფრონტიდან მოიხსნა გვარდიელთა შენაერთები და სწორედ მათ დაევალათ აჯანყების ჩახშობა. კვინიტაძე ამას იმით ხსნის, რომ აზერბაიჯანის ფრონტი უფრო საშიში იყო, ვედრე აჯანყებული ოსების დაშოშმინება, რის გამოც აზერბაიჯანის ფრონტზე დატოვა არმიის შენაერთები, რომლებიც უფრო მეტად ბრძოლისუნარიანები და დისციპლინირებულები იყვნენ, ვიდრე - გვარდიელები. ვინაიდან აჯანყებული ოსები მხოლოდ ბანდების იმედზე იყვნენ და არა რეგულარული და კარგად გაწვრთნილი არმიისა, ამიტომ მათ სახალხო გვარდია უპრობლემოდ უნდა გამკლავებოდა.

ჯარის შეკრება თავდაპირველი მობილიზაციისთვის გადაწყდა გორში, საიდანაც უკვე გაიშლებოდა საბრძოლო ოპერაცია და მოხდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განთავისუფლება აჯანყებულებისაგან. დაგეგმილი

იყო, რომ 10 ივნისს გორში თავს მოიყრიდა 8 ბატალიონი, ცხენოსანთა პოლკი და ორი სამთო ბატარეა. რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი, მთლიან ოპერაციას კი თვითონ კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. გენერალ კონიაშვილს კვინიტაძეც და ჯუღელიც თავიანთ მოგონებებში საკმაოდ დადებითად ახასიათებენ.

გვარდიელების დანიშნულების ადგილზე მისვლამდე საჭირო იყო გორში პოზიციების გამაგრება, რადგან გორის სამხრეთით მცხოვრებ ოსებშიც შეინიშნებოდა მღელვარება, ბოლშევიკები იქაც ეწეოდნენ აგიტაციას, რის გამოც მათი და აჯანყებული ოსების ერთმანეთისგან გათიშვა იყო საჭირო.

ამ მიმართულებიდან საფრთხის ასაცილებლად საგუშაგო დაცვა დადგა, ასევე გადაიკეტა მტკვარზე გადასასვლელები. ამ ზომების მიღებაში მონაწილეობას ღებულობდნენ გიორგი კვინიტაძე, ადგილობრივი ადმინისტრაცია და იქ არსებული სახალხო გვარდია (გ. კვინიტაძე 1998). გორის სამხრეთით მცხოვრებ ოსებს მოგვიანებით კვლავ მივუბრუნდებით.

კვინიტაძე მოგონებებში საბრძოლო მოქმედებების დროს არსებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც ამახვილებს ყურადღებას. „არანაირი ბრძანება რაგინდ გენიალურიც უნდა იყოს, ვერ იძლევა ისეთ შედეგს, როგორც მოწინააღმდეგის უშუალო სიახლოვეში მყოფი ხალხის დამშვიდება... სახიფათო ადგილებში პირადად უფროსის ჩასვლას, მითუმეტეს, როდესაც იქ მდგომარეობა გართულებულია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს“ (გ. კვინიტაძე 1998: 232). კვინიტაძის მხრიდან ასეთი ფაქტორების გათვალისწინება ქართული სამხედრო მეთაურობის მაღალ დონეზე მიუთითებს. დასაფასებელია ის ფაქტი, რომ სამხედრო მომზადების დროს ფიზიკური მომზადების გარდა ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც ითვალისწინებდნენ, ამას ხომ ბრძოლის დროს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს. თავის ყოფნას კვინიტაძე სამხედრო მოქმედებების დროს ფრონტზე სწორედ ამით

ხსნის, რომ საჭირო იყო სამხედრო მეთაურის თანადგომა საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად და ბრძოლისუნარიანობის გასაზრდელად.

11 ივნისს გორში გაიმართა საველე შტაბის სხდომა, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო სამოქმედო გეგმა და ჯარი გადანაწილებულიყო ფლანგებზე (В. Джугели 1920). გადაწყდა ორივე ფლანგით შეტევა, რომელიც ოთხ საბრძოლო კოლონად დაიყოფოდა და ეტაპობრივად გაწმენდდა შიდა ქართლის ამ ტერიტორიას აჯანყებულებისაგან, რის საშუალებასაც გვარდიელების რაოდენობა იძლეოდა. დაყოფა მოხდა შემდეგნაირად: იქნებოდა მარჯვენა და მარცხენა კოლონა და ასევე ცენტრალური შემტევი ძალა, რომელიც ასევე ორ კოლონად, ცენტრალურ მარჯვენა და ცენტრალურ მარცხენა კოლონად დაიყოფოდა. ცენტრალურ კოლონებს ცხინვალის აღება ჰქონდათ დავალებული.


ცხინვალი
მარჯვენა ფლანგი
ცენტრალური მარჯვენა ფლანგი
ცენტრალური მარცხენა ფლანგი
მარცხენა ფლანგი
მენერალი ვარიანტ ჯუმელიდან ლოკალურ ნაწილებამდე
მენერალი ალექსანდრე კონიაშვილი
მენერალი მიოგი ჯვინაძე
ალოკალური ნიკოლოზ გადევანიშვილი

გენერალი კონიაშვილი

მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელებად ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე დაინიშნენ, ცენტრალურ მარჯვენა კოლონას გენერალი კონიაშვილი უხელმძღანელებდა, მარცხენა კოლონას პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი, ხოლო ცენტრალურ მარცხენას, რომელსაც ყველაზე სუსტად აღიარებდა კვინიტაძე და მის ფუნქციად მხოლოდ მარცხენა კოლონასთან დაკავშირება მიაჩნდა, თავად კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. მარცხენა კოლონას ასევე მიმაგრებული იყო გვარდიის შტაბისა და დამფუძნებელი სათათბიროს წევრი ზაქარია გურული (გ. კვინიტაძე 1998).

ცხინვალის აღების დროს ჯარს აეკრძალა ქალაქში შესვლა, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი არეულობდა, რაც, კვინიტაძის თქმით, გვარდიელთა უდისციპლინობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ახლა კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აჯანყების ჩახშობისას, ესაა, თუ რა სიმკაცრე უნდა გამოეჩინა ქართულ არმიას აჯანყების ჩახშობისას. ამ საკითხის გადაწყვეტა მარტივი არ იყო, ქვეყანა დემოკრატიულ პრინციპებზე ვითარდებოდა და ძნელად თუ გავიხსენებთ ისეთ მომენტებს სადაც ქართულ სახელმწიფოს განსაკუთრებული სიმკაცრე გამოეჩინოს აჯანყებულთა თუ სხვა მოწინააღმდეგეთა მიმართ, ქვეყნის მთავარი გზა მკაცრ პოლიტიკას არ ემყარებოდა და ლოიალობას იჩენდა სხვათა მიმართ. ეს პრინციპები მხოლოდ დამოუკიდებლობის აქტში არ იყო გაწერილი, ან კონსტიტუციაში, ხშირ შემთხვევაში ფურცელზე დაწერილი პრაქტიკაშიც ასე ხორციელდებოდა, ამ შემთხვევაში მაგალითად წინა ორი აჯანყებაც კმარა, სადაც სასტიკად არავის გასწორებიან.

ახლა საკითხი სხვაგვარად იდგა, მაგრამ ზღვარი ყველაფერს ჰქონდა, ეს აღარ იყო ოსი ხალხის მოთხოვნა მათი უფლებების დასაცავად, ეს არ იყო ეთნიკური უმცირესობის მხრიდან საკუთარი ინტერესების დაცვა, ეს იყო ერთი ქვეყნისთვის ტერიტორიის წართმევა და მეორისთვის მიერთება და რბილად რომ ვთქვათ, მსგავსი უსიამოვნო დაპირისპირება სამი წლის მანძილზე უკვე მესამედ ხდებოდა, რაც ქვეყნის სტაბილურ განვითარებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა. ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ოსები არ ცხოვრობდნენ, აქ დიდი რაოდენობით იყო ქართული მოსახლეობა და სხვა ეროვნების ადამიანებიც. საქართველოს ტერიტორიაზე იქ მცხოვრებ ქართველს აღარაფერს ეკითხებოდნენ და მის სახლს პირდაპირ რუსეთის ტერიტორიას უერთებდნენ, ეს უკვე უსამართლობის ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

სწორედ ასეთმა ვითარებამ გამოიწვია სამხედრო მმართველობის მხრიდან

სასტიკი, თუმცა ასე თუ ისე სამართლიანი ანგარიშწორების იდეა. ხარვეზი ყველა გეგმას აქვს და იდეალურობაზე პრეტენზია ვერც ამ გადაწყვეტილებას ექნებოდა, თუმცა საჭირო იყო ისეთი ზომების მიღება, რომლის შემდეგაც აჯანყება აღარ განმეორდებოდა და ქვეყნის ამ რეგიონში სტაბილური განვითარების შესაძლებლობა შეიქმნებოდა. ქართველ გლეხობას აქ მუდმივი ბრძოლა უხდებოდა ბოლო პერიოდში, რადგან აჯანყებული ოსების ბანდები არბევდნენ მათ სახლ-კარს და ძარცვავდნენ. ამ პრობლემის შესახებ არაერთხელ იყო დასმული საკითხი კრებებზე, მაგრამ მსგავსი ლმობიერი მიდგომებით საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა, საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება.



ვალიკო ჯუღელი და გენერალი კონიაშვილი ფრონტის ხაზზე.

ფოტოზე კარგად ჩანს ის შეიარაღება, რომელსაც ბრძოლის დროს ქართული ქვედანაყოფები იყენებდნენ.

ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის დროს კი ერთ-ერთი მთავარი როლი, სწორედ ტყვიამფრქვევებს ეკისრათ.

11 ივნისს გაიმართა საველე შტაბის სხდომა, სადაც განიხილეს სწორედ ეს საკითხი, თუ რა დოზით უნდა გამოეჩინათ სიმკაცრე აჯანყებულთა მიმართ. ამ საკითხზე კვინიტაძისა და სახალხო გვარდიის მეთაურების შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა. სახელმწიფო თავდაცვის საბჭოში თავდაპირველად მი-

ღებული იყო გადაწყვეტილება ოსური სოფლების დაწვის შესახებ, რომელიც კვინიტაძის აზრით ზედმეტი იყო. მისი თქმით ყველა ბრძოლას ისედაც ხანძარი მოსდევს დასახლებულ ადგილებში, ხოლო დამატებით ცეცხლის გაჩენა კარგ შედეგს არ გამოიწვევდა. კვინიტაძის მიდგომა, როგორც ჩანს, იყო ტერიტორიის გაწმენდა შეიარაღებული ბანდებისგან, მაგრამ სხვა სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარებას ის არ ემხრობოდა. მისმა ბრძოლამ, რომ სოფლები არ დაეწვათ, თავდაპირველად შედეგი გამოიღო და უარი თქვეს ამ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ სახალხო გვარდიის შტაბი დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და საკუთარ ბატალიონებს მაინც მისცა ბრძანება სახლების გადაწვის (გ. კვინიტაძე 1998).

საჭიროა მოვახდინოთ ვალიკო ჯუღელის შეხედულების ციტირება ამ საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო კარგად დავინახოთ, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა იმ პერიოდში სახალხო გვარდიაში და სავარაუდოდ, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილშიც: „მოღალატეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ. სხვა გზა არ არის. სწორედ ესაა უბედურება“ (В. Джугели 1920: 229). აჯანყებულების დასჯის სურვილი, ალბათ, სახელმწიფოს მართველ წრეებშიც და რეგულარული არმიის ნაწილებშიც გააჩნდათ და ეს გასაკვირი არცაა, მაგარამ აქ დგება საკითხი საჭიროებაზე, უნდა დაეწვათ თუ არა აჯანყებულთა სახლები. საბრძოლო მოქმედებების დროს ჯუღელი თავის მოგონებებში წერს: „სიმშვიდე არ არის! ყველგან იწვის ოსური სოფლები. ცუდი გადაწყვეტაა, მაგრამ სხვა გზა არაა. ჩვენ ვერ შევძელით გვეპოვა! და არავის შეეძლო მისი ნახვა! ან უნდა ჩაგვეხშო აჯანყება და გადაგვერჩინა ჩვენი დემოკრატია, ან დაგვეღუპა დემოკრატია და მიგვეცა ზეიმის საშუალება სისხლიანი ვანდეისათვის. ჩვენ უყოყმანოდ მივიღეთ არჩევანი! ჩვენ უკვე დავიღალეთ სიტყვებით, დაპირებებით, თხოვნებით. ჩვენ უკვე ორჯერ მოვიქეცით რბილად, ჰუმანურად და კეთილშობილურად. ჩვენ ძალიან გულმოწყალენი ვიყავით და მაშინ არ იყო სისასტიკე, თითქმის არცერთი

დახვრეტა არ ყოფილა. არცერთი სახლი არ დაიწვა!... უნდა გავხდეთ სასტიკები უმაღლესი გულმოწყალების სახელით” (В. Джугели 1920: 230).

მემუარები, როგორც ყოველთვის, სუბიექტურია, მაგრამ რეალობის ნახვაც შეიძლება. ის შეფასებები, რაც ჯუღელს აქვს გაკეთებული, გარკვეულწილად ასახავდა მაშინდელი საზოგადოების ნაწილის აზრსაც, ბევრი იქნებოდა დაღლილი გაუთავებელი აჯანყებებით, მითუმეტეს, რომ არც ისე უსისხლოდ ჩაიარა წინა აჯანყებებმა და ოსების მხრიდან ძარცვა-რბევის შემდეგ მიღებული ზარალიც დიდი იყო როგორც სოფლებში, ისე ცხივნალში. როდესაც ჯუღელი საუბრობს, რომ უყოყმანოდ მიიღეს გადაწყვეტილება აჯანყების ასეთი გზით ჩახშობაზე, აქ საუბარი შეიძლება იყო მხოლოდ სახალხო გვარდიაზე, რადგან ჩვენ ვნახეთ, რომ კვინიტაძე ამის წინააღმდეგი იყო, ასევე წინააღმდეგი იქნებოდნენ სახელმწიფო თავდაცვის საბჭოში, რადგან კვინიტაძის იდეისკენ გადაიხარნენ ისინიც და სახლების დაწვას არ ემხრობოდნენ.

გენერალი ვალერიან (ვალიკო) ჯუღელი

რეალობა მოითხოვს, ითქვას, რომ ქართული გვარდიის მხრიდან გამოჩენილი ასეთი სიმკაცრისა თუ სისასტიკისა, მათი გაკიცხვის საფუძველი არ არსებობს, მსგავსი ზომების მიღების უფლება აქვს ყველა სახელმწიფოს, რათა შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და დაიცვას ყველა მოქალაქის ინტერესი და არ აჰყვეს სხვა ქვეყნის მიერ ინსპირირებულ მოთხოვნებს, რომელიც ქვეყნის რღვევას და ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს იწვევს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სრული უფლება ჰქონდა, სამხედრო გზით ჩაეხშო ოსური ბანდების ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლა და გამოიყენა კიდევაც ეს უფლება, ეს ახლოსაც არ ყოფილა გენოციდთან, როგორც შემდეგ ცდილობდნენ ოსი და რუსი ბოლშევიკები ამ მოვლენის წარმოჩენას, დასჯილი იყვნენ მხოლოდ აჯანყებულები, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს კი არავინ არ შეხებია.

როგორც ქართული პრესის მიერ მოცემული ინფორმაციით აჯანყებულ ოსებს არ გააჩნდათ კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ზალები, ისინი აქცენტს რაოდენობაზე აკეთებდნენ და შეიარაღებულ ბანდებს ქმნიდნენ. სხვა გზა მათ არც გააჩნდათ, რუსეთის არმია ამ მიმართულებაზე ღიად ვერ ჩაებმებოდა საომარ ოპერაციებში საქართველოსთან, რის გამოც მათ ერთადერთ გზად ბანდების შექმნა რჩებოდათ. სწორედ ამ ბანდების მიერ განხორციელდა ცხინვალის და დანარჩენი პუნქტების აღებაც. ქართული მხრიდან კი სახალხო გვარდია საკმაოდ გამოცდილი იყო და პროფესიონალი მეთაურობაც ჰყავდა. სწორედ ამიტომ საქართველოს არ გასჭირვებია შეემუშავებინა სამხედრო მოქმედებების სტრატეგია, რომელიც კარგად იქნებოდა ორგანიზებული.

§6.3. სამხედრო მოვლენების მიმდინარეობა

მომაკვდინებელ ცოდვას დემოკრატია

არ ივიწყებს და მახვილის მოტრიალეთ

მახვილითვე უმასპინძლდება

(გაზეთი „ერთობა“, 1920 №126: 1).

სამხედრო მოვლენების აღსადგენად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება 1920 წლის ქართული პრესაა, სადაც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა გენერალური შტაბის ცნობები მოვლენების განვითარებაზე, აგრეთვე იწერებოდა სტატიები, სადაც ხდებოდა აჯანყების შეფასება, რუსების როლის განხილვა და აჯანყებულ ოსთა წინდაუხედაობაზე ხაზგასმა. ყურადრება მახვილდებოდა იმაზე, რომ რეალურად კონფლიქტი არ იყო ქართველებსა და ოსებს შორის წამოჭრილი და მის გაღვივებაში მთავარი როლი რუს ბოლშევიკებს მიუძღვოდათ, ოსების მოთხოვნებიც ხომ ყველაზე მეტად მათ აძლევდათ ხელს.

ინფორმაციის შესავსებად, რა თქმა უნდა, მემუარებიც კარგ წყაროს წარმოადგენს, მიუხედავად მათი სუბიექტურობისა, სხვა წყაროებთან შედარებითი ანალიზის გაკეთების შემდეგ უკვე საშუალება გვეძლევა, აღვადგინოთ აჯანყების ჩახშობის ყოველდღიური მოვლენები და ის შედეგები რომელიც მას მოჰყვა.

სამხედრო მოქმედებები იწყება 8 ივნისს ოსური ბანდების აქტიურობის შე-

დეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი რიგი პოლიტიკური მოქმედებების მიუხედავად, რომელიც ოსებმა მოახდინეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გამოსაყოფად და რუსეთთან შესაერთებლად, ქართულ მხარეს ძალისმიერი მეთოდებისთვის არ მიუმართავს და მხოლოდ მაშინ იწყებს სამხედრო შენაერთების გამოყენებას, რაც ოსური ბანდები აიღებენ ცხინვალს.

ოსურ ბანდებს შეიძლება ვერც გაებედათ საბრძოლო მოქმედებების წამოწყება, რომ არა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ანუ რუსეთის ტერიტორიიდან გადმუსუული დამხარე ძალები. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული სამხედრო ძალები და ოსური ბანდები 8 ივნისს იწყებენ სამხედრო მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების წინააღმდეგ. ამ დროს აჯანყებულთა ნაწილები მრავალრიცხოვანი იყო, რითიც მათ ისარგებლეს, ორივე მხრიდან შემოუარეს ქართულ ფლანგს და აიღეს ცხინვალი (გაზეთი „ერთობა", 1920 № 127, № 128).

ცხინვალის დაკარგვას თან ახლდა კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი: ცხინვალის დაცვის ხელმძღვანელი კაპიტანი ჩხეიძე იყო, რომელსაც გვარდიელთა ორი ბატალიონი ებარა. გვარდიელთა ბატალიონები გამაგრებულნი იყვნენ ცხინვალთან და როკის მიმართულებას აკონტროლებდნენ. უნდა მომხდარიყო ამ ორი ბატალიონის ჩანაცვლება სხვა ბატალიონებით, მაგრამ ვერ მოხერხდა დაცვის უზრუნველყოფა, რის გამოც ჩასანაცვლებლად მოსული ბატალიონებიც და ადგილზე მყოფნიც ოსების მიერ დატყვევებულნი აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, კაპიტანმა ჩხეიძემ მათი დახმარება ვეღარ შეძლო, რადგან დამხმარე ბატალიონები არ არსებობდა. შედეგად ოსურმა ბანდებმა აიღეს ცხინვალიც და გვარდიელებიც ჩაიგდეს ტყვედ, რომლეთა განთავისუფლებაც დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მოხდა, რის შესახებაც მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ (გ. კვინიტაძე 1998).

ქართული მხრიდან იგზავნება მზვერავთა ჯგუფები, რომლებიც აქტიურად

იყვნენ ჩაბმულნი მთელი სამხედრო მოქმედებების დროს. გენერალური შტაბის 10 ივნისის ინფორმაციით ცხინვალთან კვლავ სროლაა, ხოლო ოსური ბანდები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ართმევს სურსათ-სანოვაგეს და მიმდინარეობს ყაჩაღობა (გაზეთი „ერთობა", 1920 № 129).

ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ოსური ბანდები მხოლოდ ქართულ მოსახლეობას ძარცვავენ და არა ოსურ მოსახლეობასაც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისენი ტიპიური ბანდები არ იყვნენ, რომლებიც ყველას ძარცვავდნენ, ისინი ეთნიკური ნიშნით არჩევდნენ ქართველებს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ეთნიკური ნიშნით ჩაგვრა აჯანყებული ოსების მხრიდან ხდებოდა, ხოლო ქართველებს, კიდევ გავიმეორებთ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ოსებისთვის ხელი არ უხლიათ, შესაბამისად, ქართველების მხრიდან ოსებისთვის გენოციდის მოწყობაზე საუბარი მხოლოდ პოლიტიკური დემაგოგიაა, რაც, პირველ რიგში, რუს ბოლშევიკებს აწყობდათ და დღესაც რუსების ინტერესებში შედის.

11 ივნისს გორში გაიმართა საველე შტაბის კრება, სადაც დადგინდა სამოქმედო სტრატეგია, რომლის მიზანიც აჯანყებულთაგან შიდა ქართლის აღნიშნული ტერიტორიის გაწმენდა იყო. გაზეთ „ერთობის" №130-ის ცნობით, პარალელურად ხდებოდა მზვერავთა მოქმედებები საქართველოს მხრიდან, რაც ქართულ არმიას უკეთ მომზადების საშუალებას აძლევდა.

ვალიკო ჯუღელი მოგონებებში ერთ სიმბოლურ დამთხვევას აღნიშნავს: 12 მაისს დაიწყო ქართველთა შეტევა წითელ ხიდზე ბოლშევიკური აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ხოლო 12 ივნისს უნდა დაწყებულიყო იერიში, რომლის მთავარი მიზანიც ცხინვალის აღება იყო. ქართული გვარდიის მთავარი უპირატესობა აჯანყებულების წინააღმდეგ ის იყო, რომ გვარდია, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენდა რეგულარულ არმიას, მაინც საკმაოდ გამოცდილი იყო ბრძოლებში და მეთაურობაც საკმაოდ გამოცდილი და მაღალი დონისა ჰყავდა, ოსური ბანდები

კი სახელდახელოდ შეიარაღებული გამოუცდელი მეომრები იყვნენ, მათ მხოლოდ ძარცვასა და ყაჩაღობაში ჰქონდათ გამოცდილება, ხოლო გამოცდილ გვარდიასთან მათ წინააღმდეგობის გაწევა უკვე უჭირდათ.

მარჯვენა ფლანგმა შეტევა 12 ივნისს დაიწყო ვალიკო ჯუღელისა და ალექსანდრე დგებუაძის ხელმძღვანელობით, რომელთაც გურულთა ბატალიონი ახლდათ. მარჯვენა ფლანგიდან შეტევის შემდეგ მოხდა კობიანტის სიმაღლის დაკავება, ასევე ვანათის სიმაგრის აღებაც შეძლო ქართულმა ნაწილებმა. იმის გამო, რომ მტერი საკმაოდ სუსტ წინააღმდეგობას უწევდა ქართულ გვარდიელებს, მარჯვენა კოლონამ დაიკავა ორტევი და საკმაოდ ადვილად მიიწევდა წინ. ჯუღელის ინფორმაციით კი ოსების უკან დახევა საკმაოდ დაუგეგმავი იყო და უწესრიგოდ ტოვებდნენ პოზიციებს (В. Джугели 1920).

ცხინვალისკენ წინსვლა ქართულ ჯარს არ გასძნელებია და გზაზე სერიოზული წინააღმდეგობაც არ შეხვდა. იყო, რა თქმა უნდა, შეტაკებები, მაგრამ გვარდიას დანაკარგი, ფაქტობრივად, არ ჰქონია. პოზიციების აღებასთან ერთად ხდებოდა იმ სამხედრო შეიარაღების ხელში ჩაგდებაც, რომელსაც ოსური ბანდები ადგილზე ტოვებდნენ უკანდახევისას, ასე მოხდა რამდენიმე ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდებაც. დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა მთლიანად 8-10 კაცზე მეტი არ ყოფილა (გ. კვინიტაძე 1998).

ყოველი ახალი პოზიციის დაკავებას თან ხანძარი მოჰყვებოდა, როგორც ეს სახალხო გვარდიის შტაბში გადაწყვიტეს. აღებული სოფლები იწვოდა, ეს კი ქართველთა წინსვლას ნიშნავდა. ამას ადასტურებენ გიორგი კვინიტაძეც და ვალიკო ჯუღელიც.

ბრძოლა ქართველთა ისეთი უპირატესობით წარიმართა, რომ ცხინვალი შეტევის პირველსავე დღეს, 12 ივნისს იქნა აღებული. იქ მყოფ ოს აჯანყებულებს,

ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არც გაუწევიათ, ისე გაიქცნენ ქალაქიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვარდიელებს ნაბრძანები ჰქონდათ, თითონ ქალაქში არ შესულიყვნენ, ამიტომ ქალაქს შემოუარეს და სიმაღლე დაიკავეს.

დაზვერვის შემდეგ ჩანდა, რომ ქალაქი დაცარიელებული იყო. ამ ფაქტის გადასამოწმებლად გენერალი კვინიტაძე და კაპიტანი ბერელაშვილი შევიდნენ ცხინვალში, რათა თავად დარწმუნებულიყვნენ, რომ აჯანყებულებს უკვე დატოვებული ჰქონდათ ცხინვალი. იქ შესულებს ქართველ გვარდიელთა მცირე რაოდენობა უკვე შესული დახვდათ, რომლებიც დახლებს ძარცვავდნენ, თუმცა ამ ფაქტის აღკვეთა დროულადვე მოხერხდა, აგრეთვე დროულად გაიცა ბრძანება, რომ სხვა სამხედრო ნაწილებს, რომლებიც ქალაქში შემოსვლას აპირებდნენ, დაეტოვებინათ ტერიტორია. მიზანი ჯარისკაცთაგან ძარცვის თავიდან აცილება იყო, ზედმეტი არეულობა აღარავის სჭირდებოდა, საჭირო იყო პრობლემის დროული გადაწყვეტა.

ცხინვალის აღება, რა თქმა უნდა, ცენტრალური კოლონების მიერ მოხდა ისე, როგორც დაგეგმილი იყო. მცირე ხნის შემდეგ ცხინვალს მარჯვენა ფლანგიც შეუერთდა.

ცხინვალში, ერთ-ერთ სახლში მოეწყო დროებითი შტაბი სადაც შემდგომი დღეების გეგმები უნდა განეხილათ. სწრაფი და იოლი წინსვლის შემდეგ კვინიტაძე საჭიროდ აღარ მიიჩნევდა მის მუდმივ ყოფნას ფრონტის ხაზზე, ქვეყანაში არსებული რთული ვითარების გამო კი მისი თბილისში ყოფნაც საჭირო იყო. ამ მიზეზით გადაწყდა, ხელმძღვანელობა გენერალი კონიაშვილისათვის გადაებარებინა, რაც ასეც მოხდა.



გენერალი გიორგი კვინიტაძე

12 ივნისი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა მოვლენებით. ფაქტობრივად, ამ დღეს გადაწყდა შემდგომი ბრძოლების ბედიც, აღებულ იქნა მნიშვნელოვანი პოზიციები, თუმცა ადგილი ჰქონდა გარკვეულ გაუგებრობასაც, რაც ჯარის არასაკმარისი რაოდენობით იყო გამოწვეული. კერძოდ, საუბარია დეზინფორმაციაზე, რომელიც 12 ივნისს გავრცელდა. კვინიტაძეს, რომელიც გორში ბრუნდებოდა კაპიტან ბერელაშვილთან ერთად, ტყვიავთან ხალხი შემოხვდათ, რომლებიც გამორბოდნენ იმის შიშით, რომ ოსები დაესხნენ თავს. ამ ვარაუდს ისიც ამაგრებდა, რომ სროლის ხმა ისმოდა და გაჩნდა ეჭვი, რომ ოსების მიერ პოზიციების ადვილად დათმობის მიზეზი შეიძლება სამხედრო ხრიკი ყოფილიყო, ანუ ქართული

გვარდია პერიოდული უკანდახევებით სიღრმეში შეიტყუეს, თვითონ კი ძირითადი ნაწილებით ზურგიდან მოუარეს და გორისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტეს. რასაკვირველია, ეს ვერსია საკმაოდ საეჭვო იყო, მაგრამ ყვირილით გამოქცეული ხალხი და სროლის ხმა სხვა ვერსიას არ აჩენდა.

გიორგი კვინიტაძე ქართული სახალხო გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონთან

კვინიტაძემ სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა, რათა დროულად მომხდარიყო მტრის შეჩერება და ახლო მდებარე სოფელში მყოფ გვარდიელთა საგუშაგოს პოზიციების გამაგრება უბრძანა, თვითონ კი ცხინვალში ჩავიდა. ცხინვალიდან ჯუღელი გვარდიელთა სამხედრო მანქანებით წავიდა მტრის შესაჩერებლად, ხოლო ჯიბო ყანჩელს დაევალა არტილერიით პოზიციების გამაგრება. სატელეფონო საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ გორში სიწყნარე იყო და აჯანყებული ოსები არ გამოჩენილან.

ვითარების საბოლოოდ გარკვევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ეს ცრუ ინ-ფორმაცია იყო და ოსების მიერ ზურგიდან შემოვლა არ ყოფილა. საქმე იმაში იყო, რომ მეჯვრისხევიდან ცხენოსანთა რაზმი გაიგზავნა ტერიტორიის დასაზვერად, ხოლო მათ თავზე ყავისფერი ფაფახები ეხურათ, როგორც ეს ოსებს სჩვევიათ, ამი-ტომ შეშინებულმა მოსახლეობამ ისინი ოსებად მიიღო. მათი ქართულად მოწო-დებაც, რომ შეჩერებულიყვნენ და არ გაქცეულიყვნენ არავის გაკვირვებია, რადგან ოსები ქართულს ჩვეულებრივად ფლობდნენ, ხოლო გასროლა ჰაერში მომხდარა იმ მიზეზით, რომ ხალხი შეეჩერებინათ, რამაც საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ეს ვითარება აღწერილია ჯუღელის და კვინიტაძის მოგონებებშიც.

მართალია, კვინიტაძის ატეხილ ამ განგაშს საკმაოდ დიდი გაუგებრობა და ჯარის ტყუილი გადასროლა მოჰყვა, მაგრამ რეალური საფრთხის შემთხვევაში ასეთ სწრაფ რეაგირებას შეიძლება გადამწყვეტი როლი ეთამაშა მოვლენების მსვ-ლელობაში, ამიტომ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ კვინიტაძის ასეთი რეაქ-ცია ამ ფაქტზე.

13 ივნისს უნდა გაგრძელებულიყო ახალი პოზიციების დაკავება, მხოლოდ ცხინვალის დაბრუნების შემდეგ აჯანყებული ოსები ფარ-ხმალს არ დაყრიდნენ. მარჯვენა კოლონა გაძლიერებული იყო ჯიბო ყანჩელის სამთო ბატარეით. მარც-ხენა კოლონასაც წინ უნდა წაეწია და ქურთა უნდა აეღოთ. მარჯვენა კოლონას სი-ღრმიდან შემოვლა და გუბებისის ხეობაზე გასვლა დაევალა. 13 ივნისის მოქმედე-ბები იყო სამზადისი აჯანყებულებისათვის მთავარი დარტყმის მისაყენებლად, რადგან შემდეგ დღეს დაგეგმილი იყო აჯანყების კერის, ჯავის, აღება. ამინდიც კარგი იყო და ჯარის სწრაფ გადაადგილებას ხელს უწყობდა. პოზიციების წინ წა-წევასთან ერთად იზრდება აჯანყებულთა სახლების დაწვის რიცხვიც, მაგრამ იმი-სათვის, რომ მტერი სამაგალითოდ დასჯილიყო, ეს საუკეთესო საშუალებად მია-ჩნდათ.

მარჯვენა კოლონას გარკვეული სირთულეებიც შეხვდა, აჯანყებულებს მაღლობი ეჭირათ და კარგად იყვნენ გამაგრებულები, მაგრამ გვარდიელთა გამუდმებული შეტევის შემდეგ ოსებს მაინც მოუხდათ პოზიციების დათმობა. ამას თან დაერთო ცივი და წვიმიანი ღამე (В. Джугели 1920).

საკმაოდ რთული და მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა 14 ივნისიც. მარჯვენა კოლონამ განაგრძო წინსვლა. როგორც ვ. ჯუღელი აღნიშნავს, საკმაოდ კარგად მოქმედებდნენ გურული მზვერავები, რომელთა რაოდენობაც მხოლოდ 16 იყო. მათი წყალობით მოხდა კოლონის გუბებისზე გასვლა, რაც საკმაო წინსვლას ნიშნავდა. დაიკავეს ასევე სოფელი ჩიმასი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ჯუღელი და დგებუაძე შემტევ ასეულთან ერთად იმყოფებოდნენ ფრონტის ხაზზე და ამხნევებდნენ ჯარისკაცებს (В. Джугели 1920). მარჯვენა კოლონის ძირითადი ამოცანები წარმატებით იყო შესრულებული, მისი მოქმედების არეალი განთავისუფლებული იყო აჯანყებულთა ბანდებისგან, ხელთ იგდეს კიდევ 2 ტყვიამფრქვევიც. ჯუღელის აღწერით, ოსები „გარბოდნენ ირემზე სწრაფად, გარბოდნენ ისე სწრაფად, როგორც კურდღელი გარბის არწივისგან". შეფასება შეიძლება გადამეტებული იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ოსები არ იყვნენ რეალურად მზად აჯანყებისთვის და აყვნენ რუსი ბოლშევიკების წაქეზებას, ხოლო მათგან რეალური დახმარების არ ქონის გამო უკვე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ. ბანდებს, რა თქმა უნდა, არ გააჩნდათ კარგად მომზადებული სამხედრო სტრატეგია, შესაბამისად, არც უკან დახევა ექნებოდათ გათვალისწინებული, რაც გახდა მათი მწყობრის გარეშე უკან დახევის, ფაქტიურად გაქცევის მიზეზი.



რუკა 6 - 1920 წლის კონფლიქტის მეორე ეტაპი. ქართული ჯარის მოქმედებები

14 ივნისს მთავარი მოვლენები მარცხენა კოლონაზე იყო დამოკიდებული, რომელსაც ნიკოლოზ გედევანიშვილი ხელმძღვანელობდა. გენერალური შტაბის ცნობით, 14 ივნისს ხდება აჯანყებულთა განდევნა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან, რაც მთავარია, ასევე ხდება ჯავის ხეობის დაკავება, რომელსაც ჯუღელი აჯანყებულთა გულს უწოდებს. ქართული გვარდია ჯავის აღებით არ ჩერდება და კვლავ გრძელდება ოსებთან ბრძოლა, რომელთაც როკის უღელტეხილისკენ სდევნიან, ეს უკვე ნიშნავს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვებას აჯანყებულებზე ხელს ვეღარაფერი შეუშლიდა, ყველა ძირითადი და მეორეხარისხოვანი პოზიციებიც დაკავებული იყო, მტერი უკვე ჩრდილო კავკასიაში გარბოდა.

გენერალი კონიაშვილი ჯავაში ყოფნის დროს გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებს: „დღეს ჩვენ დავიკავეთ ხვცე ჩხივის ხაზი. ჩვენი წინსვლა იყო ნელი, რადგან ვესროდით თხემებს და სიმაღლეებს, რომლებიც ბანდას ეჭირათ" (გაზეთი „ერთობა", 1920 № 133).

პოლკოვნიკ ინწკირველის ცნობით, შეტაკებების შემდეგ ოსებში პანიკაა, რადგან აჯანყებულები ძალიან დაზარალდნენ. მათ დაჭრილები და დაღუპულები ცხენებით და ურმებით მიჰყავთ. ისინი ტოვებდნენ პოზიციებს და ძლიერი სროლით იხევდნენ უკან, თუმცა ქართველთა მხრიდან ამას ზარალი არ მოჰყოლია (გაზეთი „ერთობა", 1920 № 133).

15 ივნისს მარჯვენა კოლონაც შეუერთდა ჯავას. ჯუღელის თქმით, ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ამ დღესვე მოწვეულ იქნა იქ არსებული სამხედრო ნაწილების მეთაურები, შტაბის წევრები და გვარდიელების წარმომადგენლები, რადგან მიზანი მიღწეული იყო და აჯანყებულებისგან განთავისუფლდა საქართველოს ეს ტერიტორია, უკვე ზედმეტი იყო ხანძრების მოწყობა, ეს უკვე ქართველთა ზარალი იქნებოდა და აღარანაირ შედეგს აღარ მოიტანდა გარდა პრობლემებისა. ამიტომ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ დაეცვათ მკაცრი დისციპლინა და კონტროლზე აეყვანათ გვარდიელები, აღარ უნდა მომხდარიყო აღარც ერთი სახლის დაწვა და მარადიორობების ფაქტებიც უნდა აღკვეთილიყო. საბრძოლო ოპერაციები დასასრულს უახლოვდებოდა და საქართველოსთვის ყველაფერი წარმატებით სრულდებოდა.

თავის მოგონებებში ჯუღელი წერს, რომ როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება შეეწყვიტათ ხანძრები მას გულზე მოეშვა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მომხრე იყო აჯანყებულები სამაგალითოდ დაესაჯათ, ეს მას სიამოვნებას არ ანიჭებდა და მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე მოქმედებდა ასე (В. Джугели 1920).

გენერალური შტაბის 16 ივნისის ინფორმაციით როკის მიმართულებით სამხედრო მოქმედებები კვლავ გრძელდება, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია დარჩენილი აჯანყებულებისგან ტერიტორიის გაწმენდით. საჭირო იყო, საბოლოოდ მოეღოთ ბოლო აჯანყებისათვის, რათა ოპერაცია წარმატებით დასრულებულიყო. ამ დავალებას გვარდიელები წარმატებით ართმევდნენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ კვინიტაძე მათ უდისციპლინოებად აფასებს.

დარჩენილი აჯანყებულებისგან ტერიტორიის გაწმენდა დროს მოითხოვდა, ისინი გარბოდნენ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიის დატოვებას არ ჩქარობდნენ. გორიდან ცხინვალისკენ წინსვლა და მისი აღება ერთ დღეში მოხერხდა, თუმცა როკის მხარეში დარჩენილი წვრილი ნაწილების დაშოშმინება ცოტა მეტ დროს მოითხოვდა. 18 ივნისსაც აქ სამხედრო მოქმედებები გრძელდებოდა და მიმდინარეობდა სოფლების დაკავება. იმავე დღეს გვარდიელებმა დაიკავეს სოფელი კოშკი და სოფელი წარითი და განაგრძეს მტრის დევნა, რომელმაც მდინარე ლიახვზე მდებარე ხიდი დააზიანა, რათა მდევრებისთვის შეეშალა ხელი (გაზეთი „ერთობა", 1920 № 136, №137).

20 ივნისს აღებულ იქნა სოფელი როკი და გვარდიელებმა ხელთ იგდეს 2 ტყვიამფრქვევი. ამ დღესვე დაკავებულ იქნა სოფელი ჩასავალი. საჭიროებას მოითხოვდა ასევე ოპერაციის ჩატარება ონის მიმართულებით, რადგან, როდესაც ოსებმა აჯანყება დაიწყეს და როკის უღელტეხილი დაიკავეს, მაშინ მათ ონის მიმართულებითაც დაიწყეს შეტევების მიტანა. ონის რაზმები შეტევას უძლებდნენ, მაგრამ დამხმარე ჯარსაც ითხოვდნენ, ისინი საბოლოოდ მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ აჯანყებულებს. მათი მოთხოვნის მიუხედავად, კვინიტაძეს იქ დამხმარე ჯარი თავიდანვე არ გაუგზავნია და მხოლოდ როკის მიმართულების აღების შემდეგ გადაწყდა ონთან სამხედრო ოპერაციის ჩატარება.

კვინიტაძე თავის გადაწყვეტილებას ასე ხსნის: „შეუძლებელია ყველგან

ძლიერი იყო, თუ ამას ცდილობ, აუცილებლად საპირისპირო შედეგს ღებულობ: ყველგან სუსტი იქნები” (გ. კვინიტაძე 1998: 240). ეს იმას ნიშნავს, რომ კვინიტაძის განკარგულების ქვეშ მყოფ გვარდიელთა რაოდენობა არც ისე მრავალრიცხოვანი იყო, რომ ფრონტის ყველა ხაზი გაემაგრებინა. გადაწყდა ჯერ მთავარი ობიექტების დაკავება, რაც ონის მიმართულებით მყოფ ოსებსაც შეასუსტებდა, რადგან მათ ცენტრიდან დახმარების იმედი მოეხსნებოდათ და ფსიქოლოგიურ წნეხშიც მოექცეოდნენ.

20 ივნისს ონის მიმართულებით გაიგზავნა არტილერია და ერთი ბატალიონი პოლკოვნიკ ინწკირველის ხელმძღვანელობით. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებითაც აღმოფხვრილიყო პრობლემა.

საბოლოოდ 20 ივნიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღე გადაიტანა ქართულმა გვარდიამ და ონის მიმართულებით არსებული საფრთხეც მოისპო (გაზეთი „ერთობა”, 1920 № 138).

შემდეგი ნაბიჯი უკვე როკის უღელტეხილის დაკავება იყო. ეს ქმედება მკვეთრად გაამყარებდა საქართველოს პოზიციებს ჩრდილოეთის საზღვარზე. 21 ივნისს გადაიდგა ეს ნაბიჯიც, სამხედრო მოქმედებების შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიამ დაიკავა როკის უღელტეხილი, ხოლო ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდო ერთი ტყვიამფრქვევი (გაზეთი „ერთობა”, 1920 № 139).

ჯუღელის მოგონებებში შემონახულია სოფელ როკის აღწერა: „დიდი, ჭუჭყიანი მთის სოფელი. ჩვენი ბოლო სოფელი ჩრდილოეთით! ყველა სახლს აქვს მაღალი, ძველი კოშკი, მაგრამ მან ვერავინ ვერ დაიცვა” (В. Джугели 1920: 237).

სოფელი როკიც და მიმდებარე სოფლებიც ოსებისგან დაცარიელდა, იქ მყოფი მოსახლეობა ან ტყეში გაიხიზნა, ან გაიქცა მთებში. სოფელი როკი ბრძოლით

იქნა აღებული, რადგან იქ ოსური ბანდები იყვნენ გამაგრებულნი, სწორედ ამიტომ სოფელში ყოფნას მოსახლეობა ერიდებოდა.

21 ივნისს გენშტაბი ახალ ცნობას ავრცელებს, რომ როკის უღელტეხილის დაკავების შემდეგ ყველა სოფელი გაიწმინდა ბანდებისაგან და საქართველოს ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა მოქმედებებისგან (გაზეთი „ საქართველოს რესპუბლიკა", 1920 № 138).

პოზიციების გამყარების მიზნით 22 ივნისს ხდება როკისა და მიმდებარე უღელტეხილების დაკავება და გამაგრება (გაზეთი „ერთობა", 1920 № 140), ამით გაქცეულ ბანდებს გზა მოეჭრათ უკან დასაბრუნებლად, გარკვეული პერიოდით მაინც.

ფაქტობრივად, ამით დამთავრდა მთლიანი ოპერაცია, რომელიც აჯანყებულთაგან შიდა ქართლის ამ ტერიტორიის განთავისუფლებას ისთვალისწინებდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უსისხლო ომი დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში, მოკლული გვარდიელების რაოდენობა სულ რამდენიმე იყო, დაჭრილებისა კი - ოცამდე. იმავე პერიოდში ბოლშევიკურ აზრბაიჯანთან შეტაკებებში 50-მდე ადამიანი დაიღუპა, 250-მდე კი დაიჭრა (В. Джугели 1920). ასე წარმატებით ჩატარებული ოპერაცია სტიმულსაც მისცემდა გვარდიელებს მომავალი ბრძოლებისთვის. ოსებმაც მწარე გაკვეთილი მიიღეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს, როდესაც მსგავს ავანტიურას წამოიწყებ, რომლის განხორციელების არც რეალური მიზეზი და არც საშუალება არ არსებობს, როდესაც სხვა ქვეყნის მიზნებს ეწირება შენი ხალხი და შედეგად მხოლოდ დამარცხებული რჩები, მათგან კი არანაირი დახმარება არ ჩანს.

ქართული პრესისი მასალებით, შესაძლებლობა მოგვეცა აღგვედგინა სამხედრო მოვლენების ყოველდღიური მსვლელობა და სამხედრო შენაერთების ძალ-

თა ბალანსის დადგენა. ასევე გამოიკვეთა გიორგი კვინიტაძის, როგორც სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელის როლი, განსხვავებით იმ დამკვიდრებული მოსაზრებისგან, თითქოს ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა აჯანყების ჩახშობას. იმ შემთხვევაში, როდესაც კვინიტაძე საბრძოლო ფრონტზე არ იმყოფებოდა, ხელმძღვანელობა გენერალ კონიაშვილს ებარა, აქედან გამომდინარე ჯუღელს საერთო ხელმძღვანელის ფუნქცია არ დაკისრებია, თუმცა აქტიურად ხელმძღვანელობდა მარჯვენა კოლონას და იღებდა მონაწილეობას სამხედრო კრებებში.

აჯანყების მოვლენებს შეფასებები ეძლეოდა ქართულ პრესაში, ხდებოდა ვითარების მიმოხილვა და აჯანყების დაწყების მიზეზების ანალიზი, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, მიეღო დაწვრილებითი ინფორმაცია ამ მოვლენებზე. სტატიების ხასიათში იგრძნობა, რომ ოსების მხრიდან აჯანყებებით უკვე მობეზრებულნი იყვნენ და კრიტიკას ცოტა მკაცრი ტონი ახლავს. ერთ-ერთი ასეთი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ერთობის" 1920 წლის №129-ში, სადაც აღნიშნული იყო, რომ ოსებისთვის უკვე დამახასიათებელი იყო გამოსვლები საქართველოსთვის მძიმე პერიოდში. მიზეზად რუსეთში არსებული ბოლშევიზმი სახელდებოდა. სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ ამ მღელვარებებს რუსების ავანტიურისტული ქმედებები იწვევდა. მსგავსი შეხედულების არსებობა ხელს უწყობდა, რომ კონფლიქტი არ ჩამოყალიბებულიყო ქართველებსა და ოსებს შორის, ანუ კონფლიქტს არ მიეღო ეთნიკური დაპირისპირების ხასიათი და შეფასებულიყო რეალურად, ანუ აჯანყებად, რომელიც ინსპირირებული იყო რუსეთის ავანტიურის შედეგად და მონაწილეობდა საქართველოში მცხოვრები ოსების მხოლოდ ნაწილი. აქ, რა თქმა უნდა, არ ივიწყებდნენ რუსეთის ტერიტორიიდან აჯანყებულთათვის დამხმარე ბანდების გადმოსვლასაც და ამით 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების მეექვსე მუხლის დარღვევას.

მოვიყვანთ ციტატას ამ სტატიიდან, რომელიც აჯანყების კარგ შეფასებას წა-

რმოადგენს: „თავისთავად ოსეთის უგუნური გამოსვლა ბოლოს და ბოლოს თვით ჯავის ხეობის გაბრიყვებულ მცხოვრებთ მოუტანს ზარალს. მუხანათს და ორგულს მიეზღვის ის რაც დაიმსახურა.

მაგრამ დაუსჯელი დარჩებიან ის პირდაპირი მომტყუებელნი, შემაცდენელნი, რომელნიც ამ ხალხს ცეცხლში ჩააგდებს, თვითონ კი საზღვარს გადაირბენენ და საბჭოთა რუსეთის თვალუწვდენელ ზღვაში გადაიკარგებიან" (გაზეთი „ერთობა", 1920 №129).

ეს შეფასება ზუსტად ასახავდა განვითარებულ მოვლენებს, რუსეთის ბოლშევიკებმა წამოიწყეს აჯანყება და შემდეგ ბედის ანაბარა მიატოვეს ისინი, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში გარბოდნენ აჯანყების ხელმძღვანელებიც, როდესაც საქმე ცუდად მიდიოდა. თავად აჯანყებულებმა კი მწარე მაგალითი მიიღეს თუ რა შეიძლება მოჰყვეს მსგავს გამოსვლებს.

საყურადღებოა ასევე გაზეთ „ერთობის" 130-ე ნომერი, სადაც იმ მდგომარეობაზეა საუბარი, როგორც ოსები ცხოვრობნენ საქართველოში. ხაზგასმა ხდება იმაზე, რომ ოსებს ორი წლის განმავლობაში არც ერთი ჯარისკაცი არ გამოუყვანიათ შეიარაღებული დაპირისპირებების დროს საქართველოს სასარგებლოდ[7] და არც გადასახადები გადაუხდიათ. აქ საუბარია იმ მოქალაქეობრივი უფლებების შეხსენებაზე, რომელიც ყველა მოქალაქეს უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს წინაშე, საუბარია იმ პრივილეგიებზე, რომლებიც ოსებს გააჩნდათ და მიუხედავად ამისა ისინი მაინც ადვილად წამოეგნენ ამ ავანტიურას, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული და არა ოსების თვითგამორკვევისკენ. ამიტომ „დღეს რესპუბლიკამ უნდა თქვას - კმარა! და მთელი თავისი სიძლიერით უნდა შეაგნებინოს თავაშვებულ ბრბოებს, თუ რას ნიშნავს რესპუბლიკური წესრიგის დაცვა და მოქა-

[7] აქ არ არის საუბარი იმ ოსებზე, რომლებიც თავისი ნებით მიდიოდნენ ქართულ არმიაში, ან სწავლობდნენ კადეტთა სასწავლებელში სამხედრო კარიერის გასაგრძელებლად.

ლაქის ელემენტარული მოვალეობის ასრულების საჭიროება... ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამეთ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალაგმავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავათ, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად" (გაზეთი „ერთობა", 1920 №130).

ამ სტატიების უფრო ღრმად განხილვას აღარ გავაგრძლებეთ, რადგან საერთო მიმართულება სახეზეა: ეს არის ოსების როგორც მოქალაქეების მოვალეობის შეუსრულებლობა სახელმწიფოს წინაშე და გამოსვლა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ორი წელი იცავს მათ ყოველგვარი ფულადი თუ სამხედრო გადასახადების გადახდის გარეშე.

ქართულ პრესაში ასევე ხდებოდა კომუნისტური პრესის განხილვაც და ციტატების მოყვანაც, რაც მოწინააღმდეგის მოსაზრებებს უკეთ წარმოაჩენდა. სხვათაშორის ერთ-ერთ ასეთ ციტატაში გაზეთ „სალდატ რევოლუციის" 4 ივნისის ნომრიდან აღიარებულია, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში მოხდა დამხმარე ძალების გადმოსვლა, რომელიც სტატიაში განმანთავისუფლებელ ტალღადაა შეფასებული (გაზეთი „ერთობა", 1920 №135). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ რუსეთის მხრიდან დახმარების ბრალდება საქართველოს არ გამოუგონია და რეალურად ხდებოდა შეიარაღებული ბანდების გადმოსვლა მაშინ, როდესაც სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით რუსეთი მეგობარ სახელმწიფოდ ევლინებოდა საქართველოს.

საინტერესოა კიდევ ერთი ციტატა, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" 57-ე ნომრიდანაა მოყვანილი. აქ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბოლოო მიზანი კავკასიის საბჭოთა კავკასიად ქცევაა, ამით უკვე ყველაფერი ცხადი ხდება, რომ ის ბანდები რომლებიც რუსეთიდან გადმოდიოდნენ, ის ფული, რომელიც რუსეთის ბო-

ლშევიკებისგან იგზავნებოდა აჯანყების დასახმარებლად და ის პოლიტიკური მფარველობა, რომელსაც რუსეთი ეწეოდა აჯანყებულთა მიმართ, იყო არა ოსების თვითგამორკვევისთვის ხელშეწყობა, არამედ წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯი კავკასიაში საბჭოთა რეჟიმის დასამყარებლად, ანუ კავკასიის რუსეთთან შესაერთებლად.

რუსეთი ამ გავლენის მოხდენას ახერხებდა საქართველოში მცხოვრები ოსების გარკვეულ ნაწილზე, რომლთა მიმართაც შემდეგ საქართველომ გამოიყენა სამხედრო შენაერთები. არსებობდა ოსების სხვა ნაწილიც, რომლებიც ამ ავანტიურაში არ ერეოდა და ჩვეულებრივად განაგრძობდა საქართველოში ცხოვრებას. სწორედ მათი წერილი გამოქვეყნდა ქართულ პრესაში აჯანყების დასრულების შემდეგ: „გორის მაზრის, ხაშურის რაიონის, ცემის საზოგადოების მთავრობას შემდეგი განუცხადეს: ჩვენ ზემო აღნიშნული რაიონების მცხოვრებნი ვაცხადებთ, რომ არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს და არც გვქონია მთის ოსეთის აჯანყებასთან, პირიქით, გადაჭრით ვკიცხავთ მათ და ამ აჯანყებას დამღუპველად ვსთვლიდით ოსებისათვის (გაზეთი „ერთობა", 1920 №150).

სტატიაში ასევე არის საუბარი იმაზე, რომ აჯანყების დაწყებისას იყო მცდელობა მათი გადაბირებისაც, რისთვისაც აჯანყებულებმა თავიანთი აგიტატორები გაგზავნეს აღნიშნულ რაიოენბში, მაგრამ ოსების ეს ნაწილი არ აჰყვა მათ და ჩვეულებრი ცხოვრება განაგრძო საქართველოში. სტატიიდან ირკვევა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, როდესაც მათ უარი უთხრეს აჯანყებულებს დახმარებაზე, როგორც ჩანს, განაწყენებულებმა გაძარცვეს ისინი და ისე წავიდნენ, სწორედ ამიტომ ისინი მთავრობას სთხოვდნენ დახმარებას.

ასეთი იყო აჯანყებულთა მოქმედების ტაქტიკა, ძაცვავდნენ და არბევდნენ ოსებსაც კი, თუ ისინი არ აჯანყდებოდნენ, ანუ აჯანყებისკენ მოწოდება ძალადობის და დაშინების გზით ხდებოდა.

ჯარის მეთაურობის საკითხი ვრცლად

საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიურ მოდელებზე ბევრი დაწერილა ქართულ სამეცნიერო სივრცეში და მის ფარგლებს გარეთაც და მათი ანალიზიც საკმაოდ საინტერესოა. იდეოლოგიური მოდელები თუ მექანიზმები ბუნებრივია მრავალფეროვანია, დაწყებული პოლიტიკური აქტიურობით, დამთავრებული კარგად ნაცნობი საბჭოთა რეპრესიებით. ამ ყველაფერს ცხადია ერთი მიზანი ამოძრავებდა, მმართველი ძალის იდეოლოგიის გავრცელება და თავზე მოხვევა. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო მექანიზმია სამეცნიერო სივრცის კონტროლი და მისი ასე ვთქვათ გამოყენებით სასურველი ინფორმაციის გავრცელება და ერთგვარი ალტერნატიული რეალობის თუ მათთვის სასურველი ისტორიის შექმნა. სწორედ ამ მიზნანს ემსახურებოდა ბუნებრივია არქივებზე წვდომის შეზღუდვა, რაც კვლევის ჩარჩოებში მოქცევას იწვევდა და ობიექტურ მკლვევარსაც კი მასალების არ არსებობის გამო შესაძლოა რეალობისგან სრულიად განსხვავებული სურათი მიეღო. მოცემული სტატიაც სწორედ ერთ-ერთი ასეთი მაგალითის განხილვას ისახავს მიზნად, კერძოდ კი იმ მაგალითის განხილვას, როგორ ხდებოდა ისტორიოგრაფიის გამოყენება, საბჭოთა პოლიტიკისათვის სასურველი ისტორიის შესაქმნელად. კვლევისათვის აღებულ იქნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთი მონაკვეთი, რომელიც კარგად გვიჩვენებს, როგორ მოაღწია საბჭოთა პოლიტიკის ზეგავლენით შექმნილმა ინფორმაციამ დღევანდელობამდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის შესწავლა საბჭოთა კავშირის პერიოდში თავისუფლად ვერ მიმდინარეობდა, რაც მეტად თვალსაჩინოა ყველა იმ მკვლევრისათვის ვინც აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ საკითხის კვლევა ან აკრძალული იყო, ან ბოლშევიკური პროპაგანდის ელფერი გასდევდა და მხოლოდ მისი გაკრიტიკებით შემო-

იფარგლებოდა. ეს სიტუაცია რა თქმა უნდა აფერხებდა სამეცნიერო კვლევების წარმოებას 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გამო, ჩვენი კვლევისათვის საინტერესო საკითხიც რთულად საკვლევ თემატიკაში შედიოდა, ვინაიდან ქართულ-ოსური კონფლიქტის საფუძვლები სწორედ 1918-1921 წლებში ჩაისახა. 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყება ყველაზე გამორჩეული იყო თავისი მასშტაბურობით და მოთხოვნების თვალსაზრისით, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიიდან შიდა ქართლის ნაწილის, ცხინვალის რეგიონის (დღეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) გამოყოფას და რუსეთისათვის შეერთებას.

საქართველოს ტერიტრიული მთლიანობის საკითხი, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე საკმაოდ აქტუალურია. ამიტომ საინტერესოა ამ კონფლიქტის საწყისი პერიოდის განხილვა. ჩვენი კვლევის საგან კი შეადგენს 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის დროს ქართული სამხედრო შენაერთების მეთაურის ვინაობის დადგენა.

ერთი შეხედვით ეს არც ისე რთული უნდა ყოფილიყო და ყველაფერს ნათელი აქამდეც უნდა მოჰფენოდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ მეცნიერებას საშუალება მიეცა 1918-1921 წლების თემატიკა თავისუფლად ეკვლია. თუმცა ქართული ჯარის მეთაურობის საკითხის საბჭოთა კავშირის დროს მაშინდელი პოლიტიკით იმართებოდა და როგორც ჩანს ოსი მოსახლეობისათვის მტრის შესაქმნელად იმ ადამიანის სახელს გამოიყენებდნენ, რომელმაც ოსები ბოლშევიკების მიერ მანმადე არსებული აჯანყებების ჩახშობას უმეთაურა. სავარაუდოდ ამიტომ 1920 წლის აჯანყების ჩახშობაც ამავე პიროვნებას, ანუ სახალხო გვარდიის გენერალს, ვალიკო ჯუღელს მიეწერა.

საბჭოთა კავშირის დროს არსებულ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც ჩვენ-

თვის საინტერესო თემატიკას ეხებოდა, საკმაოდ უარყოფითად იყო წარმოჩენილი ვალიკო ჯუღელის პიროვნება და სწორედ მას მიეწერებოდა პასუხისმგებლობა ყველა იმ სიმკაცრეზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1920 წლის ოსი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისას.

მართლაც და საინტერესოა თუ ვინ იყო ის ადამიანი, რომლის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენდა აღნიშნული აჯანყების ჩახშობა და რეალურად საქართველოს ბედის წარმართვაც, ვინაიდან ამ დაპირისპირებებმა მნიშვნელოვან კვალი დატოვა საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორიაში.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვალიკო ჯუღელის გვერდით კიდევ ერთი გენერლის სახელი გამოჩნდა, თუმცა ისიც შეცდომით. საუბარი გვაქვს გენერალ Gიორგი მაზნიაშვილზე, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ იყო ასახული ქართული ჯარის მეთაურის ვინაობა, ანუ იმის ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობას 1920 წელს, არც თუ ისე მცირე რაოდენობის ნაშრომიდან შეიძლება მოვახდინოთ ციტირება. იმისათვის, რომ ჩვენი ნაშრომი ციტირებებით არ გადაიტვირთოს, საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ, რომლებიც კარგად გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღევანდელობამდე ჩვენთვის საინტერესო საკითხის ასახვას.

ერთ-ერთ ასეთ ნაშრომს წარმოადგენს 1969 წელს გ. თოგოშვილის მერ გამოცემული მონოგრაფია სახელწოდებით: `ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა~. მასში გაკრიტიკებული ქართული ჯარის მოქმედება და გენერალი ვალიკო ჯუღელი `არქიბანდიტად~ არის მოხსენიებული (თოგოშვილი 1969: 123). ანუ ის სწორე დიმ ნორმებში ჯდება, რომელსაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ატარებდა და ვალიკო ჯუღელისგან მტრის ხატის შექმნით ცდილობდა 1918-1921 წწ. სა-

ქართველო ხალხის მჩაგვრელ სახელმწიფოდ წარმოედგინა.

მსგავს პათოსს იზიარებს 1972 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეექვსე ტომიც, სადაც ქართული სამხედრო შენაერთების მოქმედება ოსი ხალხის მიმართ გადადგმულ აგრესიულ ნაბიჯად აღიქმება: "მენშევიკების სამხედრო ძალებმა, რომლებიც ორი ცხენოსანი პოლკის, ქვეითი ბატალიონისა, ორი სამთო ბატარეისა და გვარდიელთა რაზმებისადან შედგებოდა, ვ. ჯუღელის მეთაურობით 9 ივნისს დაიწყეს ცხინვალზე შეტევა. ეს იყო მთელი საშინაო ოსეთის აწიოკება" (სურგულაძე 1972: 680). აქაც აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელი არის მოხსენიებული.

შემდეგი წლების განმავლობაშიც გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელი მოიხსენიება. ეს გრძელდება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც. თუმცა 90-იანი წლების შემდეგ გამოქვეყნებულ სამეცნიერო მონოგრაფიებსა თუ სტატიებში უკვე ხდება რადიკალური გადახვევა თვითონ მოვლენების შეფასების კუთხით. ამ პერიოდიდან უკვე საბჭოთა პოლიტიკის კონტროლი გაქრა და შესაბამისად შეფასებებიც უკვე მეცნიერის საკუთარი მოსაზრებების და მიხედვით შესაძლებელი გახდა დაწერილიყო. სწორედ ამიტომ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემულ სამეცნიერო პუბლიკაციებში აჯანყება შეფასებულია არა უკვე როგორც ოსი ხალხის თვითგამორვევის მცდელობად და სამართლიან მოთხოვნად ტერიტორიული გამოყოფისა, არამედ როგორც ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებად, რომელიც რუსების მიერ იყო ინსპირირებული.

ახლა რაც შეეხება ზემოთ ნათქვამ კიდევ ერთ პიროვნებას, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს. მისი ვინაობის მიბმა 1920 წლის აჯანყებასთან გვხვდება დოდო ჭუმბურიძის ნაშრომში „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლებში)". ნაშრომში აღნიშნულია: „„ოსე-

თის აჯანყება” სასტიკად ჩაახშეს გიორგი მაზნიაშვილმა და ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით ქართული გვარდიის ნაწილებმა” (ჭუმბურიძე 2003: 324).

2012 წელს გამოქვეყნდა სულხან ალექსიას მონოგრაფია „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია”, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი მისი სადოქტორო დისერტაცია „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქ-ტები და მათი დარეგულირების პრობლემები”. ორი ნაშრომში 1920 წლის ოსი ბო-ლშევიკების აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელია მოხსენიე-ბული: „აღნიშნული აჯანყება 1920 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ ჩააქ-რო. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელი” (ალექსია 2012: 153; ალექ-სია 2013: 77).

2014 წელს კი გამოიცა მორიგი ნაშრომი რომელიც საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებს ეხება. საუბარუა ბორის კვარაცხელიას ნაშრომზე: `რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, `სა-მხრეთ ოსეთი~) და საერთაშორისო თანამეგობრობა~. მასშიც გიორგი მაზნიაშვი-ლი და ვილიკო ჯუღელი ქართული სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელებად არიან მოხსენიებულნი: ` ოსეთში დაწყებული აჯანყების ჩასახშობად გაიგზავნა საქართველოს შეიარაღებული ნაწილები გიორგი მაზნიაშვილისა და ვალიკო ჯუ-ღელის მეთაურობით” (კვარაცხელია 2014: 77).

მოდით ჯერ განვიხილოთ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საკითხი. მისი დაკავშირება 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყებასთან უცნაურია, რადგან მას შეხება არ ჰქონია არც ამ და არც წინაბორბედ აჯანყებებთან, რომლის ორგანიზა-ტორებიც ოსი ბოლშევიკები იყვნენ. 1919 წელს გიორგი მაზნიაშვილი ინიშნება ახალციხე-ახალქალაქის გენერალ გუბერნატორად, ხოლო 1920 წლის ოქტომბრი-დან გადადის თბილისის გარნიზონის უფროსად. შესაბამისად 1920 წლის ივნის-ში განვითარებულ სამხედრო მოვლენებში მას მონაწილეობა არ მიუღია.

რაც შეეხება ვალიკო ჯუღელის საკითხს. ნაშრომების უმეტესობაში იგი მოხსენიებულია აყანჯების ჩახშობის მეთაურად, ხოლო რგორც ზემოთ მოყვანილი ციტატა გვიჩვენებს, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში, სწორედ მას მიეწერება ცხინვალზე იერიშის მიტანაც. მოდით მივყვეთ მოვლენებს და წყაროებს.

1920 წლის ქართულ-ოსური დაპირისპირების საკვევად გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო. ერთი ესაა საარქივო მასალა (ქართული და რუსული), მეორე ეს არის აღნიშნული მოვლენების უშუალო ხელმძღვანელთა მოგონებები (საუბარია გიორგი კვინიტაძისა და ვალიკო ჯუღელის მოგონებებზე), გვაქვს ასევე მოვლენების თანადროული პრესაც, რომელიც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა და საინტერესო ისფორმაციის მიღება შეიძლება მისგან.

რაც შეეხება ვალიკო ჯუღელის მოგონებებს, ის თავადვე ამბობს, რომ მას ებარა მხოლოდ მარჯვენა ფლანგის ხელმძღვანელობა. მასთან ერთად კი ამ ფლანგს დგებუაძე და კარგარეთელი ხელმძღვანელობდნენ (ჯუღელი 1920: 229). ხოლო ცხინვალის აღება კი მოხდა არა მარჯვენა ფლანგის მიერ, რომელსაც ჯუღელი ხელმძღვანელობდა, არამედ ცენტრალური ფლანგის მიერ (ჯუღელი 1920: 229). შესაბამისად, მხოლოდ ჯუღელის მოგონებებიც რომ ავიღოთ, უკვე კარგად ჩანს რომ ხელმძღვანელი ის არ ყოფილა და არც მას მოუხდენია შეტევა ცხინვალზე. იგივე ინფორმაციას გვაწვდის გიორგი კვინიტაძეც, რომელიც რეალურად იყო ქართული სამხედრო შენაერთების მიერ ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელი და ეს კარგად ჩანს მის მემუარებში, როდესაც ის ჯარის ხელმძღვანელობის საკითხის გადანაწილებაზე და სტრატეგიის დაგეგმვაზე საუბრობს (კვინიტაძე 1998: 233).

კვინიტაძისა და ჯუღელის მოგონებები რომ შევაჯერთ, ასევე გენშტაბის ოფიციალური ცნობებიც გავითვალისწინოთ, სამხედრო მართველობის გადანაწილება 1920 წლის ოსი ბოლშევიკების ჩახშობის დროს, ქართული მხრიდან ასეთი

გამოდის: რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი, მთლიან ოპერაციას კი თვითონ კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. იქნებოდა მარჯვენა და მარცხენა კოლონა და ასევე ცენტრალური შემტევი ძალა, რომელიც ასევე ორ კოლონად, ცენტრალურ მარჯვენა და ცენტრალურ მარცხენა კოლონად დაიყოფოდა. ცენტრალურ კოლონებს ცხინვალის აღება ჰქონდათ დავალებული. მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელებად ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე დაინიშნენ, ცენტრალურ მარჯვენა კოლონას გენერალი კონიაშვილი უხელმძღანელებდა, მარცხენა კოლონას პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი, ხოლო ცენტრალურ მარცხენას, რომელსაც ყველაზე სუსტად აღიარებდა კვინიტაძე და მის ფუნქციად მხოლოდ მარცხენა კოლონასთან დაკავშირება მიაჩნდა, თავად კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. მარცხენა კოლონას ასევე მიმაგრებული იყო გვარდიის შტაბისა და დამფუძნებელი სათათბიროს წევრი ზაქარია გურული.

როდესაც ქართულმა სამხედრო ნაწილებმა ცხინვალი აიღეს, ამის შემდეგ ჯარის ხელმძღვანელად გენერალი კონიაშვილი დატოვა გიორგი კვინიტაძემ, თვითონ კი თბილისში დაბრუნდა. ამის შემდეგ უკვე კონიაშვილი ატყობინებდა გვარდიის მთავარ შტაბს, მოვლენების განვიტარების შესახებ (ერთობა 1920: № 133). შესაბამისად, ჯუღელი არც კვინიტაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ გამხდარა საბრძოლო ოპერაციის ხელმძღვანელი. რა თქმა უნდა მისი როლი აღნიშნულ სამხედრო მოქმედებებში დიდი იყო და სამხედრო შტაბის სხომებზეც მას მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმოდა, თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოს ბოლშევიკებთან შეტაკებებში მხოლოდ სახალხო გვარდიის შენაერთები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მთავარი ხელმძღვანელი არ ყოფილა, როგორც ის სამეცნიერო ნაშრომებშია მოხსენიებული.

ძირითადი სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ, როდესაც ქართულმა მხარემ აჯანყება ჩაახშო და სტრატეგიული ადგილები დაიკავა, ზედმეტი

გართულებების თავიდან ასაცილებლად იქ მაინც იყო მცირე რაოდენობით ჯარი, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფდა. ამ სამხედრო შენარეთებს კი, როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, კარლო ინასარიძის პირად არქივში დაცული ცნობა იტყობინება პოლკოვნიკი ინწკირველი ხელმძღვანელობდა (ხეც, კ. ინასარიძის ფონდი). შესაბამისად არც აჯანყების ჩახშობის შემდეგ დარჩენილა ვალიკო ჯუღელი ადგილზე ხელმძღვანელად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ქართულ სამხედრო შენაერთებს ხელმძღვანელობდა გენერალი გიორგი კვინიტაძე და არა ვალიკო ჯუღელი, როგორც ეს აქამდე იყო დამკვიდრებული ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციებში. გენერალ ვალიკო ჯუღელს, კი თავისი მნიშვნელოვანი როლი ეკავა 1920 წლის სამხედრო მოვლენების დროს, ოღონდ როგორც მარჯვენა ფლანგის ხელმძღვანელს.

მიზანი საბჭოთა მმართველობის მიერ მსგავსი ინფორმაციის შექმნის და აჯანყების წინააღმდეგ მიმართული ქართული ჯარების ხელმღვანელად ვალიკო ჯუღელის გამოცხადების, სავარაუდოდ იყო ის, რომ მისი ფიგურის წინ წამოწევა და მჩაგვრელად გამოყანა შემდეგ უკვე გაუადვილებდა ამ ყველაფრის გაიგივებას ქართული სახელმწიფოს, უფრო სწორედ კი მისი მმართვალი ძალის, ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიეს პოლიტიკასთან. ეს ყველაფერი კი რა თქმა უნდა საბჭოთა პოლიტიკური იდეოლოგიის ხელშემწყობი იქნებოდა და გაამარტივედა ხალხის თვალში ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიეს ხალხის მჩაგვრელად გამოყვანას. შაბოლოო ჯამში ამ ინფორმაციის გავრცელებამ ისე მოიკიდა ფეხი (ამას ცხადია მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს არქივებზე წვდომის შეზღუდვა), რომ ინერციით ფაქტიურად დღევანდელობამდე მოაღწია და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ჰპოვა ასახვა.

§6.4. ანტისამთავრობო გამოსვლების შედეგები

ახლა საჭიროა განვიხილოთ ისიც, თუ რას გეგმავდა საქართველოს სახელმწიფო შიდა ქართლის ამ ტერიტორიაზე აჯანყების ჩახშობის შემდეგ. საჭირო იყო გეგმის შედგენა, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო ეს მხარე. ამისთვის მიდიოდა განხილვები, როგორც სამხედრო სამინისტროში, ისევე მთავრობაში. სამხედრო სამინისტროში მოეწყო განხილვა, სადაც მოუსმინეს ვალიკო ჯუღელს, რომელმაც განვითარებულ მოვლენებზე ჩააბარა ანგარიში. ამის მიხედვით სამინისტროში დაადგინეს:

„ა. სოფელი როკი სრულიად მოისპოს, გარდა სანაპირო ჯარების ბინებისა.

ბ. ოსეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ყველა გადასასვლელი გზები, გარდა მამისონისა, იქნეს აფეთქებით საბოლოოდ გაფუჭებული.

გ. აყრილ და ჩრდილოეთ კავკასიაში წასულ ოსებს არ მიეცეს უკან დაბრუნების ნება. იმ ოჯახებს, რომლებმაც გამოიჩინეს ჩვენი ლოიალობა, ნება მიეცეს დარჩნენ თავიანთ სოფლებში, ხოლო საეჭვო პირებს, მთავრობის განკარგულებით, მიეცეს საშუალება რესპუბლიკის სხვა რაიონებში გადასახლების.

დ. სრულებით გადასახლებულნი იქნან ჯავის მიდამოების ოსები (ლიახვისა და ფაცის ხეობები) და მათ მაგიერ ეს ადგილები მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების განკარგულებით, დასახლებულ იქნას ქართველებით.

ე. არ დაუბრუნდეთ ოსებს ჩამორთმეული პირუტყვი.

ვ. ყოველგვარი ზარალი, რომელიც მიადგა სამხედრო მოქმედებებით ჩვენს მომხრე ოსებს, ანაზღაურდეს რესპუბლიკის ხაზინიდან.

ზ. ლტოლვილ ოსებს, რომლებიც ამჟამად ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფებიან, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მიეცეს დახმარება და ისინი ჩასახლებულნი იქნან რესპუბლიკის სხვა ტერიტორიაზე" (დ. ჭუმბურიძე 2003: 324-325).

ამ გადაწყვეტილების სრული ვერსიის ციტირება საჭიროდ მივიჩნიეთ იმის გამო, რომ კარგად გამოჩენილიყო სახელმწიფოს სტურქტურა, ანუ რა გადაწყვეტილებებს იღებდა სამხედრო ხელმძღვანელობა და როგორ აბალანსებდა მას მთავრობა. მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ მკაცრი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ნახსენები ოსები აჯანყდნენ, ჩრდილო კავკასიაში გაქცეულთა შორის ის მშვიდობიანი მოსახლეობაც ერია, რომელიც გაერიდა სამხედრო მოქმედებებს, ამიტომ მათ წინააღმდეგ ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანა არ ჯდებოდა იმ კრიტერიუმებში, რომელიც აღებული ჰქონდა ქვეყანას ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში, თუ ზოგადად ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით. შესაბამისად მთავრობამ სამხედრო სამინისტროს ეს გადაწყვეტილება ასე სასტიკად არ განახორციელა და დაბალანსებული სახით მიიღო. სახელმწიფოში არსებული მსგავსი სტრუქტურა წარმატებული მოქმედების საშუალებას იძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულების დანაშაული საკმაოდ დიდი იყო, მთავრობამ არ მისცა სამხედრო სამინისტროს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების საშუალება და მისი გადაწყვეტილების განხილვის შემდეგ განახორციელა ის ქმედებები, რომლებიც საჭიროდ მიიჩნია ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე.

მართალია, გადაწყვეტილების სიმკაცრე შესუსტდა, მაგრამ მოსახლეობისგან დაცარიელებული სოფლები შევსებას საჭიროებდა. ქვეყანა უნდა განვითარებუ-

ლიყო, ამიტომ საჭირო იყო ამ ტერიტორიაზე ხალხის ცხოვრება და მიწის დამუშავება, განსაკუთრებით ახალშექმნილ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკის ჩამოყალიბებას და განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ მიზნით გადაწყდა დაცარიელებულ ადგილებზე ქართველების ჩასახლება, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო, რადგან მოსახლეობა თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა და არ ჰქონდა საშუალება სტაბილურად განევითარებინა მეურნეობა. ჩრდილო კავკასიიდან ხდებოდა ოსების გადმოსვლა, რომლებიც აყაჩაღებნენ მოსახლეობას (დ. ჭუმბურიძე 2003).

მართალია, ქართულმა ხელისუფლებამ მოახერხა აჯანყების ჩახშობა და ტერიტორიის გაწმენდა ბანდებისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯარის სიმცირის გამო ისინი მუდმივ კონტროლს ვერ ახორციელებდნენ ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელებზე, რაც იწვევდა იქიდან ბანდების გადმოსვლას და ხალხის ძარცვას.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ბედი ეწიათ ჩრდილოთ კავკასიაში გახიზნულ ოსებს, რომლებსაც საქართველოს შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილის რუსეთთან შეერთება და „მოძმე" ჩრდილო ოსეთთან გაერთიანება სურდათ. ოთარ ჯანელიძეს სტატიაში „ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში" „Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института краеведения"-ზე დაყრდნობით მოჰყავს ცნობა, რომ ჩრდილო ოსეთში გახიზნულ ოსებს მშვიდობიანად ცხოვრების საშუალება არ ჰქონდათ. ადგილობრივი ბანდები ძარცვავდნენ ქალებს და მოხუცებს, აყაჩაღებდნენ მათ და არ აძლევდნენ მოსვენებას (http://iberiana.wordpress.com/samachablo/janelidze/). ასე რომ, მათ ქართველებმა კი არ მოუწყვეს ჩაგვრა, არამედ თავიანთმა „მოძმე", ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა, რომლებმაც გახიზნულ მოსახლეობაში, მხოლოდ ნადავლის ხელში ჩაგდების წყარო დაინახეს, იმის მაგივრად, რომ დახმარების ხელი გაეწოდებინათ

და შეეფარებინათ. ამ მაგალითით კარგად შეიძლება შედარება, თუ როგორ ცხოვ-რობდნენ ისინი საქართველოში, სადაც არ იხდიდნენ გადასახადებს და არავინ აწიოკებდა და როგორი ცხოვრების საშუალება მიეცათ მათ ჩრდილო ოსეთში, რუსეთის ტერიტორიაზე. ადვილი წარმოსადგენია, რა ელოდათ მათ, თუკი ისი-ნი განახორციელებდნენ თავიანთ გეგმას და შიდა ქართლის ნაწილს შეუერთებდ-ნენ რუსეთს, მაშინ ხომ ჩრდილო კავკასიის ბანდებს გზა გაეხსნებოდათ ე.წ. „სამხ-რეთ ოსეთში" თავისუფლად გადმოსასვლელად და ხალხის გასაძარცვავად.

ახლა კი შევეხოთ იმ ქართველებს, რომლებიც აჯანყების მთელი პერიოდის განმავლობაში ოსების ტყვეობაში იმყოფებოდნენ. როგორც ზემოთ ვთქვით, ისი-ნი ტყვედ ცხინვალის აღების დროს ჩაიგდეს. ტყვეების რიცხვი ჯამში 354 კაცი იყო და მათი განთავისუფლება მხოლოდ ივლისის თვეში მოხერხდა. მათი ტყვე-ობაში ყოფნის დროს დახმარებას უწევდნენ იქაური ქართველები და ალაგირში მცხოვრები ოჯახები. დაბრუნების შემდეგ მათი სამადლობელო წერილიც გამოქ-ვეყნდა ქართულ პრესაში (გაზეთი „ერთობა", 1920 №157).

ამრიგად, აჯანყების ჩახშობა ქართულმა სამხედრო შენაერთებმა წარმატე-ბით მოახერხეს, მაგრამ ეს არ გასცდენია ნორმის ფარგლებს და ოსების გენოციდ-თან საერთო არაფერი ჰქონია. აჯანყებულმა ოსებმა კი ვერანაირი დახმარება ვერ მიიღეს ვერც წამქეზებლებისგან და ვერც ჩრდილო ოსებისგან, პირიქით მათ მხო-ლოდ ძარცვა-რბევით უპასუხეს დახმარების თხოვნაზე.

თავი VII. ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა

საქართველოში 1918-1921 წლებში

1920 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხშირია ბრალდებები, რომ ეს იყო ოსების ჩაგვრა დემოკრატიული საქართველოს მხრიდან. გაჩნდა იმის პრეტენზიაც, თითქოს ეს იყო არა აჯანყების ჩახშობა, არამედ გენოციდი ოსი ხალხისა. აქედან გამომდინარე საჭიროა იმ ვითარების ასახვა, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა იმ პერიოდის საქართველოში არამარტო ოსების, არამედ სხვა ეთნიკური უმცირესობების მიმართაც, რათა კარგად გამოჩნდეს, რომ არანაირ ჩაგვრის შემთხვევა არ ყოფილა საქართველოში არც ოსების და არც სხვა უმცირესობის მიმართ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავიდანვე შეიქმნა ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანაბარუფლებიანობის პრინციპზე. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე კარგად აცნობიერებდნენ, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონოდა ის უფლებები, რაც ქართველებს, არ უნდა მომხდარიყო მათი ჩაგვრა და დევნა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ენა ქართული იქნებოდა, მაგრამ ეს ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნისთვის ჩვეულებრივი ატრიბუტია და ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ჩაგვრას არ ნიშნავს.

ეთნიკური უმცირესობებისადმი მიდგომა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც აღინიშნა. ეს ფაქტი მეტყველებს, თუ როგორი პრიორიტეტი ენიჭებოდა მათი უფლებების დაცვას. დამოუკიდებლობის აქტის მეხუთე და მეექვსე პუნქტებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე

თანასწორი იყო ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობისა და სქესის განურჩევლად; ასევე საქართველოში მოსახლე ყველა ერს ეხსნებოდა თავისუფალი ასპარეზი საქართველოს ტერიტორიაზე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 1990).

ამ აქტით დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე გამოირიცხა ეროვნული ნიშნით ჩაგვრა. ამით საქართველო შეუერთდა მსოფლიოს დემოკრატიულ სტანდარტებს და საფუძველშივე გამორიცხა, რომ საქართველოში რომელიმე მოქალაქის უფლება დარღვეულიყო მისი ეთნიკური განსხვავებულობის გამო.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა „ეთნიკური უმცირესობებისადმი ეჩვენებინათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა მათდამი დაპირისპირებას არ ითვალისწინებდა, პირიქით, იგი მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების გარანტი გახდებოდა. ამ ნაბიჯით, ხელისუფლება მყარ ნიადაგს ქმნიდა რესპუბლიკაში ურთიერთდაპირისპირების აღმოსაფხვრელად და სტაბილურობის შესანარჩუნებლად” (შ. ვადაჭკორია 2006: 214).

ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად, რომელსაც სხვა კანონები მოჰყვა. 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით ეთნიკურ უმცირესობებს უფლება მიეცათ, თავიანთი წარმომადგენლები ჰყოლოდათ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში - ეროვნულ საბჭოში. წარმომადგენლების რაოდენობა იყო ყოველი 20 000 მცხოვრებიდან ერთი დელეგატი. არსებობდა გამონაკლისიც: როდესაც ეთნიკური უმცირესობა ამ რაოდენობით არ ცხოვრობდა ქვეყანაში, მაგრამ მათ მაინც ჰყავდათ წარმომადგენლები, კერძოდ, ესენი იყვნენ ბერძნები, გერმანელები და ებრაელები (შ. ვადაჭკორია 2006).

ამრიგად, ეთნიკური უმცირესობების დელეგატთა რაოდენობა ეროვნულ სა-

ბჭოში შემდეგნაირად გადანაწილდა: სომხებს - 10, თათრებს - 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 2, ოსებს - 2, ქართველ ებრაელებს - 2, ებრაელებს - 1, ბერძნებს - 1, გერმანელებს - 1. აქედან ჩანს, რომ ეთნიკურ უმცერესობათა უფლებების დაცვა მაქსიმალურად ხდებოდა და ამ კანონით უკვე უმცირესობათა წარმომადგენლებს თავადაც ეძლეოდათ საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ამ დელეგატებს ირჩევდნენ ან ამ ერების ეროვნული საბჭოები, ან ხდებოდა ისეთი წარმომადგენლის გაგზავნა, რომელიც არჩეული იყო დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებაში (საქართველოს დემოკრაიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 1990).

მთავრობა ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებლობა ახალი აღდგენილი იყო და ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობდა. რუსეთი იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მათ არც საშუალება და მითუმეტეს არც საჭიროება არ ჰქონიათ ქართული ენა შეესწავლათ, ეს პრობლემა კი ასე მალე ვერ მოგვერდებოდა. სწორედ ამან გამოიწვია 1918 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში ახალი კანონის შემოღება, რომლის მიხედვითაც უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ სიტყვა წარმოეთქვათ უმცირესობის ენაზე, თუ ის პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც იცოდა (საქართველოს დემოკრაიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 1990).

მსგავსი კანონების განხილვა ნათელ სურთს წარმოგვიჩენს, თუ რა დონეზე ხდებოდა 1918-1921 წლებში საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა. მათ ჰყავდათ წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოში და ამ წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ, უმცირესობის ენაზე გამოსულიყვნენ სიტყვით. მსგავსი ხელშეწყობა სამაგალითო იქნებოდა ნებისმიერი ევროპული დემოკრატიული ქვეყნისთვის.

თუმცა მხოლოდ ხსენებული კანონები კომფორტს ვერ შეუქმინდა უმცირესობების იმ ნაწილს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, დამოუკიდებელ ქვეყანაში კი სახელმწიფო ენის ცოდნა ინტეგრაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ განათლების მისაღებად თავიდან მხოლოდ საკუთარი ენის ცოდნა საკმარისი არ იყო. ამიტომ განათლების სამინისტროში გატარდა რეფორმა, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების მოზარდი თაობის უმრავლესობას საშუალება ეძლეოდათ პირველდაწყებითი და ზოგ შემთხვევაში საშუალო განათლება მიეღოთ უფასოდ. ასევე განაპირა რეგიონებში ქართველი და არაქართველი ახალგაზრდებისთვის სტიპენდიების სახით გამოიყო 200 000 მანეთი. 1920 წლის მონაცემებით საქართველოში იყო 306 სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის: 81 სომხური, 66 ბერძნული, 60 რუსული, 48 ოსური, 31 თათრული და 20 აფხაზური.

მსგავსი ტენდენცია საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც გაგრძელდა. „ავტონომიური ოლქის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთაც ყოველგვარი პირობა ჰქონდათ ოსებს შექმნილი ოსური ენისა და კულტურის განსავითარებლად. საქართველოს 97 სკოლაში მიმდინარეობდა ოსურ ენაზე სწავლება, მაშინ როდესაც რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთში, საიდანაც არიან ოსები საქართველოში მიგრირებულნი, არც ერთი ოსური სკოლა არ იყო” (რ. თოფჩიშვილი 2006: 167-168).

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ხდებოდა ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებების დაცვაც. წარმოდგენილი ფაქტები ცხადყოფს, რომ ოსები მათ რიცხვში ჩვეულებრივად შედიოდნენ და მათი არანაირი ჩაგვრა არ ხდებოდა, მათ უფლებებს არავინ ზღუდავდა და არავინ ებრძოდა. ისინი ჩვეულებრივ ეთნიკურ უმცირესობად იყვნენ აღქმულნი, რომლებსაც ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეობა, შესაბამისად, ყველა ის უფლება, რაც - სხვა

მოქალაქეებს. მათ მიმართ არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა, სანამ უცხო ძალის წაქეზებით აჯანყება არ მოაწყვეს და საქართველოს ტერიტორიის რუსეთთან შეერთება არ მოინდომეს. ამ დროსაც კი მხოლოდ აჯანყებული ოსების წინააღმდეგ იქნა იარაღი გამოყენებული და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ოსებისთვის არანაირი პრობლემა არ შექმნილა, მათ არავინ ებრძოდა, რადგან საქართველოში არ მიმდინარეობდა ეთნიკური ნიშნით დევნა, არამედ აჯანყებულთა წინააღმდეგ იყო ბრძოლა.

საქართველოს რესპუბლიკის მიდგომას ეროვნული უმცირესობებისადმი ზუსტად ასახავს აკაკი ჩხენკელის სიტყვა დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წელს: „ერთის ერის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა და ერთის უბედურება-უბედურებაა მეორისათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას... უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს ავნებს მათაც” (შ. ვადაჭკორია 2003 456).

მსგავსი ხედვა წარმოადგენდა საერთო სამოქალაქო საზოგადოების შექმნის სურვილს, სადაც ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნება იქნებოდა. მსგავსი სტრატეგია სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში არამარტო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ დღესაც პრიორიტეტულია და ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისათვის მხოლოდ ცალკეული კანონების მიღებით არ შემოიფარგლებოდნენ და ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც 1921 წელს იქნა მიღებული. კონსტიტუციას მოქმედება, ფაქტობრივად, აღარ დასცალდა რუსული არმიის შემოჭრის გამო, მაგრამ კარგად ასახავს ქვეყანაში არსებულ ზოგად შეხედუ-

ლებებს და იმ მიმართულებას, როგორც ქვეყანა აპირებდა განვითარებას.

ეთნიკურ უმცირესობათა საკითხის მეთოთხმეტე თავი მთლიანად ეთმობოდა და 9 მუხლს (129-137 მუხლები) მოიცავდა (საქართველოს კონსტიტუცია: მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს 1992). ამ მუხლების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების უფლებები არ უნდა შეზღუდულიყო, უნდა ჰქონოდათ საკუთარ ენაზე განათლების მიღებისა და კულტურული განვითარების საშუალება. უფლება ეძლეოდათ ეროვნული კავშირების დაარსებისა, რაც ხელს შეუწყობდა კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარებას, რის დასაფინანსებლადაც სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა თანხა. მათ აგრეთვე ეძლეოდათ სრული პოლიტიკური თუ მოქალაქეობრივი თავისუფლება. ეროვნულ კავშირებს ენიჭებოდა კიდევ ერთი დატვირთვა: მათ შეეძლოთ სასამართლოში აღეძრათ სარჩელი და დაეცვათ უმცირესობათა უფლებები, რაც დაცვის დამატებით გარანტიას იძლეოდა. ეთნიკური უმცირესობები ჩვეულებრივ მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, ფაქტობრივად, იმ უფლებებით, რაც ქართველებს ჰქონდათ, ამიტომ მათ ეძლეოდათ სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო, საქალაქო და საერობო სამსახურში მუშაობის უფლება.

თ ა ვ ი 4.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 129. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლააღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მუხლი 130. ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულების (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულგანმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. 25 ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა

რაოდენობისა.

მუხლი 131. არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 132. ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 134. ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა

მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით

მუხლი 135. ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136. ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.

მუხლი 137. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი (1921 წლის კონსტიტუცია).

კონსტიტუციაშიც ექცეოდა ადგილი უმცირესობათა განათლების საკითხს, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმართველობები ვალდებულნი იყვ-ნენ, ეთნიკურ უმცირესობათა განათლებისთის გამოეყოთ თანხა ბიუჯეტიდან და ეზრუნათ სკოლების აშენებაზე. ბავშვი განათლებას იღებდა მის სალაპარაკო ენა-ზე, ამით მარტო ეთნიკური უმცირესობების კი არა, არამედ ბავშვის უფლებების დაცვაც ხდებოდა. კონსტიტუციაში გაწერილი იყო ისიც, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ფარგლებში, სადაც ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობა 20% -ს აღემატებოდა, იქ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ადგილებში სახელმწი-ფო ენასთან ერთად საქმის წარმოება და მსჯელობა ეთნიკური უმცირესობის ენა-ზეც უნდა დაშვებულიყო.

ასეთია კონსტიტუციაში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების მონახაზი,

რითაც არავითარი ჩაგვრა თუ შეზღუდვა არ უნდა მომხდარიყო. კონსტიტუციას ხომ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დასაცავად, სწორედ კონსტიტუცია არის ქვეყნის განვითარების მიმართულების მაჩვენებელი. ამ მხრივ, ქართული კონსტიტუცია საკმაოდ დემოკრატიული იყო და მნიშვნელოვნად ითვალისწინებდა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებს.

რა თქმა უნდა, ეს ცალკეული კანონები, რომელნიც აქ იყო მოყვანილი და თვით კონსტიტუციაც არის ფურცელზე დაწერილი, რომელსაც პრაქტიკაში განხორციელებაც სჭირდება. ამისთვის საქართველოს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან, 1921 წლის 21 თებერვლამდე, რის გამოც სრულად ვერ მოხდა ყველა ამ უფლების პრაქტიკაში განხორციელება.



1886 წლის აღწერის სტატისტიკა (ცხინვალი)



1922 წლის აღწერის სტატისტიკა (ცხინვალი)



1926 წლის აღწერის სტატისტიკა (ცხინვალი)



1959 წლის აღწერის სტატისტიკა (ცხინვალი)

ოსებთან დაკავშირებული ფაქტიც მოვიყვანოთ, ანუ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ 1920 წლის აჯანყების ჩახშობის დროს სამხედრო აგრესია მიმართული იყო მხოლოდ აჯანყებულების მიმართ და არავინ არ ჩაგრავდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ოსებს, რადგან ეს იყო არა ოსების მიმართ განხორციელებული გენოციდი, არამედ აჯანყების ჩახშობა, რომლის მიზანიც საქართველოსთვის ისტორიული ტერიტორიის ჩამოჭრა იყო, სადაც ქართველები მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობნენ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ბევრი ხარვეზი გააჩნდა, როგორც ახლად შექმნილ სახელმწიფოს, ყველაფერი თანდათან ვითარდებოდა, მაგ-

რამ დემოკრატიულ ვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, რაც, თავის-თავად, გულისხმობდა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას და მათ მიღებას საქართველოს ჩვეულებრივ, სრულუფლებიან მოქალაქეებად.

დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო შიდა ქართლის მთიანეთში 1918-1921 წლებში მომხდარი ოსთა ანტისამთავრობო გამოსვლების კვლევა. კვლევისას გამოყენებულმა მასალებმა მოგვცა იმის საშუალება ყოველდღიური მოვლენების აღდგენისა და ანალიზის ჩატარების, თუ რამ გამოიწვია აჯანყების წარმოქმნა და განვითარება, ასევე იმ შედეგების შესწავლა, რომელიც აჯანყებას მოჰყვა.

1918 წლის აჯანყება იყო დასაწყის, რომელიც თანდათან ვითარდებოდა და 1920 წელს თავისი მოთხოვნებით და მასშტაბებით საკმაოდ მნიშვნელოვან დონემდე მიაღწია.

ნაშრომში ასევე განხილულ იქნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეთნიკურ უმცირესობათა ვითარება, რათა მომხდარიყო იმის აღქმა თუ რა პირობები ჰქონდათ ოსებს შექმნილი საქართველოში ცხოვრებისთვის.

ჩვენი ნაშრომის დასკვნა შეგვიძლია რამდენიმე პუნქტად დავყოთ და ანალიზი გავუკეთოთ ნაშრომში განხილულ საკვანძო მომენტებს.

პირველი პუნქტად შეგვიძლია ავიღოთ 1918-1919 წლების აჯანყებები. მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ პირველი აჯანყება საკმაოდ მოუმზადებელი იყო და რეალური მოთხოვნების ჩამოყალიბებას აჯანყებული ოსები ვერ ახერხებდნენ. რუსეთის კვალი პირველ აჯანყებაში ნაკლებად ჩანდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აჯანყების ხელმძღვანელებს სასკოლო განათლებაც კი რუსეთში ჰქონდათ მიღებული და რუსული იდეოლოგიით მოქმედებდნენ, ანუ აკეთებდნენ იმას რაც შემდეგში რუსეთს სარგებელს მოუტანდა, ეს იყო შეიარაღებული კონფრონტაციის წარმოქმნა.

კონფრონტაციის წარმოქმნის შემდეგ საჭირო იყო მისი გაღვივება, რაშიც თავისი როლი უკვე 1919 წლის აჯანყებამ შეასრულა. აჯანყებები თანდათან იხვეწებოდა და უფრო სერიოზულ სახეს ღებულობდა. 1919 წლის აჯანყების დროს მოთხოვნები გამოიკვეთა და უფრო მნიშვნელოვანი სახე მიიღო. ახლა ოსი სეპარატისტები ჯერ საკუთარი სასამართლო სისტემის შექმნას ითხოვდნენ, შემდეგ ცალკე სამაზრო, ან ავტონომიური ერთეულის შექმნის მოთხოვნა წამოაყენეს, რომლის ცენტრადაც ქართველებით დასახლებულ ცხინვალს ითხოვდნენ. მათ იცოდნენ, რომ ცხინვალში დასაყრდენი არ ჰქონდათ, მაგრამ გავლენის მოსაპოვებლად მათ ცხინვალი სჭირდებოდათ, თან ცხინვალის ხელში ჩაგდებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციების დასუსტებას შეძლებდნენ.

ბოლოს გაირკვა, რომ 1919 წლის აჯანყების უკან რუსეთი იდგა, რომელიც აქტიურ მოქმედებებს ეწეოდა აჯანყების დასაწყებად. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იყო მთავარი ინიციატორი აჯანყების, რომლის დაწყების ბრძანებაც სწორედ მან გასცა, მაგრამ ქართულმა მხარემ დროზე შეიტყო ეს ამბავი და მონაწილეები დააპატიმრა, მცირე რაოდენობის აჯანყებულები კი ადვილად დააშოშმინა.

ამით იმის თქმა გვინდოდა, რომ რუსეთის მონაწილეობის ზრდასთან ერთად თანდათან იზრდებოდა ოსთა აჯანყების მასშტაბიც, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში შიდა დაპირისპირების წარმოქმნას. მიზანი მარტივი იყო, დასუსტებულ საქართველოზე რუსეთი ადვილად გაავრცელებდა საკუთარ გავლენას და საბოლოოდ დაიპყრობდა.

მეორე პუნქტად შეგვიძლია უკვე 1920 წლის აჯანყება ავიღოთ. რუსეთის როლი აქ უკვე აშკარად გაზრდილია, ფაქტიურად ოსთა აჯანყების ინსპირატორი რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი უკვე ფულსაც უგზავნის ოს სეპარატისტებს რათა შექმნან რევკომი და დაიწყონ აჯანყება. აქცენტი კვლავ ცხინვალზეა გაკეთე-

ბული, მაგრამ ახლა უკვე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის” ცალკე მაზრით ან ავტონომიით აღარ კმაყოფილდებიან აჯანყებულები და აცხადებენ, რომ შიდა ქართლის იმ ტერიტორიას, რომელიც მათ აჯანყების შემდეგ ხელში ჩაიგდეს რუსეთს უერთებდნენ.

ერთადერთი ვისაც ასეთი გზით საქართველოს დასუსტება აწყობდა იყო რუსეთი, თან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ დროს მიმდინარეობს სამხედრო დაპირისპირება საქართველოსა და ბოლშევიკურ აზერბაიჯანს შორის, რომლის უკანაც რეალურად რუსეთი იდგა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ კი მიუხედავად იმისა, რომ რუსების ინტერსესები ბოლომდე ვერ განხორციელდა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის” ტერიტორია რუსეთს ვერ შეუერთდა მათ ახალი მიზეზის გამოყენება დაიწყეს. ისინი დღემდე აპელირებენ თითქოს ქართველებმა თავისუფლებისკენ მიმავალ ოსებს გენოციდი მოუწყვეს, ხოლო რუსეთი მათ მფარველად ევლინება. ზუსტად ამის მსგავსი მიზეზი გამოიყენა რუსეთმა 2008 წელსაც, როდესაც მოახდინა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის” ოკუპაცია. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც კი რუსების მიზნები და მისკენ მიმავალი გზები არ შეცლილა. ისინი ისევ იმავე ხერხებს იყენებენ რასაც დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის დროს.

დამუშავებულმა წყაროებმა და სამეცნიერო ლიტერატურამ მოგვცა სათანადო მასალა, რომ აღგვედგინა აჯანყების დროს არსებული ვითარება და გაგვეკეთებინა ანალიზი მომხდარ მოვლენებზე. პრესის ყოველდღიური გამოცემები იძლევა ყოველდღიური მოვლენების ასახვის შესაძლებლობას რაც მას განსვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა წყაროებთან შედარებით. ყოველდღიური საინფორმაციო და ანალიტიკური სტატიები იძლევა არა მარტო მოვლენების განვითარების აღდგენის საშუალებას, არამედ იმ პერიოდის საქართველოში აჯანყების შესახებ გავრცელებული შეხედულებების გარკვევის საშუალებასაც გვაძელვს.

აღნიშნული ფაქტები კი საბოლოოდ იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ გამოსვლები, ამბოხები, არ იყო ეთნიკური დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებაში უმეტეს ნაწილს ოსური ბანდები შეადგენდნენ, ისინი რუსეთის კომუნისტური პარტიის მითითებებით და ბრძანაბებით ხელმძღვანელობდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მხოლოდ აჯანყებულებს ებრძოდნენ და საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ოსებისთვის ზიანი არ მიუყენებიათ, მთლიანად უნდა გამოირიცხოს ოსებისთვის გენოციდის მოწყობის ბრალდებაც. მაშასადამე 1920 წლის აჯანყება წარმოადგენდა იმ ავანტიურის შედეგს, რომელიც რუსეთის ინსპირაციის შემდეგ დაიწყეს ოსურმა სეპარატისტულმა ძალებმა.

ბიბლიოგრაფია

მონოგრაფიები და სტატიები

- ავალიანი ს. - მიწისმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი 1920, სამაზრო ერობის სტამბა (32 გვ.)
- ავთანდილ სონღულაშვილი - საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბილისი 2018, უნივერსალი (393 გვ)
- ალექსანდრე ბენდიანიშვილი - გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე" და ბრძოლა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, თბილისი 2007 (60 გვ)
- ალექსანდრე მღებრიშვილი, ცხინვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921), თბილისი, 2019 (406 გვ.)
- ბახტაძე უ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1968, 198 გვ.
- ბენდიანიშვილი ალ. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, „მემატიანე", 366 გვ.
- ბლუაშვილი უ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?, თბილისი, „ცის ნამი", 2005, 40 გვ.
- ბორის კვარაცხელია - რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი") და საერთაშორისო თანამეგობრობა, თბილისი 2014 (468 გვ)
- გელა (გიორგი) საითიძე - პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია - ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წწ.), თბილისი 2010 (118 გვ)
- გელა სულაძე - ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბილისი 2012 (649 გვ)
- გიორგი მაზნიაშვილი - მოგონებანი, თბილისი 2014 (217 გვ)
- გოჩა საითიძე - გენერალი გიორგი კვინიტაძე, თბილისი 1998 (47 გვ)

- გურამ შარაძე - დაბრუნება, ტომი 3, თბილისი 1992 (462 გვ)
- გურამ შარაძე - ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, თბილისი 1998 (832 გვ)
- გურამ შარაძე, გიორგი შარაძე - ისტორიული რელიკვიების დაბრუნება, თბილისი 2001 (296 გვ)
- გურული ნ. პროვინცია, გაზ. „ერთობა“, 1920, №95, გვ. 4.
- დამფუძნებელი კრების წევრები პროვინციაში, გაზ. „ერთობა“, 1920, №114, გვ. 4.
- დიმიტრი სილაქაძე - საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და რიცხოვნების საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები III, თბილისი 2011 (გვ. 334-348)
- დიმიტრი შველიძე, ნესტან კირთაძე - ეროვნული იდეოლოგიის ორიენტირები, თბილისი 2000, მერანი-3 (1688 გვ)
- ერიკ ლი - ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია, თბილისი 2018 (332 გვ)
- ვადაჭკორია შ. დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1921 წლებში, თბილისი, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის კარტოგრაფიული ცენტრი”, 2010, 83 გვ.
- ვადაჭკორია შ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბილისი, „მემატიანე”, 2003, წიგნი 1, 540 გვ.
- ვადაჭკორია შ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბილისი, „მემატიანე”, 2006, წიგნი 2, 566 გვ.
- ვალერიან თევზაძე - ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბილისი 1990 (56 გვ)
- ვალიკო ჯუღელი - დღიური-1924, ქართული ემიგრაცია №2, თბილისი 2014 (გვ. 13-26)
- ვახტანგ გურული - 1918 წლის 26 მაისი, თბილისი 2011 (68 გვ)

- ვახტანგ გურული - ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი 2018 (180)
- ვახტანგ გურული - საქართველო და გარე სამყარო: საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება რუსეთ-ირან-ოსმალეთს შორის 1700-1921, თბილისი 2011, უნივერსალი (120 გვ)
- ვახტანგ გურული - საქართველო რუსეთის ურთიერთობა (1483-1921), თბილისი 2011 (120 გვ)
- ვახტანგ გურული - საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია (1801-1991), თბილისი 2011 (104 გვ)
- ვახტანგ გურული - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921), თბილისი 1998 (28 გვ)
- ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე - ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბილისი 1999 (481 გვ)
- ზაზა ცინაძე - საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (ოფიციალური მონაცემების მიხედვით), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი 2011 (გვ. 311-322)
- ზურაბ ავალიშვილი - საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში: მოგონებანი, ნარკვევები, თბილისი 2011, მხედარი (376 გვ)
- თეიმურაზ პაპასქირი - ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1914-1945), ნაკვეთი I, თბილისი 2009 (349 გვ)
- თოგოშვილი გ. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბილისი, „მეცნიერება“, 1969, 165 გვ.
- თოთაძე ა. ოსები საქართველოსი: მითი და რეალობა, თბილისი, „უნივერსალი”, 2006, 111 გვ.
- თოთაძე ა.საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, „სამშობლო”, 1993, 288 გვ.
- თოიძე ლ. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც,

ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, „ივერთა მხარე”, 1991, 336 გვ.[8]

- თოიძე ლ. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, “მეცნიერება“, 1991, 136გვ.[9]
- თომას გოლცი - საქართველო: ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში, თბილისი 2014 (388 გვ)
- თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხტა ეთნოგრაფია, თბილისი, „უნივერსალი”, 2007, 398 გვ.
- თოფჩიშვილი რ. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბილისი, „უნივერსალი”, 2006, 172 გვ.
- ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი - ისტორიული რარიტეტები, თბილისი 1989 (160 გვ)
- ივანე ნანუაშვილი - რა უნდა იცოდეს ყველამ თავისუფალ სამყაროში რუსეთის შესახებ (437გვ)
- ითონიშვილი ვ. უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბილისი, „მემატიანე”, 2005, 82 გვ.
- ითონიშვილი ვ. ქართველთა გოდება გაპარტახებულ სამშობლოში, თბილისი, „მემატიანე”, 2007, 193 გვ.
- ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე - ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი 2019 (366 გვ)
- ირაკლი ხვადაგიანი - დაკარგული ისტორია - საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი, თბილისი 2016 (209 გვ)
- ირაკლი ხვადაგიანი - საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბილისი 2016 (520 გვ)
- კვინიტაძე გ. მოგონებები, თბილისი, „ლომისი”, 1998, წ. 1, 280 გვ.
- კონსტანტინე კანდელაკი - ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (დადგენილებები - დოკუმენტები - სამხილები), პარიზი 1953, თბილისი 2019 (328 გვ)

[8] ტექსტში მითითებისას აღმნიშვნელად დამატებული აქვს (ბ).
[9] ტექსტში მითითებისას აღმნიშვნელად დამატებული აქვს (ა).

- კუპატაძე ბონდო - საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო, თბილისი 2005, გამომცემლობა არტანუჯი (187 გვ.)
- ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1995, 372 გვ.
- მამუკა გოგიტიძე, გიორგი ბეჟიტაშვილი - სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბილისი 2015 (306 გვ)
- მარკ იუნგე, ბერნდ ბონვეჩი, დანიელ მიულერი - ეთნოსი და ტერორი საქართველოში, თბილისი 2015 (474 გვ)
- მენთეშაშვილი ა. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებული: ოსთა საკითხი, თბილისი, „პითაგორა“, 1996, გვ. 276-320.
- მენთეშაშვილი ა. სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“ 1989, №95, გვ. 10-11.
- მიხეილ გაფრინდაშვილი - საქართველოს ახალი ისტორია, თბილისი 1995 (128 გვ)
- ნ. ჯალაბაძე, მ ბურდული, ლ. ჯანიაშვილი, ლ. მღებრიშვილი, ე. ფირცხალავა- ოკუპირებული ახალგორის რაინო და ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკა, თბილისი 2015 (232 გვ)
- ნატო სონღულაშვილი - ქართული სოციალური გარემო 1900-1921 წლებში (გლეხკაცობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბილისი 2011 (გვ. 297-310)
- ნინო კიღურაძე, ეკა კვაჭანტირაძე, გიორგი სანიკიძე - ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია, თბილისი 2014 (202 გვ)
- ნოე ჟორდანია - რჩეული ნაწერები, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბილისი 1990 (420 გვ)
- ნოე ჟორდანია - ჩემი წარსული, თბილისი 1990 (136 გვ)
- პაატა სურგულაძე - ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი 1991 (32 გვ)
- პიტერ რედეევი - საბჭოთა პოლიტიკა განსხვავებული აზრის მიმართ

და მისი მოდელები: 1953-1986 წწ., თბილისი 2012 (117 გვ)

- ჟორჟოლიანი გ. თოიძე ლ. ლეკიშვილი ს. მატარაძე ლ. ხოშტარია-ბროსე ე. ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები და მისი მოგვარების გზები, თბილისი, „სამშობლო", 1992, 24 გვ.
- რევაზ გაჩეჩილაძე - ჩემი XX საუკუნე (1901-1953), თბილისი 2012 (480 გვ)
- რევაზ გაჩეჩილაძე - ჩემი XX საუკუნე (1953-2009), თბილისი 2012 (503 გვ)
- როლანდ თოფჩიშვილი - ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, თბილისი 2019 (102 გვ)
- როლანდ თოფჩიშვილი - საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბილისი 2006 (172 გვ)
- სამუშია ჯაბა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VI, თბილისი 2012, მერიდიანი (321-330)
- საქართველო ბოლშევიკური არმიის ბატონობის ქვეშ, პარიზი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გამოცემა, 1921 წლის ოქტომბერი, პარიზი 20018 (52 გვ)
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბილისი, „ივერთა მხარე", 1990, 496 გვ.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921) - ე. გურგენიძე (შემდგენელი), თბილისი 1990 (495 გვ)
- საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, „პალიტრა L", 2012, ტ.IV, 512 გვ.
- საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, სამშობლო №10, 26 მაისი, თბილისი 1990 (32 გვ)
- სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია -

საქართველოს საზღვრები (1917-1938), ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები, თბილისი 2014 (190 გვ)

- სონღულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბილისი, „უნივერსალი", 2009, 239 გვ.
- სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, ნაწ. I დემოგრაფია, ნაკვეთი 2, ტფილისი, „ს.ს.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამართველო", 1923, 45 გვ.
- სტივენ ჯონსი - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისი 2013 (456 გვ)
- ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, „სამშობლო", 1991, 144 გვ.
- ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემობა", 2004, 656 გვ.
- ქართული დიპლომატიის ისტორია: ქრესტომათია, გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ და ჯაბა სამუშიამ, თბილისი 2004 (656 გვ)
- შალვა მაღლაკელიძე - მოგონებები, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი 2012 (320 გვ)
- ჭუმბურიძე დ. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლები), თბილისი, „მემატიანე", 2003, 418 გვ.
- ხომერიკი ნოე - აგრარული რეფორმა და ჩვენი მეურნეობა, თბილისი 1920, სტამბა ქალაქთა კავშირისა (54 გვ.)
- ხუციშვილი ნ. შიდა ქართლი-ისტორია და თანამედროვეობა (საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1990, 20 იანვარი. გვ.7.
- Борьба за победу Советской власти Грузии: Документы и материалы (1917-1921гг.), Тбилиси, „Сабчота Сакартвело", 1958, 788 ст,
- Вадим Муханов – Грузинская Демократическая Республика: От Первых

Дней Независимости До Советизации, Москва 2018 (888 ст)

- Джугели В. Тяжёлый крест (Записки народногвардейца), Тифлись, „Типографиа Правительства“, 1920, 250 ст.

პერიოდიკა

- „კომუნისტის” უტიფრობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №126, გვ. 1.
- ბოლშევიკების მუშაობა საქართველოს გარეთ, გაზ. „ერთობა“, 1920, №137, გვ. 2.
- გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №132, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №127, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №128, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №129, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №130, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №131, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №133, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №134, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №135, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №136, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №137, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №138, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №139, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობები, გაზ. „ერთობა“, 1920, №140, გვ. 2.
- გენერალური შტაბის ცნობები, გაზ. „ერთობა“, 1920, №141, გვ. 2.
- ზავი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, გაზ. „ერთობა“, 1920, №104, გვ. 2.
- ისევ ოსები, გაზ. „ერთობა“, 1920, №130, გვ. 1-2.

- კავშირი საქართველოში მცხოვრებელ ჩინელ მოქალაქეთა, გაზ. „ერთობა“, 1920, №124, გვ. 1.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №845, გვ. 2.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №846, გვ. 2.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №848, გვ. 3.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №852, გვ. 3.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №853, გვ. 3.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №854, გვ. 1-2.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №855, გვ. 1-2.
- მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე”, 1920, №857, გვ. 1; 3.
- ოსების გამოსვლები, გაზ. „ერთობა“, 1920 წ. №129, გვ. 2.
- ოსების განცხადება საქართველოს მთავრობისადმი, გაზ. „ერთობა“, 1920, №142, გვ. 2.
- ოსების ტყვეობიდან, გაზ. „ერთობა“, 1920, №157, გვ. 3.
- პროვინცია, გაზ. „ერთობა“, 1920, №96, გვ. 4.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №126, გვ. 2.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №127, გვ. 2.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №129, გვ. 1.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №131, გვ. 2.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №134, გვ. 2.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №135, გვ. 3.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №136, გვ. 2.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №137, გვ. 2.
- სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №138, გვ. 2.
- საქართველო და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური მიწერ მოწერა, გაზ. „ერთობა“, 1920, №101, გვ. 3.
- საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება, გაზ. „ერთობა“, 1920, №125, გვ. 2.
- სახალხო გვარდიის შტაბის ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №132, გვ. 2.

საარქივო მასალა

- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1836
- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1864
- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1969
- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1970
- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №2113
- საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №2130
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ მაჩაბლის არქივი №1523

ელ. რესურსები

- ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ: http://www.parliament.ge/files/617_8236_484760_qart_osuri.pdf
- საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს), თბილისი, „სამშობლო", 1992, 28 გვ. ელექტრონული ვერსია: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000299/

დანართი

სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის პროექტი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ მაჩაბლის არქივი №1523

Проект

Введения земства в Южной Осетии и выделения его в особую Административную единицу

Вместе с общим раскрепощением страны великая русская революция должна создать благоприятные условия и для культурно-экономического развития народов, населяющих нашу окраину.

Нет сомнения, что введение земского самоуправления, ставшее неотложной задачей перед закавказской демократией, даст могущественный толчок быстрому росту местных сил.

Параллельно с этим необходимо уничтожить административную опеку государства и сосредоточить функцию административного управления в земских учреждениях.

Разумеется наше молодое земство должно быть построено на самых широких демократических началах, с полной гарантией прав национального меньшинства. Но такая гарантия возможна лишь в том случае, если населению будет предоставлено право свободного группироваться в административные и земские единицы на основе трезвого учета реальных интересов. Этот принцип был выставлен заинтересованными сторонами и в совещаниях по введению земства в Закавказье. К сожалению он не был развит последовательно, и этот момент вызовет некоторые затруднения при практической подведении

земского самоуправления даже в тех губерниях и уездах, которые по декрету Закавказского комиссариата признаются бесспорными. Реальная действительностью выдвигает вопросы о настоятельной необходимости и таких группировок, которые декретом не предусматриваются.

Опираясь на ясно и определено выраженную волю южно-осетинского народа, мы находим что справедливое осуществление земского дела в Закавказье немыслимо без образования особого уездного административно-земского деления из нагорных частей Рачинского, Горского и Душетского уездов, сплошь занятых южно-осетинским населением. Эта полоса начинается на запад от верхнего течения реки Гарулы и Квирилы в Рачинском уезде. Лопании в Горском уезде и тянется до Военно-Грузинской дороги на востоке. Занимая южный склон Среднего Кавказа по бассейнам рек Проны, Большой и Малой Лиахви. Меджуры, Лехури и Ксани, нагорный район этот заселен исключая гор и ближе к главному хребту климат настолько суров, часто не созревает даже такое неприхотливое растение, как ячмень. Главная масса населения живет скотоводством, обращаясь земледелью лишь как к подсобному занятию. С этой стороны горный район представляет прямую противоположность соседней плоскостной полосы, в особенности горийской долины, где благоприятная климатическая и почвенная условия и в настоящее время содействует переходу к высшим формам сельскохозяйственной культуры. Перед будущим южно-осетинским земством стоит тяжелая задача перевести горно-осетинское население от примитивного ведения скотоводства к рационально поставленному хозяйству. Оно должно будет заняться улучшением породы скота, организацией на кооперативных началах образцовых молочных хозяйств. Оно должно будет заняться улучшением породы скота, организацией на кооперативных началах образцовых молочных хозяйств, целесообразной постановкой сбыта молочных продуктов. Такая деятельность предопределит самобытную физиономию южно-осетинсткого земского самоуправления.

Горно-осетинское население живет главным образом привозным зерном. Они доставляются частично из Владикавказского округа, частично из Закавказья. К сажолению, Закавказье и в мирное время не могло существовать своим хлебом, а с началом войны зависимость от северного Кавказа, как известно, стала прямо трагической. В частности, в Горийской долине, которая обычно обслуживала зерном южно-осетинсткое население площадь запашки под хлебная растения с каждым годом будет сокращаться вследствие перехода к садоводству и огородничеству. Недалеко то время, когда Горийская долина найдет для себя более выгодным покупать дешевый хлеб на северном Кавказе, а у себя займется разведением высших сельско-хозяйственных культур. Чтобы не оставлять без хлеба горно осетинское население, наше земство вынуждено будет взять на себя планомерную доставку зерна с Северного Кавказа.

Этот момент заставит южно-осетинсткое самоуправление обратить исключительное внимание на положение путей сообщения на горной полосе. Для нас не подлежит сомнению, что южноосетинское общество, только объединившись в уездную земскую единицу, справятся с задачей установления прямого шоссейного сообщения с Ардонским ущельем, что как известно, давно уже диктуется жизненными интересами южно-осетинсткого народа.

Из этих беглых штрихов видно, что вашему земству предстоит разрешить своеобразные технико-экономические задачи, что деятельность этого земства будет носить ярко самобытный характер сравнительно с долинами бассейна Куры. Если Закавказская демократия заинтересована в экономическом развитии горно-осетинского района, она должна

всемирно содействовать выделению этого района в особую уезду земскую единицу.

Для южно-осетинсткого народа такое образование самостоятельного осетинского уездного земства упрощает наконец, проблему национального самоопределения, что принимая во внимание остроту и сложность национальных отношений в атмосфере кавказской действительности, значительно облегчает и работу кавказской революционной демократии.

Резюмируя наши соображения в пользу образования самостоятельного южно-осетинсткого уездного административного земского деления, можно свести их к таким основным положениям: создание южно-осетинсткого уездной административно-земской единицы подсказывается жизненной необходимостью, потому что при наличности такой единицы возможно 1) построить систему административного управления применительно к психологии осетинского народа, 2) провести последовательно во всех учреждениях применение осетинского языка, 3) заложить прочную основу для культурно-экономического развития горно-осетинского района и 4) в сильной степени упростить разрешение национального вопроса в условиях южно-осетинсткой действительности. В каких пределах очерчивается проектируемая нами южно-осетинсткогая уездная административно-земская единица? Начинаясь по реке Урус-дону в Рачинском уезде, западная граница южно-осетинсткого района идет на юг, пересекает верхнее течение рек Кведрули и Джоджоры, спускается в Шоропанский уезд, проходит у слияния рек Джаламеты и Квирили в переходит в Горийский уезд к устью

реки Лопании. Здесь пограничная линия уже с юга идет от Лопнисцкали у сел. Цпелиси, захватывает осетинская поселения Авлевского (Оконского) общества, заворачивает немного на северо-восток, проходит через местечко Цхинвали и направляется на востоке выше села Эредви и Арбо. Идя дальше по Меретскому обществу, южная граница осетинского района захватывает все Авдорское (Меджрисхевское) обществ, проходит у Меджврисхеви, пересекает северную полосу Хелтубанского и Квемочальского общества с осетинским населением, сворачивает в дущетском уезде по реке Ксани на северо-восток у село Одзиси и упирается в Военно-Грузинскую дорогу, которая служит восточной границей южно осениского округа. Вся территория в намеченных нами границах заселена осетинами, исключая Тамарашенского общества (938 душ ос.) и Цхинвала, где осетинское население составляет меньшинство. Эта территория обнимает все Часавольское общество и часть Горского (Онского) общества (нижняя и верхняя Кважа) Рачинского уезда, поселения Виделить в Чихском обещстве Шоропанского уезда, Кемультское, Рокское, Джавское, Оревское, Белотское, Меджврисхевское, Цунарское и Корнисское общество Горийского уезда. Сюда необходимо отенсти и большую полосу Авлевского общества (сел. Телгина, Лиса, Ожора, Терегвани, Гадгина, Чурисхеви, Пичиджин, Лопании, Гвиргвини, Колети, Цнелисы, Гористави, Дзагина, Мугриси, Схлиты и др). Меретского общетсва, хельтубанского общества (сел. Цховри, Парейсхеви, Гучаантскари, Кеди, Вичаанткари, Цинагари, Гдулеты, Метесмани, Гудианткари, Вагеби и др.) и Квемо-чальского общетсва (Абреви, Земокури, Орчошани, Земо-рене, Мехлеби, Хвити, Ване, Понтиани, Квемо-Руне, Гамолискари, Ргвалчали, Земо-гораки, Нигози, Горакеби и др. Из обществ Душетского уезда южно-осетинсткая уездная удиница захватит все Рехульское общество, Монастерское общетсов, верхнее-хевское общетсво, (Трусовское ущелье, Коби), большую часть Ахалгорского общества и Гуткомское ущелье в верхне-Мтиулетском

обществе. В южно-осетинскую уездную единицу возможно будет отнести и некоторые поселения Згудерского общества, где численность осетинского населения простирается до 1606 душ обоего пола. Географическим и экономическим центром для всех осетинских обществ является г. Цхинвали, расположенное на реке Лиахви, в том месте, где начинается горная полоса. Ведь Цхинвала горно-осетинское население потеряет естественный выход на плоскость и в значительной степени поиграет в культурно-экономическом отношении. Само население Цхинвала кровно заинтересовано в том, что бы по прежнему занимать свое выгодное положение по отношению к горной полосы. Являясь торговым пунктом, Цхинвал живет исключительно горно-осетинским населением, так как это население снабжает Цхинвал сырьем (скот, сыр, масло, лес) в обмен на продукты фабричной промышленности. Лишившись Цхинвала, как торгового центра осетины проведением перевальной дороги бросят все свое сырье на Алагирский рынок, и это в первую голову будет в ущерб интересам цхинвальской торговли.

В основу земского самоуправления, как его низшая ячейка, должна лечь мелкая земская единица, самоуправляющаяся дробь, наиболее близко стоящая к населению. При определении числа мелких земских единиц в пределах южно-осетинского уезда следует, разумеется держаться хозяйственного принципа, поскольку это позволяет топографический рельеф. Кроме того, мелкая земская община не должна быть слишком мала, чтобы не справиться со своими задачами.

Наоборот если мелкое местное самоуправление будет чересчур велико по пространству и по количеству населения, то это помешает ему быть в достаточной мере гибким, чтобы приспособляться к местным нуждам и пользам. Исходя из этих соображений, возможно наметить в южно-осетинском уездном земстве около 3-4 мелких самоуправляющихся

делений; Численность населения каждого из этих делений будет колебаться между 15 000 и 20 000 душ.

В одну мелкую земскую единицу – Цхинвалскую необходимо объединить Корнисское, Цукарское, Авлевское (осетинская поселения) и Тамарашенское общества. Это будет преимущественно земледельческий район. Здесь и климатическая и почвенные условия благоприятствуют вплоть применению рациональных приемов земледелья, а местами и садоводства.

Этот район будет в состоянии выделять некоторый избыток хлеба смежному Ожавскому населению. Вторую – Джавскую – самоуправляющуюся общину возможно образовать из Часавальского общества со смежными поселениями Горского и Чихского общества, Кемультского, Корского, Верхнее-Хевского и Джавского обществ. Большинство обществ этого района, а именно Часавальское, Кемультское, Рокское и Верхнее-Хевское, - представляют скотоводственную полосу. Задачи земства будет заключаться в том, чтобы поставить здесь молочное хозяйство на рациональную почву.

Что касается собственно Джавского общества, то в этом районе умелая культура хлебных злаков может обеспечить своим зерном местное насление. Территориально смежная осетинское обещство Оржевское, Белотское, Меретское (сел. Земо-кере, Дмениси, Снекви, Сатехари, Хельчуа) и Меджрисхевское, вероятно выделятся в особую мелкую земскую единицу – Герскую. Четвоетый земский участок – Ксанский – возможно составит из Рехульского, Монастерского, Ахалгорского и осетинских поселений Квемо- Чальского и Хельтубанского общества.

Само собой разумеется, что наше деление южно-осетинских мелких земских единиц не исключает иных группировок. Мы намечаем лишь приблизительные вехи, которых следует держаться при разделении

южно-осетинского уезда на мелкие самоуправляющиеся общины (участки). Кроме вдумчивого детального выяснения вопроса на местах решающее слово, конечно, остается за осетинским населением которое само прекрасно разберется, какая из возможных комбинаций больше всего соответствует его интересам.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

PhD Program: **History (History of Georgia and Source-Studies)**

Guntsadze Manuchari

Anti-government rallies in Shida Kartli mountains 1918-1921

Dissertation submitted for the award of the Degree of Doctor in History

The head of work **Bondo Kupatadze**

Doctor in History,

TSU Associate Professor

Tbilisi

2022